# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2007 წელი.

№ 249 (5850)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# ლოზუნგები, რომლებიც გულს აღარ გვიჩუყებს




2-4

## ქართველი ერი ვერავის აპატიებს მათრახის ენაზე ლაპარაკს!

2

## იგორ გიორგაძე: საქართველოში მოქმედი ხელისუფლება შეიცვლება



10

## სააკაშვილის დაპირებების კახელებს აღარ სჯერათ

6

## რატომ აყენებს საკუთარ თავს უზენაეს სასამართლოზე მაღლა მინისტრის მოადგილე ქალბატონი?!



9

## ამომრჩეველთა სიები სრულყოფილი არ არის

3-5

## პოლიტბიუროს საგანგებო საქაღალდეთა საიდუმლოებანი

14



● აქედან საკმაოდ სამწუხარო დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომელიც ლოზუნგის სახით ასე ჩამოყალიბდება: როგორც წინა ხელისუფლებამ შექმნა მილიონი სამუშაო ადგილი და სტაბილურობიდან კეთილდღეობისკენ წაგვიყვანა, ისე დაგვაძლევინებს ეს ხელისუფლებაც სიღარიბეს

◎ ინფორმაცია

## კახური ღვინო — „საპრეზიდენტო დოპინგი“

**ახალი მემარჯვენეების ლიდერი და პრეზიდენტობის კანდიდატი დავით გამყრელიძე გუშინ კახელ ამომრჩევლებს შეხვდა.**

საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთისა და წნორის მოსახლეობას მან საპრეზიდენტო პროგრამა გააცნო და, გამარჯვების შემთხვევაში, სოციალური პირობების გაუმჯობესებას, სოფლის მეურნეობის დარგის აღორძინებას, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირებასა და ქართულ პროდუქციაზე ემბარგოს მოხსნას დაჰპირდა.

დავით გამყრელიძე წნორში „მანაშვილების ოჯახსაც ესტუმრა. სახელდახელოდ გაწყობილ სუფრაზე დავით გამყრელიძემ კახური ღვინო დააგემოვნა და გლეხებს პირობა მისცა, რომ გაპრეზიდენტების შემთხვევაში მათ არა ერთხელ ესტუმრება.

წნორში ახალი მემარჯვენეების ლიდერთან შეხვედრას 200-მდე ადამიანი დაესწრო.

## შალვა ნათელაშვილი პრეზიდენტყოფილის ფულებს ითვლის

**პრეზიდენტობის კანდიდატი შალვა ნათელაშვილი გუშინ რუსთაველ ამომრჩეველს შეხვდა.**

**შეხვედრაზე, რომელიც ახალგაზრდობის პარკში შედგა, 150-მდე ადამიანი შეიკრიბა. რუსთავში გარდაბნის რაიონის სოფელ ნორიოს მცხოვრებლებიც ჩავიდნენ.**

პრეზიდენტობის კანდიდატი მოსახლეობას უფასო სამედიცინო მომსახურებასა და განათლებას, კომუნალური გადასახადების განახევრებას, უფასო სასმელ და სარწყავ წყალს, ანაბრების დაბრუნებას, ქორწინების შემთხვევაში ახალგაზრდებს 2 ათას ლარს, შვილის შეძენისას კი 1000 ლარს, გაყიდული საწარმოების, წყლებისა და მდინარეების დაბრუნებას, სალარო აპარატების გაუქმებას დაჰპირდა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა კომენტარი გააკეთა საკუთარ ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა გაწეული საარჩევნო ხარჯები დეტალურად უნდა გაწერონ.

„ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ სააკაშვილის კრიმინალურმა შტაბმა ბიზნესმენებისგან უკვე წამოკრიფა 750 მილიონი დოლარი. დაჯდნენ და თქვეს, ცოტა არისო. რა თქმა უნდა, ოფიციალურად მხოლოდ რამდენიმე მილიონი აქვთ გაფორმებული. ჩვენ წინასაარჩევნო კამპანიისას 28 ათასი დავხარჯეთ, ახლა ჩაგვერიცხება 25 ათასი. ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, რამდენი დახარჯა სააკაშვილის შტაბმა, რათა 5 იანვარს მოსახლეობამ უფრო კარგად გააკეთოს არჩევანი სააკაშვილის საწინააღმდეგოდ“, — აღნიშნა შალვა ნათელაშვილმა.

პრეზიდენტობის კანდიდატმა, ასევე, განაცხადა, რომ თუ 5 იანვრის არჩევნებში სააკაშვილი გაიმარჯვებს და არა ნათელაშვილი, მაშინ 6 იანვარს ისინი ქუჩაში აუცილებლად გამოვლენ.

## ხელმოწერები „მშვიდობის დროშაზე“

**პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ირინა სარიშვილმა „მშვიდობის დროშაზე“ გუშინ ხელი მოაწერა. დროშაზე ხელმოწერა პოლიტიკური გაერთიანება „იმედის“ ოფისში მოხდა.**

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „მშვიდობის დროშის“ პრეზიდენტის ევგენი ღვინიაშვილის განცხადებით, უკვე 15 წელზე მეტია, „მშვიდობის დროშა“ მსოფლიოს გარშემო მოგზაურობს და აღნიშნულ დროშაზე ბევრ ცნობილ ადამიანს აქვს ხელი მოწერილი. მათ შორის, გაეროს გენერალურ მდივანს, იოანე-პავლე II-ს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

ევგენი ღვინიაშვილის განცხადებით, 2008 წლის 5 იანვრის არჩევნებამდე დროშაზე ხელმოწერას ყველა პრეზიდენტობის კანდიდატი გააკეთებს.

დროშაზე ირინა სარიშვლის გარდა შალვა ნათელაშვილს აქვს ხელი მოწერილი.

**ინტერპრესნიუსი**



◎ „ზნეობრივი ფრონტი“

## ქართველი ერი ვერავის აპატიებს მაორახის ენაზე ლაპარაკს!

**„თქვენ არ იცით, რა ძნელია შვილმკვდარი დედის ხვედრი: როცა ყველგან მას დაეძებ, ღამით მის ტანსაცმელს იხუტებ გულში, როცა ოთახში შედიხარ და შენი შვილის საწოლი ცარიელი გხვდება!“ — ეს ულმერთოდ მოკლული ზურაბ ვაზაგაშვილის დედის სიტყვებია... ამავე დროს, ეს არის ნაწყვეტი დოკუმენტური ფილმიდან, რომელიც ჭადრაკის სასახლეში „ზნეობრივი ფრონტის“ დამფუძნებელ კრებაზე იხილა საზოგადოებამ. ფილმიც და ეს შეკრებაც, იყო მხილება ყველა იმ უსამართლობისა, რაც ბოლო წლებში საქართველოში მომხდარა.**

„ქართული აკადემიისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის წევრებმა კიდევ ერთხელ მოუწოდეს შეკრებილთ, რომ უზნეობასთან შეგუება არ შეიძლება, რომ ქართული საზოგადოება უშიშრად უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლების ნებისმიერ უსამართლობას. სწორედ „ქართული აკადემიისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით დაფუძნდა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელსაც „ზნეობრივი ფრონტი“ ეწოდა.

შეკრებას თემურ ნანეიშვილი უძღვებოდა. „როდესაც დღევანდელი გამოსვლისათვის ვემზადებოდი, დავფიქრდი, იქნებ ჩვენი პრეზიდენტყოფილის შეცდომებთან ერთად, მისი მმართველობის დადებით მხარეებზეც მელაპარაკა... გამახსენდა მის მიერ აჭარაში გახსნილი გვირაბი, საავტომობილო გზები, უამრავი შადრევანი და შეღებილი სახლი, გაძლიერებული ძალოვანი სტრუქტურები... მაგრამ, ამავე დროს, გამახსენდა სანდრო გირგვლიანი, დუტა რობაქიძე, ზურაბ ვაზაგაშვილი, ზურაბ ჟვანია, მრავალი ახალგაზრდა, რომელთა სიცოცხლე შეიწირა ყოფილი პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულმა ნულოვანმა ტოლერანტობამ და სახელმწიფოს ხერხემლად შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცხადებამ. გამახსენდა 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგებისა და ტელევიზიის დარბევა. ჩემი მოსაზრება ასეთია: მხოლოდ ამ გზებითა და გვირაბებით ქართველი ერი ტაძრამდე ვერ მივა, ამგვარი მორალით დემოკრატიულ საქართველოს ვერ ავაშენებთ!“ — თქვა ბატონმა თემურმა.

იხ. 5 გვ.

◎ განსჯა

# ლოზუნგები, რომლებიც გულს აღარ გვიჩუყებს

**საქართველოში მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდი სუფთა ქართული თავისებურებებით გამოირჩევა. ეს უპირველეს ყოვლისა იმით ჩანს, რომ ტელეჟურნალისტების კითხვაზე, თუ ვის აძლევენ ხმას, რიგითი მოქალაქეების დიდი ნაწილი მცირე დაბნევის შემდეგ ძალიან დიპლომატიურ პასუხს იძლევა, ჯერ გავეცნობი ყველა კანდიდატის პროგრამას და არჩევანს შემდეგ გავაკეთებო. არადა, აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ არავის არ აინტერესებს, თუ რა პროგრამები აქვთ პრეზიდენტობის სავარძლის მაძიებლებს.**

კანდიდატებმა გაითვალისწინეს ქართველი ამომრჩევლის „ფარული დამოკიდებულება“ საარჩევნო პროგრამების მიმართ და საქმის გასამარტივებლად მოკლე სლოგანები შემოგვთავაზეს, რომლებითაც გასაგებად აგვიხსნეს იმ „დიადი სოციალურ-ეკონომიკური“ გარდაქმნების გეგმები, რომლებითაც საქართველო უნდა „აყვავდეს და ღირსეული ადგილი დაიკავოს საერთაშორისო თანამეგობრობაში“.

მოდით, სანამ კანდიდატების მიერ შემოთავაზებულ სლოგანებს (რომლებსაც ადრე ლოზუნგები ერქვაძ და მათ მიერ ამ სლოგანების ხალხამდე მისატან ლონისძიებებს განვიხილავთ, მცირე ისტორიული ექსკურსი ჩავატაროთ.

რა თქმა უნდა, ამ წერილში არ ვილაპარაკებ არც იულიუს კეისრის საარჩევნო კამპანიის დროს რომაელ ხალხში „ნასროლ“ ლოზუნგებზე და, რაღა თქმა უნდა, არც რობერსპიერის მიერ გამოყენებულ პიარ-ტექნოლოგიებზე. ამ წერილში მინდა უბრალოდ გადავხედოთ იმ ლოზუნგებს, რომლებიც არცთუ ისე შორეულ წარსულში ამშვენებდა საქართველოს და დღევანდელ ლოზუნგებთან შედარების პროცესში დავინახოთ ის „ფარული ვნებანი“, რომლებიც დღევანდელ კანდიდატებს ამოძრავებთ.

მოდით, პირველ რიგში ერთმანეთს შევადაროთ დღევანდელი სახელისუფლებო კანდიდატის ლოზუნგი „საქართველო სიღარიბის გარეშე“ წინა სახელისუფლებო კანდიდატის ყველასათვის ცნობილ ლოზუნგთან „სტაბილურობიდან კეთილდღეობისაკენ“, თავის „მილიონ სამუშაო ადგილთან“ ერთად.

რადგანაც ლოზუნგის მთავარი დატვირთვა იდეის გადმოცემაა, ამ ლოზუნგებს შორის არანაირი სხვაობა არ ჩანს.

როგორც ჩანს, მოქალაქეთა კავშირის უბეში დაფრთიანებული პოლიტიკოსები ვერაფრით ვერ გასცდნენ ხალხის გაჭირვებაზე თამაშს და მათი საარჩევნო დაპირება ისევ ჩვენს უმუშევრობას, გაურკვეველ მომავალს და გამოცარიელებულ მაცივრებს უკავშირდება.

აქედან საკმაოდ სამწუხარო დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომელიც ლოზუნგის სახით ასე ჩამოყალიბდება: როგორც წინა ხელისუფლებამ შექმნა მილიონი სამუშაო ადგილი და სტაბილურობიდან კეთილდღეობისკენ წაგვიყვანა, ისე დაგვაძლევინებს ეს ხელისუფლებაც სიღარიბეს.

რაღა დაგიმალოთ და სააკაშვილის მიერ საოცრად დამაჯერებელი ინტონაციით ნათქვამი გულუხვი დაპირებების მოსმენა (მართლაც ისეთი დამაჯერებელი ტონით ლაპარაკობს, რომ თვით სტანისლავსკისაც შეშურდებოდაძ, ხანდახან მეც კარგ გუნებაზე მაყენებს, მაგრამ როგორც კი სადღაც დროებით გამქრალი ბენდუქიძე, ბოკერია, ნადირაძე, ლომაია და ხელისუფლების კიდევ მრავალი სხვა წევრი გამახსენდება, მაშინვე ხასიათი მიფუჭდება და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ეკლესიასტეს სიტყვების „რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა, იგივე მოხდება; არაფერია მზის ქვეშ ახალი“ ჭეშმარიტებაში. ვრწმუნდები, რადგანაც იმ პლაკატების ნაცვლად, სადაც სააკაშვილი მეშახტეებს ესაუბრება, თუ მოხუც ქალბატონებთან არის ჩახუტებული, მაშინვე თვალწინ წარმომიდგება ის პლაკატები, რომლებიც სინამდვილეში უნდა იყოს გამოკრული. მაგალითად, სააკაშვილი მეშახტეების ნაცვლად ბენდუქიძეს, ბოკერიასა და სამყურაშვილს ესაუბრება, ან ნადირაძისა და ნინო კალანდაძის გარემოცვაში დგას.

ამ მხრივ ყველაზე სწორი ლოზუნგი ლევან გაჩეჩილაძემ შეარჩია. ფრაზა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, ძალიან ბევრ რამეს იტევს თავის თავში, ხოლო თვითონ გაჩეჩილაძე კი ისეთი კაცია, რომელიც ნამდვილად შეეფერება ამ ლოზუნგის მთქმელს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ ხელისუფლებამ ვერანაირი კომპრომატი ვერ მოძებნა გაჩეჩილაძის წინააღმდეგ. ვერ მოძებნა, თორემ ვინ დაასწრებდა კინოსტუდია „კომპრომატფილმს“ კიდევ ერთი დედექტიური უჟასის გადაღებას.

ბოლო ოციოდე წლის გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობა უპირატესობას ყოველთვის მაინც ე.წ. „ბოლშევიკურ-რევოლუციურ“ ლოზუნგებს ანიჭებდა.

ლოზუნგი „გავყაროთ მძარცველები ხელისუფლებიდან“, ყოველთვის უგებდა ლოზუნგს „ერთად გადავარჩინოთ მრეწველობა და მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“. სხვადასხვა საარჩევნო ფოკუსების შემდეგ, მძარცველები თავიანთ ადგილზე რჩებოდნენ და არც მრეწველობის მომავალი ჩანდა მაინცდამაინც „გაფურჩქვნილად“, ხოლო ხალხის მიერ მიცემული ხმა კი ისე იკარგებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დერეფნებში, როგორც წითელქუდა ტყეში.

ამ ორი ლოზუნგის „მფლობელმა“ პარტიებმა, დღეს სტილი შეცვალეს და უფრო „გულის ამაჩუყებელი“ ლოზუნგები შემოგვთავაზეს.

კარგით რა, ხალხო, ვიცით, რომ „საქართველო გაიმარჯვებს“. ნამდვილად გაიმარჯვებს! და ეს გამარჯვება პირველი იქნება ოცდამეერთე საუკუნეში და იქნება სხვა ახალი გამარჯვებების პირველ-საწყისი.

ეხლა მოდით, შევეშვათ ლირიკას და ვნახოთ, თუ ვინ რა ღონისძიებებს ატარებს ამომრჩეველთა გულის მოგების მიზნით.

*„თუ ნიანგმა შენი მტერი შეჭამა, ეს არ ნიშნავს, რომ ნიანგი შენი მეგობარია“*

*ძველი ეგვიპტური ანდაზა*

*„თუ პრეზიდენტობის რომელიმე კანდიდატმა შეშის ვაუჩერები დაგირიგა, ეს არ ნიშნავს, რომ ბენდუქიძეს საქართველოს ტყეები არ გაუყიდია“*

*თანამედროვე ქართული რეალობა*

იხ. 4 გვ.

№ 249. ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2007 წელი.

# ადუღებული დრო

შემოვლის დროს მიღებული ყველა შედეგი ვერ გადამოწმდა, რაც საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს. ვერ მოხერხდა კარდაკარ სიარულის დროს მიღებული შედეგების გათვალისწინებით სიებში ყველა ცვლილების შეტანა. კარდაკარ შემოვლამ გარკვეული შედეგი კი მოგვცა, მაგრამ რამდენად გააუმჯობესა და სრულყო სიები, ამის თქმა დღეისათვის არ შეგვიძლია



**არასამთავრობო ორგანიზაციები**

## ამომრჩეველთა სიები სრულყოფილი არ არის

***მოახლოებული არჩევნებისთვის საარჩევნო სიების არასრულყოფილებაზე ბევრს ლაპარაკობენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. პრეზიდენტობის კანდიდატთა შტაბები საარჩევნო სიების გაყალბებაში ხელისუფლებას ღიად ადანაშაულებენ. ამ თემაზე და რეალური ვითარების გასარკვევად „ინტერპრესნიუსი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელ დირექტორს ეკა სირაძეს ესაუბრა.***

**— თქვენი მონაცემებით, რამდენად სრულყოფილია ცესკოს მიერ წარმოდგენილი ამომრჩეველთა სიები?**

— ჩვენ სიებზე ვიმუშავეთ შარშან და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის სიები ხარისხიანად გადავამოწმეთ. სიებს ჩაუტარდა აუდიტი, რამაც აჩვენა, რომ სიებში მოხვედრილი მოსახლეობის დაახლოებით 5 პროცენტს სხვადასხვა მიზეზის გამო, არჩევნებში მონაწილეობის საშუალება არ მიეცემოდა. მიზეზებს შორის იგულისხმება ის, რომ მოქალაქეები სხვა ადგილას ცხოვრობენ და სხვაგან არიან რეგისტრირებული, ხან გვარი, ხანაც დაბადების თარიღი არ იყო სწორად შეყვანილი და ა.შ.

თებერვალ-მარტში ვაპირებთ ევროსაბჭოს მხარდაჭერით სიების გადამოწმებას და იმის დადგენას, თუ რამდენია ცდომილება სიებში. ამ ეტაპზე სიების ხარისხიანად გადამოწმებაზე ლაპარაკი რთულია, რადგან ასეთი საქმიანობა 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისათვის არ განგვიხორციელებია.

თუმცა, ჩვენმა ორგანიზაციამ ევროსაბჭოს მხარდაჭერით სიებზე მონიტორინგი განახორციელა კარდაკარ სიარულის მეთოდით. საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ყველა მოქალაქესთან უნდა მისულიყვნენ და შეემოწმებინათ სიების სიზუსტე. ჩვენ ცესკოში ე.წ კომპიუტერული ჯგუფის მუშაობას გავუწიეთ მონიტორინგი იმაზე, თუ როგორ შეჰყავდათ მათ მონაცემები საერთო სიებში. ამ საკითხზე გავაკეთეთ სპეციალური განცხადებაც. გარდა ამისა, განვახორციელეთ კიდევ ერთი საქმიანობა, რომლის მეშვეობითაც შერჩევით ვაწარმოეთ მონაცემთა ბაზის შემოწმება, თუ რამდენად აისახა მასში ცვლილებები.

დღესდღეობით ცესკოს მიერ წარმოდგენილი სიები, სამწუხაროდ, სრულყოფილი არ არის. ჩვენ ვგეგმავთ სიების ისევ გადამოწმებას. შემდეგ უკვე გვეცოდინება კონკრეტულად რამდენპროცენტიანი ცდომილება გვაქვს სიებში.

**— 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს რამდენი ამომრჩეველი იყო სიებში?**

— საერთო სიაში შესული იყო მონაცემები იძულებით გადაადგილებულ პირებზეც და ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 მილიონ 200 000 იყო.

**— თუ გაქვთ მონაცემი, 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე რამდენი ამომრჩეველი იყო დაფიქსირებული?**

— სამწუხაროდ, ახლა არ მაქვს ეს მონაცემი.

**— დღეისათვის წარმოდგენილ სიებში რამდენი ამომრჩეველია დაფიქსირებული?**

— რამდენადაც მახსოვს, ახლა სიებში დაფიქსირებულია 3 მლნ 300 ათას 760 ამომრჩეველი.

**— თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია ამტკიცებს, რომ საარჩევნო სიები გაყალბებულია. სამტრედიაში სიებში აღმოჩნდა 500 გარდაცვლილი, რამდენად შეესაბამება ოპოზიციის მტკიცება, თითქოს 5 იანვრის არჩევნები 1991 წლის სიებით ჩატარდება?**

— სიებში პრობლემა ნამდვილად არის. ეს არა მარტო მიცვალებულებს ეხება. ხშირია შემთხვევა, როცა კონკრეტული მოქალაქის მონაცემები არასწორადაა შეტანილი, არასწორად არის მითითებული მისამართი ან გვარი. გარდაცვლილები სიებიდან უნდა ამოყრილიყო. ნოემბერ-დეკემბერში კარდაკარ შემოვლა განხორციელდა. ამან შედეგი გარკვეულწილად გამოიღო, მაგრამ ვერ მოხერხდა იმ ხალხის გადამოწმება, რომლებიც რეგისტრაციის ადგილზე არ ცხოვრობენ. საცხოვრებელი ადგილი სხვა უწერიათ, რეალურად კი სხვაგან ცხოვრობენ. შემოვლის დროს მიღებული ყველა შედეგი ვერ გადამოწმდა, რაც საკმაოდ დიდ პროცენტს შეადგენს. ვერ მოხერხდა კარდაკარ სიარულის დროს მიღებული შედეგების გათვალისწინებით სიებში ყველა ცვლილების შეტანა. კარდაკარ შემოვლამ გარკვეული შედეგი კი მოგვცა, მაგრამ რამდენად გააუმჯობესა და სრულყო სიები, ამის თქმა დღეისათვის არ შეგვიძლია.

იხ. 5 გვ.

**ფიქრები**

## ტელეკრანი — ჩვენი ანარეკლი

**ორი ნოემბრის შემდგომმა მოვლენებმა ცხადი გახადა თითქმის ყველაფერი, რასაც კი მანამდე დემოკრატიის საფარქვეშ მალავდნენ, უფრო ზუსტად კი, ცდილობდნენ, დაემალათ. ეს ძალიან ფართო თემაა და მის განხილვას დიდი ფართობი და შესაბამისი დროც სჭირდება, ამიტომ შემოვიფარგლები იმ სფეროთი, რომელიც ჩვენთვის ყველაზე ახლობელია, კერძოდ — მასმედიით.**

იმ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლების სამივე შტოზე ტოტალურად დაპატრონებულია (თვით უკანასკნელ ჩინოვნიკამდე) ერთადერთი პოლიტიკური ძალა, მეოთხეს, ანუ მასმედიას თავისუფლების იმედი ვერ ექნება. მით უმეტეს იმ პირობებში, როცა კანონის აღქმა კანონთა დარღვევების მიჩქმალვის დონეზე დგას, ან კიდევ ამ დარღვევათა გამართლებით, რაც ხშირად ადამიანთა აბსოლუტურ სიბრიყვეზეა გათვლილი. ყოველ შემთხვევაში, ასეთად მიაჩნიათ საზოგადოების უდიდესი ნაწილი.

სწორედ ასე მოხდა მასმედიის მიმართაც ნოემბრის მოვლენების შემდეგ. მთავარ სამიზნედ, ეს ყველამ იცის (თვით ავსტრალიაშიც კი), ტელეკომპანია „იმედი“ იყო აღებული, თუმცა მისი „დაჩმორების“ შემდეგ, ესეც აშკარაა, გაზეთების ჯერი დადგებოდა. ჯანდაბას ფარისევლობა და პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამდენი კამათი მედიის ფუნქციებისა და დანიშნულების შესახებ, ამდენი მსჯელობა მასმედიელთა ეთიკურ ნორმებზე, გამოწვეული იყო ხელისუფლების ერთადერთი, ძალიან მწველი სურვილით: ამოედოთ რაც შეიძლება მაგარი ლაგამი იმ სატელევიზიო არხისთვის, რომელიც ძვალივით გაეჩხირათ ყელში. და როცა აშკარა გახდა, რომ 7 ნოემბრის საპოლიციო, ძალადობრივი „აღვირი“ საშინელი აღშფოთებით მიიღო მთელმა მსოფლიომ, შეუდგნენ უფრო „ნაზი“, საზოგადოებრივი ალიკაპის მოქსოვას თვით ჟურნალისტთა მონაწილეობით. ამის ნათელი მაგალითია სხვადასხვა „მედიასაბჭოების“ თუ ჯგუფების გააქტიურება. ამ კამათში (ესეც უნდა ითქვას) გულწრფელი, ობიექტური ხმებიც გაისმის, მაგრამ ყველამ — პატივცემულმა ექსპერტმა თუ სპეციალისტმა (როგორც მოფერებით უწოდებენ საკუთარ თავს) ისიც უნდა აღიარონ, რომ ეს „მედიაბუმი“ სწორედ „იმედის“ გამო ატყდა, ანუ ატეხეს ხელისუფლების პირდაპირი თუ ირიბი წაქეზებით, თორემ საამისო საფუძველი, იქნებ უფრო მეტადაც, მათ მანამდეც უამრავი ჰქონდათ. ამის ნათელ მაგალითს ქვემოთ შემოგთავაზებთ. დღეს კი, ვინც ხელისუფლებაშია და არ ეზარება — პრემიერ-მინისტრიდან დაწყებული პროკურორით დამთავრებული — მასმედიის (იკითხეთ — „იმედის“) დამოძღვრას ცდილობს, თანაც ისეთი არგუმენტებით, ზრიყვთა ქვეყანაში თუ გამოდგება. ეს კი იმისი აშკარა მაგალითია, რომ მეოთხე ხელისუფლება, საბედნიეროდ, ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ დაიმორჩილა პირველმა სამმა, თუმცა ამისი მცდელობა, კიდევ ვიმეორებ, ძალიან დიდია.

იყო დრო, როცა მასმედია, უფრო ზუსტად კი — პრესა, ახერხებდა ერთი ნაბიჯით მაინც გაესწრო საზოგადოებისთვის და შეძლებისდაგვარად ერთგვარი ავანგარდის როლი შეესრულებინა, პირველ რიგში, დემოკრატიული აზროვნების დამკვიდრებაში. მაგრამ შემდეგ საზოგადოებრივი ქაოსი, თავისი ძველი მენტალიტეტით, მასმედიასაც მისწვდა... თავისუფლების დროს, თუკი იქ ჯუნგლების კანონი არ მოქმედებს, სალი ყლორტები ყოველთვის ამოიზრდება. მაგრამ ჩვენში ასე არ მოხდა, რასაც მარტო ამ თუ წინანდელ ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ.

მასმედიას ყველაზე დიდი თავისუფლება (ეს გადაჭრით შეიძლება ითქვას) შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში ჰქონდა. მართალია, პრობლემებიც საკმაოდ იყო, მაგრამ იმ წლებში განვითარდა ობიექტური კი არა, პოლარიზებული მედია, პირველ რიგში კი ტელევიზია, და სწორედ ამ პოლარიზების ნაპრალები გაღრმავდა ამ ბოლო წლებში, ახალი ხელისუფლების დროს. ცხადია, ამაში დიდი როლი მიუძღოდა ეკონომიკურ ასპექტს, ანუ იმას, ვის ხელში იყო და არის დიდი ფული. სასაცილოა იმის თქმა, რომ ვინმეს, ვინც მედიასაშუალებებს აკონტროლებდა ან ქმნიდა, საქართველოში სიტყვის თავისუფლების პრობლემები აწუხებდა. ყველას თავისი პირადი მიზანი ჰქონდა და ამ მედიასაშუალებებს ისე იყენებდა, როგორც მეწაღე თავის ჩაქუჩს. ამიტომ თავისუფლად შეიძლებოდა (და შეიძლება) ტელეკომპანიის ლოგოტიპების ადგილზე იმ თანამდებობის პირთა ან გავლენიან პარლამენტართა ფოტოები მოგვეთავსებინა, რომლებიც ამ ტელესაშუალებებს აკონტროლებენ, ანდა ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენებისა.

რაღაც არ მახსოვს, ტელევიზიათა ამ ერთსახეობაზე დღევანდელივით მწვავე კამათი ატეხილიყოს თუნდაც ჟურნალისტთა წრეებში, მხოლოდ გულგრილად ითქმებოდა ვთქვათ, ამჯერად ვის გადაეცა ნობათად „რუსთავი-2“ და ა.შ. მცირე სკანდალებიც ხდებოდა, მაგრამ მთლიანად მასმედია ნაკლებად შეწუხებული ჩანდა თავისი ბედით, თუმცა კი ვიცი საკმაოდ ბევრი ჟურნალისტი, რომლებსაც, ცხადია, „თავისუფალი ცურვა“ ერჩივნათ და ახლაც ურჩევიათ, მაგრამ მეპატრონეთა რეგლამენტით მუშაობენ. რას იზამ, ყველა თავისი მორალის საპირწონე ტვირთს დაატარებს. ზემოხსენებული კამათი მხოლოდ მაშინ ატყდა, როცა ტელევიზიის ლოგოტიპებზე „არამკითხე“ ახალი სახე მკვეთრად გამოიხატა თავისი დიდი ულვაშებით.

ზემოთქმული, კიდევ ვიმეორებ, უფრო ტელევიზიებს ეხება, რადგან პრესას, მოსახლეობის გაღატაკებისა და, აქედან გამომდინარე, გაზრდილი საზოგადოებრივი ინდეფერენტულობის ფონზე, ნაკლები არეალი აქვს. ეს კარგად მოეხსენება ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ამ საკითხს, ეტყობა, მეორე ეტაპის ამოცანად თვლიდნენ. დღესაც მწერალი მედია უფრო თავისუფალი და ა-დ-ე-კ-ვ-ა-ტ-უ-რ-ი-ა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, გავიხსენოთ 2004-2005 წლებიც, როცა ახალ ხელისუფლებას ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, და არ თვლიდა, რომ მათ გარდა თუ ადამიანი იყო ჩვენს ქვეყანაში. იმდროინდელ მედიას, მათ შორის პრესას, აშკარად ეტყობოდა ამ უკიდეგანო ზეწოლისა თუ შიშის სინდრომის კვალი და ეს პერიოდი სასახელო მონაკვეთად ვერ ჩაითვლება თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის ჯერ კიდევ მოკლე ბიოგრაფიაში. მაშინ თითქმის ყველამ ბუჩქებს მიაშურა.

დღეს აშკარად სხვა სიტუაციაა და არც საზოგადოებაა თუნდაც ორი წლის წინანდელი. 4 წლის მანძილზე მისმა სრულმა იგნორირებამ საოცრად სწრაფად დააჩქარა მოვლენები, მაგრამ არა იმდენად, რომ საზოგადოება მართლაც დაფიქრებულიყო მასმედიის ნამდვილ როლზე ჩვენს ქვეყანაში. აღნიშნულ „მედია-ბუმს“, სამწუხაროდ, გაცილებით მერკანტილური მიზეზი აქვს, ვიდრე საზოგადოების ინტერესია და საბოლოოდ, როგორც ვთქვი, ყველაფერი ხელისუფლების ინტერესამდე დადის — არტახებში მოაქციოს მათთვის არასასურველი მედიასაშუალება, ანუ „ტელეიმედი“.

ამის თქმის მტკიცე საფუძველს გვაძლევს მრავალი მიზეზი, თუნდაც ის, რომ კეთილშობილი სახელის მქონე ტელევიზია, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ხელისუფლებას დღესაც პირად ტელევიზიად მიაჩნია, როგორც კომუნისტების დროს. არ ვეხები პირადად ამ ტელევიზიის თანამშრომლებს და ნამდვილად ვიცი, რომ უმეტესობას თავისუფალ პირობებში ურჩევია მუშაობა, მე მხედველობაში მაქვს ხელისუფლების დამოკიდებულება იმ მედიასაშუალების მიმართ, რომელიც ქვეყნის ბიუჯეტით არსებობს (თუმცა დღეს ქვეყნის და ხელისუფლების ბიუჯეტი რამ გაყო).

ეს ყველაზე ცხადად გამოჩნდა 7 ნოემბრის შემდეგ. საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემდგომმა იმ ორიოდე კვირამ მთელი სიცხადით გვიჩვენა, რამდენად არამყარია მასმედიის მდგომარეობა საქართველოში, როცა ხელისუფლებას ძალუძს ხელის ერთი დაქნევით კომუნისტურ პერიოდში დაგაბრუნოს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ხელისუფლების ნება არა ერთი, არამედ რამდენიმე სახით (ტელეკომპანიით) წარმოსდგება და ზუსტად მრავალთავიანი ჰიდრის ანალოგიაა. ეს საშინელი ორი კვირა იყო ჩვენი მოქმედი ტელევიზიებისთვის, როცა პროკურატურა სამართალდამცველი ორგანოდან იდეოლოგიური ძირგამოთხრის ბიუროდ გარდაიქმნა, ხოლო ტელევიზიები — მის ქვეგანყოფილებებად. საუბარია ბიზნესების წიგნში შესატან

იხ. 4 გვ.

№ 249. ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2007 წელი.

მრავალი პარამეტრით, მიმდინარე მოვლენათა ყველაზე მრავალფეროვან, უფრო ობიექტურ და დაბალანსებულ სურათს მაინც ისევ „ტელეიმედის“ საინფორმაციო სამსახური იძლეოდა. რა თქმა უნდა, ცალკეული გადახრები მასაც აქვს, მაგრამ ამ საკითხში მის კოლეგებთან შედარება „იმედს“ აშკარად მომგებიან მდგომარეობაში აყენებს

◉ ფიქრები

# ტელეეკრანი — ჩვენი ანარეკლი



(მესამე გვერდიდან)

ტრაგიკომიკურ ეფექტზე, როცა პროკურატურამ ვითომ მამხილებელი ფილმები გადაიღო ხელისუფლების მოწინააღმდეგეებზე (რაიმე რეალური მონაცემები რომ ჰქონოდა, მათ სამართლიანად დააპატიმრებდა კიდეც), რასაც ფართო ასპარეზი დაუთმო ყველა „დამოუკიდებელმა“ თუ „საზოგადოებრივმა“ ტელევიზიამ. ეს ძალზე საწყენი გახლდათ, რადგან „მზეზე“ ვერ ვიტყვი და თვით „რუსთავი-2“-შიც კი, ხანდახან დღესაც, გამოკრთება ხოლმე მოჯანყე ჟურნალისტის სული, ხოლო „საზოგადოებრივ მაუწყებელში“ არაერთხელ გვინახავს გაწონასწორებული, ანუ ორივე მხარის ინტერესების დაბალანსებით შექმნილი სიუჟეტები. მაგრამ 8 ნოემბერს ხელისუფლებამ პირდაპირ განაცხადა, თუ ვინ უკვეთავს მუსიკას ამ სფეროში და ჟურნალისტთა აზრი ფეხებზე ჰკიდია.

ახლა მდგომარეობა აშკარად გამოსწორდა და ხელისუფლების მიერ დაქვემდებარებულ ტელევიზიებში ფიცხელი თოკშოუებიც იმართება ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთობლივი მონაწილეობით, მაგრამ დღეს უკვე ესეც იწვევს სერიოზულ ეჭვს; ახლა „ტელეიმედი“ ამოქმედდა და დანარჩენებს ძველი გზით რომ გაეგრძელებინათ სიარული, მათ მხოლოდ დავით ბაქრაძე და გივი თარგამაძე თუ უყურებდნენ.

თუ გულით გსურს, საბაბად ათასი რამ შეიძლება მოიყვანო: გადატრიალებისკენ მოწოდება, მოსკოვის ხელი და ა.შ. მაგრამ ერთი ასეთი ნამდვილი ფაქტიც რომ ყოფილიყო, თვით მამაზეციერის ლაღადს არ დაუგდებდნენ ყურს „ტელეიმედის“ აღდგენის შესახებ. რაც შეეხება მსჯელობას, ყველაფერზე შეიძლება კამათი, გააჩნია, რას აიღებ მსჯელობის საგნად. მაგალითად, ის, რომ 7 ნოემბრის შემდეგ ზოგიერთი ტელევიზია სამაგალითოდ გვიჩვენებდა სხვადასხვა ქვეყანაში მომიტინგეთა დარბევებს (და არ ამბობდა, რას სჩადიოდნენ მანამდე თვითონ უცხოელი მომიტინგეები), რატომღაც თბილისური დარბევების წახალისება უფრო იყო, ვიდრე ობიექტური სურათის შექმნა, ანუ ეს ზაზა ზეგაშვილის უმაგალითოდ ამაზრზენი საქციელის (როცა ლამის პოლიციელთა ხელჯოხებს დაუწყო კოცნა) ერთგვარი ტელევერსია გახლდათ.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „ტელეიმედი“ ობიექტურობის ეტალონად გამოვაცხადო. ამ ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია და სწორედ შედარებისთვის მინდა გამოვიყენო ერთგვარად ნეიტრალური მასალა, კერძოდ „მედიის სისტემური ანალიზი“. ეს პროექტი, რომლის დირექტორი ცნობილი ჟურნალისტი ია ანთაძე გახლავთ, დაფინანსებულია და მხარდაჭერილია არა, ვთქვათ, შალვა ნათელაშვილის ქომაგთა კომიტეტის, არამედ ევროკავშირისა და ევრაზიის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის მიერ, რაც ხაზს უსვამს მიერ ობიექტურობას, ცხადია, მეტ-ნაკლები საზომით.

მეტ-ნაკლებად იმიტომ, რომ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენო იმ მეთოდის უტყუარობა, რომელსაც მიმართავდა პროექტში მონაწილე ჯგუფი არსებული ვითარების ანალიზისთვის, მაგრამ საბოლოო ჯამში მათ დასკვნაში, რომელიც უამრავი ციფრით და მონაცემით არის გამაგრებული, მაინც იკვეთება საერთო ტენდენცია, რომლის უარყოფა ძნელია. კვლევის საგნად „სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის“ ჯგუფმა სამი ტელეკომპანიის — „რუსთავი-2“-ის, „ტელეიმედის“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის საღამოს (8 ან 9 საათის) საინფორმაციო პროგრამები („კურიერი“, „ქრონიკა“, „მოამბე“) აიღო, ვადად — მათი 4 თვის მუშაობა 2007 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით.

ეს არის საკმაოდ დიდი მასალა ცალკეული სიუჟეტებისა და ინფორმაციების სრული ქრონომეტრაჟით, რომელშიც იკვეთება ერთი საერთო სურათი: მრავალი პარამეტრით, მიმდინარე მოვლენათა ყველაზე მრავალფეროვან, უფრო ობიექტურ და დაბალანსებულ სურათს მაინც ისევ „ტელეიმედის“ საინფორმაციო სამსახური იძლეოდა. რა თქმა უნდა, ცალკეული გადახრები მასაც აქვს, მაგრამ ამ საკითხში მის კოლეგებთან შედარება „იმედს“ აშკარად მომგებიან მდგომარეობაში აყენებს. ეს მჟღავნდება მრავალ ასპექტში: ვის რამდენჯერ გამოჰყავს ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები, ასევე ოპოზიცია პოზიტიური თუ ნეგატიური ნიშნით და ა.შ. მაგალითისთვის ვიტყვით, რომ ე.წ.ყვითელ ინფორმაციაში (ანუ ისეთში, რომელიც ერთდროულად ორ ტელევიზიაში ქვეყნდება) საპარლამენტო ოპოზიციიდან „კურიერში“ და „მოამბეში“ ლამის ნახევარი აქვს დაკავებული „მრეწველებს“. ეს, რბილად რომ ვთქვათ, გასაკვირია, რადგან ყველამ იცის, რომ „მრეწველები“ არ წარმოადგენენ ასე გამორჩეულ ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალას და მათ, უეჭველია, სხვა ოპოზიციონერების დასაბალანსებლად იყენებენ, — აი, ოპოზიციის აზრსაც გასმენინებთო. გარდა ამისა, „კურიერში“ და განსაკუთრებით „მოამბეში“ პრიორიტეტულია აღმასრულებელი (და არა საკანონმდებლო) ხელისუფლების აზრი, ანუ ისევე, როგორც ეს მთელ ქვეყანაშია.

ამიტომ სჯობდა მედიასაბჭოები და მედიაბჭოები 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ კი არ გამართულიყო, არამედ მანამდე, თუკი ვინმეს მართლა შესტკიოდა გული ჩვენს ქვეყანაში თავისუფალი და ობიექტური ჟურნალისტიკის განვითარებაზე. დღეს კი ეს ყველაფერი აშკარად არაგულწრფელი ჩანს, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი აშკარად ხელისუფლების ნავში გადასული ჟურნალისტი ისეთივე სიბრძნეს აფრქვევს, როგორსაც ზოგიერთი ჩინოვნიკი. მიხნიკის ჯგუფში კი ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ისეთი ხალხია, რომ ისინი გიგა ბოკერიათი, მაია ნადირაძით და გივი თარგამაძით რომ ჩაანაცვლო, მაინც არაფერი შეიცვლება. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს თუნდაც ის ფაქტი, რომ მედიასაბჭომ, რომელიც თითქოს იგივე მიზნითაა შექმნილი, ტელევიზიების მიერ საპრეზიდენტო კანდიდატებისთვის გამოყოფილი დრო დაახლოებით ტოლ-სწორად ჩათვალა. მოკლედ, ჭმევაც ეს არის. ეტყობა, ჩვენი მოსამართლეებივით ბრმები ვგონივართ. იქნებ ამ მედიასაბჭოსთვის ნაციონალ-საბჭო დაერქვათ, რადგან იქ მედიის გარდა ყველაფერია.

ერთგვარი დასკვნის სახით კი შეიძლება თქმა: საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ არ შექმნილა ისეთი დამოუკიდებელი მასმედია, რომელიც შეძლებდა წინააღმდეგობა გაეწია ნებისმიერი თავდასხმისათვის ხელისუფლებისა თუ სხვა ძალების მხრიდან. თუნდაც იმ დონეზე, ცნობილ იგავში რომ არის ძაღლებისა და მგლის შესახებ. მარტო პრესა ამას ვერ შველის, რადგან გაღატაკებული მოსახლეობისათვის ბეჭდური მედია ზედმეტი ფუფუნებაა და ტვინის ჭყლეტაა, საქართველოში საზოგადოება ჯერჯერობით ჩვენი ტელევიზიების დონეზე რჩება.

**გიორგი ჩოჩიშვილი**

◉ განსჯა

# ლოზუნგები, რომლებიც გულს აღარ გვიჩუყებს

(მეორე გვერდიდან)

ნათელაშვილი და გამყრელიძე თითქოსდა მოვალეობის მოხდის მიზნით დადიან ამომრჩევლებთან შეხვედრებზე. მათი სტილი უცვლელი და ყველასათვის უკვე ცნობილია. თუ ნათელაშვილი ჩვეული ღიმილით „აცამტვერებს“ დღევანდელ ხელისუფლებას, გამყრელიძე „აკადემიური“ მეთოდებით უმტკიცებს ელექტორატს თავის უპირატესობას.

ეს კი საკმაოდ მოსაწყენია.

ხალხს შეფხიზლება, შეძახება და დარაზმვა სჭირდება. ამ მხრივ კვლავ სააკაშვილი და გაჩეჩილაძე აქტიურობენ. დილით რომ კახეთში არიან, გაიხედავ და საღამოს ბათუმის ბულვარიდან გიქნევენ ხელს.

ძალიან მძიმე საქმე დააწვა კისერზე სააკაშვილს. არა, არც გაჩეჩილაძე დადის ია-ვარდებით თბილისი-ლესელიძის დამაკავშირებელ მაგისტრალზე, მაგრამ სააკაშვილს უფრო უჭირს. უჭირს იმიტომ, რომ ის „მარტო მუშაობს“. მარტო დადის, რადგანაც ამ შემთხვევაში ლექსენისა და ნინას „მოძრაობები“ ბევრს არაფერს არ წყვეტს, მაგრამ იძულებულია კონცერტებით მოატაროს საქართველო და ისრაელი თავის მხარდამჭერ მომღერლებს, რადგან „პიარის“ ერთ-ერთი წესი მოითხოვს, რომ საინფორმაციო ვაკუუმი არ უნდა იყოს. ჰოდა, რომ არ იყოს ეს წყეული ვაკუუმი, ამიტომ სცენიდან მაინც უნდა იძახოს ვინმემ, ხმა მიეცით ჩვენს კანდიდატსო (არადა, იმ კონცერტებზე მისულთა 80 პროცენტს საარჩევნო ასაკი ჯერ არ შესრულებია).




გაჩეჩილაძე კი, როცა თვითონ ბათუმშია, მაშინ ქარელში დავითაშვილი და ტლაშაძე არიან, თბილისში კუკავა მართავს ბრიფინგს და ბალათურიას „დასელები“ დილის ხუთ საათზე აქციას ატარებენ ქალაქის პოლიციის სამმართველოსთან.

როცა გაჩეჩილაძე ბორჯომში ჩადის, მაშინ ბალათურია, გამსახურდია და დავითაშვილი დუშეთში ადიან, ის კი არა და დავითაშვილმა სვანეთშიც მოასწრო „არბენა“ (მაგრად მოძრაობს კობა).

სააკაშვილი კი მარტოა. სულ მარტო (ახლა არ მითხრათ, ნუ აგვიჩუყე გულიო). არა, ძვირფასო მკითხველო, ნამდვილად არ ვცდილობ თქვენი გულის აჩუყებას. უბრალოდ მინდა გითხრათ, რომ კაცმა, რომელმაც ოთხი წელი პრეზიდენტად იმუშავა და ისეთი ათი კაცი ვერ დაიყენა გვერდით, რომლებსაც ასეთ საპასუხისმგებლო დროს ხალხთან მისასვლელი პირი ექნებოდა, ვერც მომავალში იზამს რამეს.

ძალიან უჭირს და სწორედ ამის გამო დაევალათ სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლებს, არა მხოლოდ თვითონ მისცენ ხმა ყოფილ პრეზიდენტს, არამედ ათი მხარდამჭერის სიაც უნდა წარადგინონ თავიანთ უშუალო ხელმძღვანელებთან.

კიდევ რა ხდება?

რა და საქართველოს მოსახლეობა ერთი მილიონით გაიზარდა (ძალიან მაგარია).

რა და კანდიდატთა რეიტინგებს ცესკოს თავმჯდომარის მეუღლე ითვლის (ცესკოს თავმჯდომარეებს კი არჩევნების წარმატებით ჩატარების შემდეგ ან თბილისის მერად ნიშნავენ, ან მინისტრად, შეიძლება ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარეობასაც გამოკრა ხელი).

კიდევ რა და თურმე მათიას იორში სოროსის თანამემამულე ყოფილა, კონდოლიზა რაისი კი — ზანგი.

კიდევ რა და სიმღერა დაიწერა „იმედის“ დარბევაზე. „იმედისა“, ამ სიტყვის როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით (მაინც რა მაგრები ვართ ქართველები, ყოველთვის ვმღერით და თან კლიპებსაც ვიღებთ).

ჰო, სიმღერაზე გამახსენდა: ტელეკომპანია „იმედი“ ამუშავდა. ამუშავდა და მხარში ამოუდგა ტელეკომპანია „კავკასიას“. გრიგოლია და ხოფერია ანიკაშვილმა ჩაანაცვლა (თანაც საკმაოდ კარგადაც).

„იმედის“ ეთერში გასვლის პირველივე დღეს სააკაშვილმა ხმების სულ ცოტა ხუთი პროცენტი დაკარგა. დაკარგა იმიტომ, რომ „ღია ეთერმა“ ხალხს შვიდი ნოემბერი გაახსენა, თანაც მარტო კი არ გაახსენა, არამედ პირდაპირ ეთერში აჩვენა ნაცემი გოგონები, აჩვენა ფეხმძიმე მანდილოსნები, რომლებსაც ცემით ემუქრებოდნენ, აჩვენა ხელისუფლების უაზრო სისასტიკე და, რაც მთავარია, აჩვენა ის, რომ ეს ხალხი არ დაშინებულა, არ გაქცეულა (ზოგიერთების გარდა, რა თქმა უნდა), აჩვენა ის, რომ არც სხვა დაშინდება.

დარწმუნებული ვარ, ამ გადაცემის ნახვის შემდეგ რომელიმე ტიპური ქართველი ბოთლიდან მინერალურ წყალს მოსვამდა, მაცივრის თავზე დადებულ ელექტროენერგიისა და გაზის ვაუჩერებს დახედავდა და ერთს გემრიელად შეიკურთხებოდა.

და სწორედ იმიტომ, რომ ზემოთქმულში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, წერილს დავამთავრებ გიორგი თარგამაძის სიტყვებით „ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება!“

**გია გაბრიჭიძე**

„სახელისუფლებო წრეები უკვე შეუდგნენ არჩევნების გაყალბებას. დროულად უნდა გამოვავლინოთ ნებისმიერი დარღვევა, ზნეობრივად უნდა შეფასდეს ყველა ის მოვლენა, რაც ხდებოდა და ხდება წინასაარჩევნო პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი ვერ გამოიყენებს იმ შანსს, რომელიც არჩევნებმა მისცა“



გუშინ

## გაჩეჩილაძის ვოიაჟი გრძელდება

პრეზიდენტობის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე გუშინ ამომრჩევლებს გორში შეხვდა.

ლევან გაჩეჩილაძე მათ ქვეყნის მართვის საპარლამენტო მოდელის უპირატესობასა და გაპრეზიდენტების შემდგომ გეგმებზე ესაუბრა.

გაერთიანებული ოპოზიციის შიდა ქართლის შტაბის უფროსმა თეო ტლაშაძემ კი წინასაარჩევნო მოვლენებში ადგილობრივი პოლიციის აქტიური მონაწილეობა და გაყალბებული საარჩევნო სიები გააპროტესტა.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაზე ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად გერმანიაში დაკავებული იასონ ჩიხლაძის, იგივე „ვოლკის“ ოჯახის წევრებიც გამოჩნდნენ.

მათი მტკიცებით, ჩიხლაძე, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მაღალჩინოსანი იყო, სრულიად უდანაშაულოა და იგი მიხეილ სააკაშვილის უშუალო ბრძანებით უკანონოდ დააკავეს.

ლევან გაჩეჩილაძემ შეხვედრები საჩხერეში, ჭიათურასა და ქუთაისშიც გამართა.

## ხალხი პატარკაციშვილს უჭერს ხმას და არა ფულს

არკადი (ბადრი) პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბთან, ყოფილ რიტუალების სასახლესთან ამ წუთებში კვლავ მხარდამჭერთა გრძელი რიგია.

როგორც იქ შეკრებილი ადამიანები აცხადებენ, ფულისთვის არ მისულან და სურთ პატარკაციშვილის მხარდაჭერა რეგისტრაციით გამოხატონ.

— ჩვენი ნება და სურვილია პატარკაციშვილი ავირჩიოთ. მას ბევრი ფული აქვს და არც ის აინტერესებს, არც ეს... გაჭირვებულ ხალხს დაეხმარება, — განაცხადა ერთ-ერთმა მოქალაქემ.

ყოფილ რიტუალების სასახლეში მივიდნენ პატარკაციშვილის შტაბის წევრები. როგორც შალვა ხაჭაპურიძემ განაცხადა, არავისთვის ფულის გადაცემა და სამსახურის შეთავაზება არ ხდება. მისი თქმით, ხალხი მხარდაჭერის გამოხატვის მიზნით არის შეკრებილი.

პატარკაციშვილის მხარდამჭერებს რეგისტრაციის გავლა, ცენტრალური შტაბის გარდა, სხვადასხვა რეგიონებში გახსნილ ოფისებშიც შეუძლიათ.

## მაისაშვილს სჯერა, რომ სააკაშვილს აჯობებს

პრეზიდენტობის კანდიდატმა გია მაისაშვილმა აჭარაში ორდღიანი საარჩევნო კამპანიის შედეგები შეაჯამა.

როგორც მაისაშვილმა ბათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, აჭარის რეგიონში მოსახლეობას მასთან კომპეტენტური კითხვები ჰქონდა და ამ რეგიონსაც, ისევე როგორც მთელ საქართველოს, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები აწუხებს.

რაც შეეხება 5 იანვრის არჩევნებს, მაისაშვილის თქმით, თუ ხელისუფლებამ ინება და წინასაარჩევნო კამპანია სამართლიანად წარმართა, მაშინ დიდი შანსი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მიხეილ სააკაშვილს აჯობოს.

ინტერპრესნიუსი

„ზნეობრივი ფრონტი“

# ქართველი ერი ვერავის აპატიებს მათრახის ენაზე ლაპარაკს!



(მეორე გვერდიდან)

გოგი ქავთარაძემ, სოსო ცისკარიშვილმა, შოთა ნადირაშვილმა და სხვებმა „ზნეობრივი ფრონტის“ შექმნის აუცილებლობაზე იმსჯელეს. მათი აზრით, „ზნეობრივი ფრონტი“ აქტიურად უნდა ჩაერთოს ქვეყნის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, გავლენა მოახდინოს 5 იანვრის არჩევნებზეც.



**„სახელისუფლებო წრეები უკვე შეუდგნენ არჩევნების გაყალბებას. დროულად უნდა გამოვავლინოთ ნებისმიერი დარღვევა, ზნეობრივად უნდა შეფასდეს ყველა ის მოვლენა, რაც ხდებოდა და ხდება წინასაარჩევნო პერიოდში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართველი ხალხი ვერ გამოიყენებს იმ შანსს, რომელიც არჩევნებმა მისცა“,** — აღნიშნა ქალბატონმა ნანა კაკაბაძემ.

საზოგადოების ოვაცია მოჰყვა „ქართული აკადემიის“ წევრის ნუკრი ქანთარიას გამოსვლას: **„7 ნოემბერი ერთბაშად არ მომხდარა. ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო. 7 ნოემბერი იყო შედეგი იმ მრავალრიცხოვანი დანაშაულებისა, რომელიც მანამდე ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ. „ზნეობრივი ფრონტი“ იქმნება იმიტომ, რომ მმართველმა ძალამ იგრძნოს ქართული საზოგადოების ძალა. უკლებლივ ყველამ ზნეობრივი პროტესტი უნდა გამოუცხადოს სიყალბესა და ძალადობას. ჩვენი ერი ვერავის აპატიებს ჯოხისა და მათრახის ენაზე ლაპარაკს. ეს უნდა იყოს გაკვეთილი ჩვენი მომავალი მთავრობებისთვისაც. მათ უნდა იცოდნენ, რომ ქართველი ერი მათრახს არ დაირტყამს!“** — დაასრულა ნუკრი ქანთარიამ.

ვნახოთ, როგორ აღასრულებს ნაკისრ მოვალეობას ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ზნეობრივი ფრონტი“.

ხათუნა ჩიგოგიძე

სიმართლე კი ასეთია

# ამომრჩეველთა სიები სრულყოფილი არ არის

(მესამე გვერდიდან)

**— ერთიან სიებში შეყვანილი არიან მოქალაქეები, რომლებიც საქართველოში რეალურად არ ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ქვეყნიდან გასულია. არიან თუ არა ისინი ცესკოს მიერ წარმოდგენილ სიებში?**

— ამ კატეგორიის ადამიანების სიიდან ამოღების ან არშეტანის არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. ამგვარ რამეს კანონი არ ითვალისწინებს, ისინი ნებისმიერ დროს შეიძლება ჩამოვიდნენ საქართველოში და უნდა მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. თუმცა, ისინი, ვინც გასული არიან საქართველოდან, უნდა დარეგისტრირდნენ საზღვარგარეთ არსებულ საქართველოს საელჩოებში, შემდეგ საელჩოებმა ცესკოს უნდა გადასცენ ეს მონაცემები. ძირითად სიაში კი უნდა იყოს მითითებული, რომ ისინი გასული არიან საქართველოდან და იმყოფებიან საკონსულო აღრიცხვაზე.

**— ხომ არ აჯობებდა, რომ ამ კატეგორიის ამომრჩეველი არ იყოს დაფიქსირებული სიებში და თუ ისინი არჩევნებისთვის საქართველოში ჩამოვლენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეიყვანონ დამატებით სიებში?**

— მე არ ვიცავ ცესკოს, მაგრამ მათი სიიდან ამოღება კანონით არ არის განსაზღვრული და ამისათვის არანაირი იურიდიული საფუძველი არ არსებობს. უპრიანი იქნებოდა კანონმდებლობის ჩარჩოში მოგვექცია ის, რომ ვინც ქვეყნიდან გასულია, მათი რეგისტრაცია მომხდარიყო საკონსულოებში, შემდეგ ამ მონაცემებით ეხელმძღვანელა ცესკოს. საკონსულოებს ცესკოსთან კოორდინირებულად ემუშავათ, სისტემატურად მიეწოდებინათ სიები ცესკოსთვის. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის ადამიანები არ გადიან საკონსულოებში რეგისტრაციას იმის გამო, რომ საზღვარგარეთ არალეგალურად იმყოფებიან.

**— გამოდის, რომ შევარდნაძის პერიოდიდან მოყოლებული ვერ მოხერხდა სიების სრულყოფა და ამ არჩევნებსაც არასრულყოფილი სიებით ჩავატარებთ?**

— სიები არჩევნების სამართლიანად ჩატარებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. სია ცოცხალი ორგანიზმია, ის სულ განიცდის ცვლილებას და მასზე სულ მუშაობაა საჭირო. სამწუხაროდ, ამომრჩეველთა სიები ყველას მხოლოდ არჩევნების მოახლოების დროს გვახსენდება. მერე, რა თქმა უნდა, დრო არ არის და ყველაფერი მოკლე ვადებში კეთდება. შემდეგ ისე გამოდის, რომ ვერ ვახერხებთ სიების სრულყოფას.

**— თქვენი მონაცემებით, დღეისათვის არსებულ სიებში ცდომილება რამდენი შეიძლება იყოს?**

— შარშანდელმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ ცდომილება იყო 5 პროცენტამდე. იმედი მაქვს, რომ ცდომილების ეს პროცენტი არ გაიზრდებოდა.

კობა ბენდელიანი

„ინტერპრესნიუსი“

ინფორმაცია

## დირექტორსა და მასწავლებლებს ახსნა-განმარტებას სთხოვენ

აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების სამსახურის გალის რაიონულ განყოფილებაში სოფელ ქვემო ბარღების საშუალო სკოლის დორექტორი და მასწავლებლები დაიბარეს.

მათ, სავარაუდოდ, ახსნა-განმარტებას მოსთხოვენ საქართველოს განათლების მინისტრთან მაია მიმინოშვილთან გამართული შეხვედრის გამო, რომელიც ერთი კვირის წინ ზუგდიდში გაიმართა.

ინტერპრესნიუსი

## რეგიონებში არჩევნების გაყალბებისთვის ემზადებიან



საერთო სახალხო მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი თეო ტლაშაძე აცხადებს, რომ ხელისუფლება რეგიონებში გაყალბებისთვის ემზადება.

— ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო შტაბში რეგიონების მაღალჩინოსნები იკრიბებიან და გაყალბების გეგმებს ამუშავებენ, — აღნიშნა ტლაშაძემ.

ჯი-ეიჩ-ენი

რეგისტრაცია დაიწყო

## ახალგაზრდები გაჩეჩილაძის შტაბში ერთიანდებიან

პრეზიდენტობის კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძის მხარდამჭერ ახალგაზრდულ შტაბში რეგისტრაცია დაიწყო.

როგორც შტაბის ხელმძღვანელმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, თბილისის ოფისის გარდა, მხარდამჭერთა რეგისტრაცია რეგიონებშიც მიმდინარეობს, კერძოდ იმერეთსა და კახეთში.

მისივე თქმით, შტაბში გაწევრიანების სურვილი სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან ძალიან ბევრმა სტუდენტმა გამოთქვა, ასევე — ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებმა.

რეგისტრაციის გავლის შემდეგ ახალგაზრდებს თეთრ ყელსახვევსა და წინასაარჩევნო ატრიბუტიკას ურიგებენ.

პირველ აქციას ახალგაზრდული შტაბის წევრები დღეს გამართავენ. ისინი სხვადასხვა სოციოლოგიური ცენტრების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებს გააპროტესტებენ.

ინტერპრესნიუსი

# შინ და გარეთ

**ამბობენ, წინასაარჩევნოდ თელავში ჩასულ სააკაშვილთან ოპოზიციონერი კახელები შეხვედრას აპირებდნენ და დაცვამ ახლოს არ მიუშვა, ამიტომ იძულებული გახდა, თავის მომხრეებთან ერთად თელავის თეატრში შესულიყო და კამპანია იქიდან ეწარმოებინაო**

## ინფორმაცია

### „უკვე გადახაზულია“

**„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა პრეზიდენტობის კანდიდატის მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბთან, რომელიც ფილარმონიაში განთავსებული, საპროტესტო აქცია გამართეს.**

**როგორც ორგანიზაციის წევრმა ჯაბა ჯიშკარიანმა განაცხადა, 5 იანვარს საქართველოს მოქალაქეებმა ხუთი ნომერი კი არ უნდა შემოხაზონ, არამედ საბოლოოდ გადახაზონ.**

**აქციის მონაწილეებმა ფილარმონიის შენობის მინაზე გააკრეს პლაკატი – „უკვე გადახაზულია“.**

**ამის შემდეგ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა შტაბში შესვლა სცადეს, მაგრამ ამის საშუალება დაცვამ არ მისცა.**

**ინტერპრესნიუსი**

## წინასაარჩევნოდ

# სააკაშვილის დაპირებების კახელებს აღარ სჯერათ



**კახეთში უკვე წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა. ადგილობრივი ოპოზიცია და პოზიცია საკუთარი მომხრეების სიების შედგენა-დაზუსტებას ცდილობენ. მათი აზრით, ასე არჩევნების გაყალბებას თავიდან აიცილებენ, თუმცა, საეჭვოა მსგავსი სიებით საკუთარი მომხრეების ზუსტი განსაზღვრა, რადგან აღმოჩნდა, რომ ბევრი ახლობლობის გამო უარს არც ერთ მხარეს არ ეუბნება, ხელს ორივეს უწერს.**

ასეა თუ ისე, კახეთში საარჩევნოდ დიდი მზადებაა, როგორც მითხრეს, არჩევნებმა მოახლოებული ახალი წელიც კი გადაგვავიწყაო. გაჭირვებამ თუ უსამართლობამ დიდიც და პატარაც ერთნაირად „გააპოლიტიკოსა“, ოპონენტი მეზობლები ერთმანეთს წაჰკიდა და ნათესავი ნათესავს დაუპირისპირა, მალე მათ საკუთარი არჩევანის გაკეთება მოუწევთ, „რჩეული“ კი მომავალში როგორ გაამართლებს, არავინ იცის. პრეზიდენტობის კანდიდატების დაპირებები წინასაახალწლოდ თოვლის პაპის დაპირებებს ჰგავსო.

არჩევნებამდე ბევრი აღარ დარჩა, ამიტომ თავშეყრის ადგილებში კახელები ახლა, მხოლოდ პოლიტიკაზე საუბრობენ, დიალოგს კი მათთვის მიუღებელი კანდიდატის კახური „შეკურთხვით“ ამთავრებენ.

აღმოჩნდა, რომ ოპოზიციის მომხრე კახელები შაბათს საღამოს „რუსთავი 2-ზე“ გასულმა სიუჟეტმა გაალიზიანა, სადაც კახეთში ჩასული ჟურნალისტები „P.S.მობილში“ მიპატიჟებულ მგზავრებს ლევან გაჩეჩილაძის მოწოდებებს კომპიუტერით ასმენინებდნენ და აზრს ეკითხებოდნენ. მათ გასაკვირად ყველა მგზავრი – რესპონდენტი გაჩეჩილაძის „პირადი მტერი“ და მომდურავი როგორ აღმოჩნდა, სურათი ისე დაიხატა, თითქოს მთელი კახეთი ოპოზიციის ოპოზიცია იყოსო.

კახელებს თვალში განსაკუთრებით ვენახში მომუშავე ერთ-ერთი გლეხი მოხვდათ – საგულდაგულოდ გამოწყობილი, გაპრიალებული ფეხსაცმლით მიწას რომ ბარავდა და ოპოზიციას ენერგიულად აკრიტიკებდა, – როდის იყო კახელები ვენახში ასე გამოწყობილი დავდიოდითო...

მათ ჯერ არც ჩავლილი რთველი დავიწყებიათ, მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარი ბევრს დასაკრეფი და ჩაუბარებელი რომ დარჩათ. ერთმა ამას ახლობლის ისტორიაც მოაყოლა, – ოჯახმა 5 ტონა საფერავი რომ ვერ გაყიდა და ყურძენი ღორებს შეაჭამაო, ეს ამბავი ყვარლის რაიონის სოფელ საბუეში ყველამ იცისო. – ამიტომ ყოფილი პრეზიდენტის და ახლანდელი პრეზიდენტობის კანდიდატის ლოზუნგის – „საქართველო სიღარიბის გარეშე“ მათ აღარ სჯერათ, – ყურძნის პრობლემა ვერ მოგვიგვარეს, ეგ როგორ გაგვამდიდრებსო.

ამბობენ, წინასაარჩევნოდ თელავში ჩასულ სააკაშვილთან ოპოზიციონერი კახელები შეხვედრას აპირებდნენ და დაცვამ ახლოს არ მიუშვა, ამიტომ იძულებული გახდა, თავის მომხრეებთან ერთად თელავის თეატრში შესულიყო და კამპანია იქიდან ეწარმოებინაო.

ზოგს კი ოპოზიციის ხელისუფლებაში მოსვლა იმიტომ აშინებს, რომ სააკაშვილის მიერ დანიშნულ დახმარებას მოგვიხსნიანო...

ასეა თუ ისე, კახელებშიც აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგს შალიკო მოსწონს თავისი ზღაპრული დაპირებებით, ზოგს – მიშიკო აღტკინებული შეძახილებით, ზოგს – 7 ნოემბერს ნაცემ-ნატყეპი „სახალხო მოძრაობის წევრები“.

**დინჯი კახელები ჯერ ისევ ფიქრობენ და თავიანთ საბოლოო არჩევანს საარჩევნო ყუთთან გააკეთებენ.**

**ლელა მანავლიშვილი**

## გლობუსი

# კოსოვო, ჩვენ და

**დასასრულს უახლოვდება მსოფლიოს ერთ-ერთი რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე კოსოვოს საკითხი, რომელიც წლების განმავლობაში სერიოზული დაპირისპირების საგნად არის ქცეული დასავლეთსა და რუსეთს შორის, თუმცა თუ დავაზუსტებთ – აშშ-ა და რუსეთს შორის. ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ისე ერთმნიშვნელოვნად არ იხილავენ კოსოვოს დამოუკიდებლობას, როგორც ამერიკელები.**

განსხვავებული მიდგომა გასულ კვირასაც გამოიკვეთა, როდესაც ევროკავშირის სახელმწიფოების მეთაურები შეხვდნენ ერთმანეთს. საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის განცხადება, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა გადაწყვეტილია და მას წინ ვერავინ აღუდგება, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს პორტუგალიის, კვიპროსისა და რუმინეთის ხელმძღვანელებმა. ისინი კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან კოსოვოს ერთმნიშვნელოვან დამოუკიდებლობას. მათი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს გაეროს უშიშროების საბჭომ. მათთვის მიუღებელია სხვა ვარიანტი, ანუ – ამერიკული, რაც გულისხმობს კოსოვოს პარლამენტის მიერ დამოუკიდებობის გამოცხადებას და მის ცნობას აშშ-ს, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების და სხვათა მიერ. ვაშინგტონის მეორე ვარიანტი მას შემდეგ გაჩნდა, რაც რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ვიდრე თვით მხარეები – სერბეთი და კოსოვო არ შეთანხმდებიან ამაზე.

რომ არა მოსკოვის მტკიცე პოზიცია, ა. წ. გაზაფხულზე მსოფლიოს კიდევ ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო მოევლინებოდა კოსოვოს სახით. რუსეთის დაჟინებული მოთხოვნით კოსოვოს აჰტისაარისეული გეგმა გვერდზე გაიწია და დაიწყო ბელგრადსა და პრიშტინას შორის მოლაპარაკებების ახალი რაუნდი, რომელიც ახლახან დასრულდა, ცხადია უშედეგოდ. ბელგრად-პრიშტინას პოზიციები და მათი შეჯერების შესაძლებლობის არსებობა იმთავითვე იყო ცნობილი, მაგრამ უშიშროების საბჭოში რუსეთის მოსალოდნელი ვეტოს თავიდან აცილებისათვის საბჭოს მუდმივი 4 წევრი დაეთანხმა მეხუთე მუდმივი წევრის მოთხოვნას ერთი პირობით, რომ მოლაპარაკება დეკემბრამდე და არა მუდმივად, გაგრძელდებოდა. რუსეთის აზრით, საკითხის სერიოზულობა მოითხოვს მოლაპარაკების შეთანხმებამდე გაგრძელებას. იგივე აზრისაა ბელგრადიც, თუმცა სპეციალისტთა აზრით სერბეთის ხელისუფლება იმასაც აცნობიერებს, რომ ზედმეტ სიჯიუტეს შეიძლება ევროკავშირის ეკონომიკური სანქციები მოჰყვეს. **კოსოვოს მიერ ცალმხრივი დამოუკიდებლობის შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება სერბეთის მიერ ძალის გამოყენება, ვინაიდან ის საბოლოოდ დაემშვიდობება ევროკავშირში შესვლას და სხვა სიკეთეებს. ევროკავშირში გაწევრიანებას დასავლეთი სატყუარასავით იყენებს ბელგრადისაგან თანხმობის მოსაპოვებლად. დასავლური სიკეთეების მიღების პერსპექტივა სერბეთის ხელისუფლებისათვის იმდენად მომხიბვლელია, რომ არ არის გამორიცხული ბელგრადის დაყოლიება, თუმცა დღეს ეს საეჭვოა, ვინაიდან არავინ იცის რას მოიმოქმედებს ნაციონალური სულისკვეთებით განმსჭვალული პოლიტიკური ძალები, რომელთა სიუხვე თვალშისაცემია.**

მოსკოვის პოზიცია მკაცრი და შეურიგებელია. მისი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობა წაახალისებს მიძინებულ თუ აქტიურ სეპარატიზმს მთელს მსოფლიოში. განსაკუთრებით ევროპასა და ყოფილ საბჭოთა სივრცეში. მოსკოვის ვარაუდი უსაფუძვლო არ არის, მოსკოვის შეხედულებას იზიარებს ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსი და ამა თუ იმ ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი, სადაც ჩატარდა სატელევიზიო გამოკითხვები.

**საქართველოსთვის მოსკოვის პოზიცია უფრო მისაღები უნდა იყოს, ვიდრე დასავლური. დასავლეთს არც იმაში დაეჯერება, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის რეცეპტი მხოლოდ კოსოვოსთვის არის გამოწერილი და ის სხვას არ წაადგება. ძნელია სეპარატიზმის ბაცილით დასნეულებულის ამ უკბილო მოსაზრების დაჯერება.** საქართველოსთან მიმართებაში მოსალოდნელია კოსოვოს მაგვარი ვარიანტის შემოთავაზება. სატყუარაც არის, ნატოში გაწევრიანება. საქართველოს ნაციონალური ხელისუფლების წყალობით სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობა ისე დაიძაბა, რომ სოხუმცხინვალმა საბოლოოდ აქცია ზურგი თბილისს. დასავლეთისათვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, სიმშვიდესთან შედარებით, ნაკლებად აქტუალურია. დასავლეთისათვის მილსადენების უსაფრთხოება გაცილებით დიდია, ვიდრე ქართველი ხალხისა და საქართველოს ისტორიული წარსული. დასავლეთი ნაკლებად გულმხურვალედ ეკიდება ისტორიულ ემოციებს. დასავლეთი მოჭარბებულად პრაგმატულია, მისთვის უფრო მისაღებია დაშლილი იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, საბჭოთა კავშირი ან რუსეთი მომავალში.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ტელეკომპანია ბი-ბი-სის პოლიტიკური პროგრამა „ჰარდ ტოკ“-ი (მძიმე საუბარი) სისტემატურად იხილავს კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხს. გამომსვლელ პოლიტიკოსთა განცხადებებიდან ჩანს, როგორ ცდილობს დასავლეთი სერბი პოლიტიკოსების „დემოკრატიულ დაყოლიებას“, საუბრებითა და დაპირებებით მათ „მორჯულებას“. შედეგიც არის. გამოჩნდნენ ისეთებიც, ვისთვისაც ევროკავშირის სიკეთეები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კოსოვოს შენარჩუნება. რა გარანტიაა, რომ მსგავსი ქმედება საქართველოშიც არ იქნება? ხომ შეიძლება აქაც გამოჩნდნენ ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც ხალხის სურვილს ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით არ გააწბილებენ? ვილა გაიხსენებს დაკარგულ ტერიტორიებს, როდესაც ნატოში შესვლის ხიბლი იძალებს? ეს ისე, განსჯისათვის.

**ყოველგვარ სერიოზულობას არის მოკლებული საპრეზიდენტო არჩევნებთან ნატოში შესვლის საკითხის მიტმასნება. ეს საკითხი იმდენად სერიოზულია, რომ ცალკე, დამშვიდებულ გუნება-განწყობის დროს უნდა განიხილებოდეს და არა „თათარიახნად“. კენჭისყრამდე მოსახლეობას სუბიექტური და ობიექტური მოსაზრებები უნდა გაეცნოს, არა ისე ცალმხრივად, როგორც დღეს. ნატოში ყოფნა-არყოფნა არაფრით ჩამოუვარდება პრეზიდენტობის ინსტიტუტის ან თვით მისი აღმატებულება სააკაშვილის ყოფნა-არყოფნას.**

რახან არჩევნები ვახსენე, იმასაც მოგახსენებთ, რომ 5 იანვრის მოახლოებასთან ერთად იძაბება პოლიტიკური ვითარება და მოსახლეობის დამოკიდებულება კანდიდატის მიმართ. პრეზიდენტობის მსურველთა რაოდენობის შემცირებამ საზოგადოების არასრული, მაგრამ მაინც კმაყოფილება გამოიწვია. მოსახლეობის აზრით, უმჯობესი იქნებოდა ზოგიერთი სხვაც ჩამოშორებოდა არჩევნებს.



განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაშურში ხალხთან საუბრის ერთი სიუჟეტი, რომელიც ცინიზმის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. 60 წელს გადაშორებულმა რკინიგზის ყოფილმა მუშაკმა, დასაქმების თხოვნით მიმართა კანდიდატს და აღნიშნა, რომ ასაკის გამო რკინიგზიდან დაითხოვეს. ეს რა ესმის ჩემს ყურებსო, ამის გაკეთება როგორ შეიძლებაო და იქვე მდგომ რკინიგზის შეფს უბრძანა, პროფესიონალი მუშაკის სამსახურში აღდგენა. უცხოეთში ვინ გაბედავს თუნდაც 70 წლის და უფრო მეტის, გამოცდილი მუშაკის სამსახურიდან გაგდებასო



◉ დროის სურათი

# მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული...

## სწორედ ასეთი მდგომარეობაა სადღეისოდ ბაზარში, რომელიც პროდუქტებით სავსეა, ოღონდ „ფარა“ გქონდეს

**წინასაახალწლო დღეებია. როგორც წესი, ამ დროს ყველგან ხალხმრავლობაა, ქუჩებში, მარკეტებსა თუ ტრანსპორტში, მაგრამ ყველაზე მეტი ხალხი მაინც ბაზარში იყრის თავს. ამბობენ, ნამდვილი სიცოცხლე ბაზარში დუღს, აქ ყველაზე მეტად იგრძნობა, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ.**

თბილისელები მეტისმეტად დააზარალა ცენტრალური სუპერმარკეტის გაყიდვამ, „დეზერტირების ბაზარს“ რომ ვეძახდით. გაყიდვით კი მალე გაყიდეს, მაგრამ ნგრევა რამდენიმე თვეა გრძელდება და არავინ იცის, როდის დამთავრდება. ამ ბაზარში თითქმის მთელი თბილისი დადიოდა, ყველამ იცოდა, სად, რა და რა ფასში იყიდებოდა ძველი ბაზრის გვერდით, მთლად ისე კარგად არა, მაგრამ მაინც გაიხსნა მცირე ბაზარი, სადაც პროდუქტები, ხილი, ბოსტნეული და სხვა ისე ლამაზ ფერებშია გამოფენილი, მყიდველს ნამდვილად იზიდავს, მოკლედ ყველაფერია, რაც საახალწლო სუფრას უნდა ამშვენებდეს, მაგრამ სიძვირის გამო არა მგონია, ბევრმა შეძლოს მრავალფეროვანი საახალწლო სუფრის გაშლა.

**— ქალბატონო, სიძვირეა ბაზარში?** — ვკითხე ქალს, რომელსაც ეტყობოდა, უკვე ევაჭრა და გეზი შინისკენ ჰქონდა აღებული.

— რა გითხრათ, სიიაფე არ არის, მაგრამ არც სიძვირეა. ახალ წლამდე ჯერ კიდევ დროა, მახსოვს, შარშან, ამ დროს, ნიგოზი 20 ლარი ღირდა, ხოლო ახალწლის წინა დღეს 26,28 ლარი. ეს არის, რომ აქ დახლები ცოტაა, ამიტომ პროდუქტების სიმცირეა. 1 იანვარს ჩემი შვილიშვილის დაბადების დღეც არის, ამიტომ ვცდილობ, რაც აუცილებელია, დროულად ვიყიდო.

იქვე, ახლოს, მოხუცი ქალი ხელით ნაქსოვ წინდებს ყიდდა. გავესაუბრე.

— ტიბაანელი ვარ, გენაცვალე, კახეთიდან. გაგიგონიათ ეს სოფელი? ჩვენებური ღვინო განთქმულია ყველგან.

**— ეს წინდები თქვენ მოქსოვეთ?**

— კი, სულ ჩემებია, ზამთარში, სხვა საქმე რომ არაფერი მაქვს, მატყლს ვრთავ და ვქსოვ, აბა, სხვა რა გავაკეთო? ჯერ დილაა ისევ, რამდენიმე წყვილი უკვე გავყიდე. მინდა ჩემს გოგო-ბიჭებს საახალწლო საჩუქრები გავუკეთო. იაფად ვყიდი, ზოგს 3 ლარად, ზოგს — 4 ლარად. იყიდეთ, არ ინანებთ შინ მწოლიარე მეუღლე დავტოვე და გაბრუნება მეჩქარება.

მოხუცი შემეცოდა და ორი წყვილი ვიყიდე, მართლაც კარგი წინდებია. ახლა ჩურჩხელებთან გავჩერდი, დახლს გადავხედე და ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მერე ერთ-ერთ გამყიდველს შევეკითხე:

**— ასე ერთნაირად როგორ ავლებთ ყველა ამ ჩურჩხელებს?**

— როდის გითხარით, რომ ჩვენ ვავლებთ? — კითხვა აქეთ დამიბრუნა გამყიდველმა და განაგრძო: მაგ საქმეზე 3-4 ოჯახი მუშაობს. ჩვენთან ჩამოაქვთ და ვყიდულობთ. არავინ მოგატყუილოთ, ყველა ნაყიდს ყიდის.

**— თითოში განა რამდენი გრჩებათ?**

— 50 ან 70 თეთრი. ესეც საქმეა. პირადად მე, რამდენი ხანია, ამ საქმით ვარ დაკავებული, დღეში ხან 4-5 ლარი, ხან მეტიც მრჩება, ბევრი არაფერია, მაგრამ პურის ფული მაინც არის. წასვლა და ჩამოტანა არ შემიძლია, რადგან ტრანსპორტი არ მყავს. დღეს ერთი ჩურჩხელა 2 ლარია, მალე 3 ლარიც იქნება. ყველაფერი გაძვირდა.

მეზობელ დახლთან ქათმები იყიდება. გოჭი და ინდაური თითო-თითო თუ არის.

— მუხრანის ქათამი, მუხრანის ქათამი,— ხმას უწევს შავებში ჩაცმული ქალი, რაკი დამინახა, რომ მისკენ გავემართე.

— ნუ გამიწყრებით, ქალბატონო, მე დღეს ქათმის ფასი მაინტერესებს მხოლოდ, მყიდველი არ ვარ.

— თითოს 6-7 ლარად ვყიდი. სახლში, სიმინდით გაზრდილებია, — მიქებს და მიქებს ქალი და ცდილობს როგორმე მაყიდინოს.

**— როგორც ვხედავ, არჩევანი არის, არა?**

— არჩევანი არის, მაგრამ დღეს უფრო სიიაფეა, ბევრი ქათამიც აწყვია დახლებზე. მერე უფრო და უფრო გაძვირდება.

იხ. 9 გვ.

◉ გლობუსი

# ჩვენი არჩევნები

ხელისუფლება დაშვებული თუ დაუშვებელი ქმედებით ყველაფერს აკეთებს გამარჯვების მოსაპოვებლად. მისთვის არაფრის მთქმელია ოპოზიციური კანდიდატების განცხადებები წინასაარჩევნო კამპანიის დროს სახელისუფლებო კანდიდატის მიერ უხეში მეთოდების გამოყენების თაობაზე.

ხელისუფლებას არც ის ანაღვლებს, რომ არჩევნებში კარგა ხნის წინათ გარდაცვლილებიც მიიღებენ მონაწილეობას. პირიქით! არც ის, რას იტყვიან უცხოელი დამკვირვებლები, მიზანი ერთია“ — ყველა ძალით და ხერხით გამარჯვება. ამ სანუკვარი ოცნების ასრულებისთვის სახელისუფლებო კანდიდატი ისეთ თვისებებს ავლენს, ბევრს უკვირს კიდევაც, ის არის თუ არაო. სამსახიობო ხელოვნების ცოდნითაც რომ შეფასებულიყო კანდიდატთა შესაძლებლობები, პირველობას ვერავინ შეეცილებოდა სახელისუფლებო კანდიდატს. მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გაკვირვების გამოსახატავად დაწყობილი სახის გამომეტყველება არათუ უბრალო ხალხს, არამედ გამოცდილ ფსიქოლოგებსაც აფიქრებს, მართლაც არ იცის რა ხდებაო, თითქოს 4 წლის განმავლობაში განხორციელებული ექსპერიმენტები და ე. წ. რეფორმები მან კი არა სხვამ წამოიწყოო. კანდიდატის გაკვირვებას უმალ მოსდევს მინისტრებისადმი ბრძანებები, ფულისა და საჩუქრების ჩამორიგება, დაპირებები ხელფასებისა და პენსიების გაზრდის თაობაზე, საქართველოს სიღარიბიდან გამოყვანა და სხვა მრავალი.



**კანდიდატის თუნდაც ფარისეველურმა გაკვირვებამ ნაციონალთა ოთხი წლის ნამოქმედარი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. არადა თუნდაც 2 თვის წინათ სწორედ იმ მიღწევებით მოჰქონდა თავი, რითაც დღეს ესოდენ უკმაყოფილოა.** დღეს მას მიაჩნია, რომ თურმე პენსიები დაბალი ყოფილა და ის 100 აშშ დოლარამდე უნდა გაიზარდოს, თურმე მიუღებელია ლოჯიებისა და სახლების ნგრევა, მეცნიერებათა აკადემიის უგულებელყოფა, პოლიციის ძალით ლტოლვილების საცხოვრებლებიდან ღია ცის ქვეშ გამოყრა, მათთვის მოღალატის ტიტულის მიკუთვნება, „დეზერტირების“ ბაზრის 7.000 მოსამსახურის ულუკმაპუროდ დატოვება, სალარო აპარატების შემოღება, 40 წლის ასაკს გადაშორებული ადამიანების სამუშაოდან დათხოვა და სხვა მრავალი. მან და მისმა არანაციონალურმა ხელისუფლებამ იმდენი ანტიადამიანური, ანტიეროვნული ქმედება ჩაიდინეს, რომ გიკვირს, როგორ ეყოთ 4 წელი.

**ჩასარეცხად გამზადებული აკადემიკოსებისათვის ხელფასის მომატება, სალარო აპარატების გაუქმება, „დეზერტირის“ ბაზრის მოვაჭრეთა მიერ დანგრეული ბაზრის მიმდებარე ქუჩების ოკუპაცია, დანგრეულ-დაუნგრეველი ლოჯიების დაკანონება და სხვა მრავალი იმ რეფორმების უვარგისობაზე მიგვანიშნებს, რომლითაც თავს იწონებდა ხელისუფლება.** განსაკუთრებით აღსანიშნავია ხაშურში ხალხთან საუბრის ერთი სიუჟეტი, რომელიც ცინიზმის მწვერვალად შეიძლება ჩაითვალოს. 60 წელს გადაშორებულმა რკინიგზის ყოფილმა მუშაკმა, დასაქმების თხოვნით მიმართა კანდიდატს და აღნიშნა, რომ ასაკის გამო რკინიგზიდან დაითხოვეს. ეს რა ესმის ჩემს ყურებსო, ამის გაკეთება როგორ შეიძლებაო და იქვე მდგომ რკინიგზის შეფს უბრძანა, პროფესიონალი მუშაკის სამსახურში აღდგენა. უცხოეთში ვინ გაბედავს თუნდაც 70 წლის და უფრო მეტის, გამოცდილი მუშაკის სამსახურიდან გაგდებასო. ვილას გაახსენდა დევიზი — 40 წელს ზევით კაცი კი არა ხეც არ გვინდაო. ნაციონალთა ამ დევიზით ათეულ-ათასობით ადამიანი უდროოდ გაუყენეს პენსიონერთა გზას, დღეს კი ეპატიჟებიან ე. წ. დასაქმების პროგრამით დამლაგებლებად, მუშებად და ა. შ. ოღონდ ადგილები არ არის.

დაპირებების სიუხვით არა მარტო სახელისუფლებო კანდიდატი გამოირჩევა, არამედ მისი ახალი პრემიერი და სხვა, შედარებით „სახიანი“ ნაცლიდერები, რაც მართალია საზოგადოებამ დაისვენა, იმედია დიდი ხნით, სახელისუფლებო პარტიის ხალხის „მოსიყვარულე“ უსახო ლიდერების ნადირაძის, ბოკერიას, კირკიტაძის, სამყურაშვილის და სხვათა ტელეეკრანზე ხშირი ხილვისაგან. მათი ადგილი შედარებით ახალმა ვარსკვლავებმა ბაქრაძემ, სუბელიანმა, ტყეშელაშვილმა, გურგენიძემ დაიკავეს. მათი რიტორიკის ამპლიტუდა, განსაკუთრებით ბაქრაძისა ისეთია, არჩევნები რომ 5 იანვრის ნაცვლად 5 თებერვალს გაიმართოს, „პოპულარობაში“ ცნობილ „ვარსკვლავებს“ უდავოდ უკან ჩამოიტოვებს.

ნაციონალური მოღვაწეობის ოთხწლიანი მუშაობის შეფასება ისეთივე აუცილებელია, როგორც მისი წინამორბედის, მოქალაქეთა კავშირისა, მაგრამ ეს ხვალ. დღეს კი ნაციონალთა კანდიდატი მისთვის ჩვეული რიხით ატარებს წინასაარჩევნო კამპანიას. **ყველა დაპირება, ცხადია, დიდ თანხებს უკავშირდება. მარტო ფქვილის დარიგება 37 მილიონი დოლარი დაჯდა. ყველას აინტერესებს, დაპირებების შესრულებისათვის თანხებს საიდან აიღებს. ამ შემთხვევაში სეროჟას ვარიანტი — „ტუმბოჩკიდანო“, არ მოხდება. მავანი განმარტავს, ბიზნესმენებიდანო.** ქვეყანაში სადაც პროდუქციის შემქმნელი არც ერთი სერიოზული ქარხანა არ მუშაობს, ხოლო სოფელი თავისი პროდუქტებით, ყურძნის და ხილის ჩაბარებისა არ იყოს, სახითხითო დონეზეა, ბიუჯეტის შევსების წყაროდ ნაცნობმეგობრებისა და ნათესავების წრიდან დანიშნული ბიზნესმენები რჩება. სწორედ ისინი, „საკუთარი სურვილით“ გაიღებენ თანხებს... შემდეგ გაორმაგებული ენერგიით ყელში წვდებიან ისედაც გაღატაკებულ მოსახლეობას და ისეთ ფასებს დააწესებენ კვების პროდუქტებსა და პირველი მოხმარების საგნებზე, რომ სუპერმარკეტ „პოპულში“ ერთი კილოგრამი ცხვრის ხორცის ფასი — 25 ლარი, სანატრელი გახდება. **მომხმარებლის ინტერესის დაცვა საქართველოში ისეთივე უცხო ხილია, როგორც პაპაი, თორემ, კაფეში ერთი ფინჯანი ჩაი 3.50 ლარი არ უნდა ღირდეს. რა შეიძლება დაერქვას ისეთ „ეკონომიკას“, რომელიც 2.50 ლარად ღირებული 25-პაკეტიანი ჩაის კოლოფიდან 1 პაკეტს 3.50 ლარად ყიდის? ალბათ ასეთი ეკონომიკური წარმატება იგულისხმებოდა ნოემბრის მოვლენებამდე, პრეზიდენტისა და მისი მთავრობის განცხადებებში საქართველოს ეკონომიკური წინსვლის 14-პროცენტიანი ბარიერის მიღწევა, რომ გვახარეს.**

როგორც იქნა, საქართველოს „სტრატეგიულმა მეგობარმა“ რაღაც ამოღერღა. აშშ-ს კონგრესმა პრეზიდენტ ბუშს კატეგორიულად მოუწოდა, ყურადღება მიაქციოს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას. არავინ იცის, რა შედეგს გამოიღებს ეს მოწოდება, მაგრამ პატარა იმედის მომცემი მაინც არის.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

№ 249. ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2007 წელი.

## გზა ტაძრისკენ

**პაპაჩემზე, დავითზე, ასეთი თქმულება გამიგონია: იმდენი ოსი ჰყავს მონათლული, 300-ს სამი უკლიაო. ჰოდა, ვიდრე ის სამიც არ მოუნათლავს, არ გარდაცვლილა ის ცხონებული. ვინ ვიყავით ამის შემდეგ, მტრები თუ მოყვრები?**



**მწერლის სიტყვა**

# მერაბ ელიოზიშვილი: — ცხინვალი ჩემი დარდია

*ამ ბოლო თხუთმეტწლეულში ცხინვალის ახლომახლო ბრძოლებში დაღუპულ ოს და ქართველ ნათელ-მირონს, შაბათობით მოსახსენებლად.*

*სამღვდელო დიაკონი მამა ელიოზი*

**მწერალ მერაბ ელიოზიშვილთან სტუმრობისას, ვიცი, დიდხანს შევყოვნდები, რადგან მოვისმენ ისეთ ამაღლებულ საუბარს ჩვენს სამშობლოზე, ისეთი სიტკბოებით აღსავსეს, როგორიც იშვიათად გამიგონია.** ჩვეულებრივ ყოფაშიც კი ძალზე ამაღელვებლად საუბრობს მწერალი, ჩაგაფიქრებს, ბევრ რამეზე თვალსაც აგიხელს. დღევანდელობას კი მართლაც სჭირდება მაღალი სულიერებისა და ზნეობის მქადაგებელი ერისკაცი. მერაბ ელიოზიშვილი კი ერისკაცია თავისი სიტყვით, თავისი კალმით, თუნდაც თავისი ჯიქური და ქართლური პირდაპირობით. ის გახლავთ ჩქარი ლიახვის შვილი, ძირძველი ცხინვალელი და გვარიანი მამულიშვილი. თუმცა, სჯობს, მისივე სიტყვები მოვიშველიოთ მწერლის პორტრეტის დასახატავად, თავბერიკა ლალეს პირით ამოთქმული, პიესიდან „ბერიკონი“:

***ვაზის ვარჯია სხეული ჩემი,***
***რქა და მტევანი,***
***სულიც შიგა დგას***
***ქართველი კაცის —***
***ქართულ ვენახში.***
***ვინ არა სცადა ჩემი მოჭრა,***
***მოთხრა, მოსპობა,***
***— ვერაფერს გახდა***
***დღემდე ვერავინ.***

ხომ ასეთი ბობოქარი, გაუტეხელი სულის მქონეა, ამავდროულად, ღვთიური რწმენით და თავმდაბლობითაა აღვსილი. ამიტომაც ინება ბერობა. ერთის მხრივ, გაუტეხელი მეციხოვნე ქართული სიტყვისა, მახვილივით შემართული, მეორე მხრივ, ღვთის მორჩილი და ფაქიზი სულის ღვთისმსახური, შავანაფორიანი დიაკონი...

ესეც ქართველი კაცის მაღალი სულიერების გაცისკრებ-გამზიანება!

მე ალბათ, ვერაფერს ვიტყვი მასზე ისე ზუსტად და შესაფერისად, როგორც მეუფე ნიკოლოზმა, ბოდბელმა ეპისკოპოსმა ამ რამდენიმე წლის წინათ თქვა:

**მამა ელიოზი — კაცი მართალი:**

**მამა ელიოზი — სიყვარულის მქადაგებელი;**

**მამა ელიოზი — ქართული სიტყვის მისხალ-მისხალ შემგროვებელი, ერთ ლამაზ თაიგულად შემკვრელი;**

**მამა ელიოზი — გამთლიანება ჩატეხილი ხიდისა ერსა და ეკლესიას შორის;**

**მამა ელიოზი — წმინდა ნინოს გზაზე დინჯად და გულმხურვალედ მავალი;**

**მამა ელიოზი — ცრემლით მლოცველი ვაჟკაცი, უცხოთშემწყნარებელი და ყოველივეს მპატიებელი;**

**მამა ელიოზი — ლამაზ ქართულ სიტყვაზე ამხედრებული უებრო მხედარი;**

**მოდის მამა ელიოზი და ჯიუტად გაურბის თოხარიკზე გადამჯდარ სიბერეს.**

საუბრის თემა, უპირველესად, მშობლიურ ქალაქს შეეხება. ცხინვალი მისი დარდია. მწერლის სიტყვას კი, ვფიქრობ, ამ გაზეთის მკითხველებისთვისაც დიდი ფასი აქვს, რადგან შემოქმედის ფიქრის ქურაშია გამობრძმედილ-გამოღნობილი. თანაც, ამდენი წელიწადია, არა და არ დამშვიდდა ჩვენი ლამაზი მხარე, შვებით ვერ ამოისუნთქა მშვიდობას დანატრებულმა ლიახვისპირელმა ხალხმა. ამას წუხს მწერალი:

**— როგორ მაკლია ჩემი ცხინვალი, ძმებო! ხომ ხედავთ, მე კვლავ „ძმებოს“ ვხმარობ. აბა, რა გითხრათ, მტრებოო, ვთქვა? ეს სახელი გავაჩინო და შემდეგ — დავამკვიდრო ჩემს მოთხრობებში, ჩვენს შორის? ღმერთმა დამიფაროს! ეგ კია, ლამის ოცი წელია, ცხინვალის მიწისა და ცის სითბო და სიყვარული ჩამორთმეული გვაქვს ქართველებს. რაც კი რამ მითქვამს, ცხინვალიდან მომდევს, ჩემი მიწიდან და წყლიდან... რად მოდიოდითო ასი ავტობუსით! — გვსაყვედურობთ ზვიადის დროს ქართველებს. რად მოვდიოდით და თავისუფლების სუნთქვა მოგვქონდა თქვენსკენ თბილისიდან წამოსულ თავისუფლების მგზავრებს, ოსებს და ქართველებს, სიხარულით მოვფრინავდით, გვჯეროდა, რომ ერთად უნდა ვმდგარიყავით თავისუფლების ფერხულში... მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ ჩვენგან გაყრა გინდოდათ? ნუთუ ამას ფიქრობდით თანაცხოვრების 200 წლის განმავლობაში!.. მე კი მაშინ, როცა რუსის ტანკები და ლულები მომიშვირეთ, ძმებო, სიხარულით მიჩქროლავდა გული, საგულედან მეჭიკჭიკებოდა, როდის მოგეახლებოდით, როდის გნახავდით, რომ დამეძახა თავისუფლების სიხარული, რომლითაც ჩემს სულს ემღერებოდა. მოვფრინავდით სამახარობლოდ. გულის გული, დედ-მამის ჯიგარი, დიდ წინაპართა ძვლები მეძახდა ჩვენი ქონგურებიანი კოშკიდან. უნდა შეგხვედროდით, გადაგხვეოდით ჩემი „ბებერი მეზურნეებით“, „თეთრი ქარავანით“, „დიდი მწვანე ველით“, რომელიც მანდა მაქვს დაწერილი... ამას იმიტომ ვამბობ, რომ თაობები გაგეზარდათ, რომელთაც არც იციან ქართული სანთელ-საკმევლის მადლი.**

**ჩვენს ძმობაში იყავით ჩართული. ერთად ვიდექით მიწაზე სათესშიც, საჩეხშიც... რატომ არ გახსენდებათ, რად გვეძახით ნათლიებს? მენატრებიან ის ჯაველი, ერმანელი ოსები, „ნათლი, ნათლიო“ — რომ გადამეხვეოდნენ, გულში მიკრავდნენ. ნუთუ არ გენატრებათ ქართველები, დღემდე რომ ისევ „ნათლის“ ეძახით? მას მერე, რაც ბარში ჩამოხვედით, ვინა გნათლავდათ, — რუსი ვანია, თუ ჩვენი დიდი მამის შვილები? მენატრება ის შეხვედრები, იმ ნათელ-მირონის მადლი, რომელიც, აგერ ლამის ორი საუკუნეა, ერთმანეთთან გვაკავშირებს.**

**ჩემი კორპუსის წინ კერძო სახლებია, სადაც 17 ოსი ოჯახი ცხოვრობს. თუ ცხინვალში არ შემიშვებთ, თქვენ ჩამოდით თბილისში და ნახეთ, როგორ ცხოვრობენ აქ ოსები — მამალიც უყივით, ძაღლიც ჰყავთ, ღორიც და კატაც. უმიწაწყლო მეცხრე სართულიდან დავცქერი და მათი თავისუფლად ყოფნა მიხარია. ზოგიერთ მათგანს პირადად ვიცნობ, გამოვდგომივართ კიდეც ერთმანეთს და მათთან სალამ-ქალამში ვიკლავ ცხინვალის მონატრებას. სად გაგონილა, ნათლიასთან უმძრახად იყო? თქვენ ივიწყებთ და პატარებს, ბავშვებს რაღას ერჩით? გაიხსენეთ, უამბეთ შვილებს ჩვენი ნათელ-მირონის ამბავი. უამბეთ, იქნებ გული ნელ-ნელა მოულბეთ და ქრისტიანულ გზას დაადგნენ, რომ იცოდნენ ყველაფერი და ისე განსაჯონ!**

მწერალი ისე საუბრობს, თითქოს ქართულ სიტყვას აჩუქურთმებდეს, გრძობ, მისი სული მთლიანადაა გაჟღენთილი თავისი ქალაქის, თავისი წარსულის მონატრებით. მისი სულიერი წუხილი ციური საიდუმლოებითაა სავსე. ამიტომ ჩვეულებრივი, ყოფითი საუბარიც კი ამაღლებულ განწყობას იძენს. უცრემლოდ ვერ იხსენებს მშობლიურ სახლ-კარს და ამ დროს ეს გოლიათი რაღაცნაირად, გულჩვილ ბავშვსაც კი ემსგავსება ხოლმე: **— მენატრება ჩემი აკლებული, პატარა მწვანე ველი, ვაზი აჩეხილი და ატირებული. ჩემს ეზოში გავლა მენატრება... ელიოზიშვილები ციხე-კოშკის მქონებელი აზნაურები ვიყავით, ღვინოც გვქონდა ჩვენი საკმარისი და პურ-მარილიც. იმდენი გვქონდა, სხვებსაც ვუყოფდით. ზაფხულობით ეზო-კარი ისე აივსებოდა ხოლმე სტუმრებით, მეზობელ-მეგობრებით: ოსებით, ქართველებით, სომხებით, ებრაელებით, მტევანივით დაიხუნძლებოდა ხოლმე ჩვენი სახლის კიბე, მომსვლელს ვეღარ იტევდა.**

**პაპაჩემზე, დავითზე, ასეთი თქმულება გამიგონია: იმდენი ოსი ჰყავს მონათლული, 300-ს სამი უკლიაო. ჰოდა, ვიდრე ის სამიც არ მოუნათლავს, არ გარდაცვლილა ის ცხონებული. ვინ ვიყავით ამის შემდეგ, მტრები თუ მოყვრები?**

**მახსოვს, ერთხელ, თორმეტიოდე წლის ბიჭი თუ ვიქნებოდი, სოფელ კუსირეთში დაგვპატიჟა ჩვენმა ნათელ-მირონმა. დედაბუდიანად წავედით. კოშკი იდგა იმ სოფელში. მის სიახლოვეს იყო სუფრა გაშლილი. მწვანე ბუჩქნარში ვისხედით. იმ სიმწვანეში მიიკლაკნებოდა უზარმაზარი სუფრა. ლამის ზილიკივით წყარომდე გადიოდა და მერე, ისევ აქეთ ბრუნდებოდა. წყალი ანკარა, სუფთა. სამოთხე თვალწინ ჭიკჭიკებდა. მაგიდებად გარანდული ფიცრები ეწყო. თეფშების ნაცვლად, თითოეულ სტუმარს ხონჩით უზარმაზარი ხაჭაპური ედო წინ, რომლებზედაც ასევე უშველებელ ხაშლამის ნაჭრებს ორთქლი ასდიოდა. მიმტან-მომტან ოსის ლამაზ გოგოებს კაბები ისე უშრიალებდათ, თითქოს ნიავი აშრიალებს თხილის ფოთლებსო... თვალებში შემოგვციცინებდნენ, თაფლივით ლუდი მოდიოდა კრიალა მაგიდის ღარში. ბარაქითა და მირონით იყო გაჯერებული კუსირეთი, კვერნეთი...**

**მამაჩემი, აბელი, სტუმრისათვის უხვად გაშლილიყო . სიმღერა უყვარდა ქეიფის დროს. „აქ მოწყენილსა სტუმარსა, შინაც ნუ გაუხარიაო“. — იტყოდა ხოლმე. სტუმარი ჩვენთვის ღვთის კაცი იყო.**

„დიდი მწვანე ველის“ დამდგმელი, ცნობილი რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი იხსენებს მეგობართან გატარებულ ცხინვალურ დღეებს: „მე კარგად ვიცი, თუ საიდან მოცქრიალებს შენი სურნელოვანი ლიტერატურის ნაკადული. ერწოდან, ან რაჭიდან მომავალს აბა, როგორ შემეძლო ცხინვალი ისე გამომევლო, რომ შენი პატარა ოაზისისკენ არ გადამეხვია და შენს ჭიშკართან შენებურად არ შემომეძახა: „სეხნი!“. ერთად ჩავივლიდით შენი პაპისა და მამაშენის გაშენებულ ვენახსა და ხეხილის ბაღში, დავსხდებოდით დედაშენის, ქალბატონ მარიამისა და ნათელას მიერ გაწკრიალებულ ფართე შუშაბანდში, შენი და შენი ძმის, დავითის დაწურული ღვინით სავსე ჭიქებს ავწევდით, ვახსენებდით წასულებსა და მომავლებს. მე თუ ასე მახსოვს და მენატრება იქაურობა, შენ რაღა უნდა გემართებოდეს?“

ეს მონატრებაა, მწერალს ახლა ფიქრებით რომ მოატარებს ხოლმე თავის წარსულში:

**— ერმანში რომ სილამაზეა, ბრუცსაბძელას კალთებზე, ნურავინ დაიკვეხნის. ეს პირველქმნილი სახით შემორჩენილი სამოთხეა ცივილიზაციის ნარჩენებით შელანძღულ წუთისოფელში. ამ სილამაზემ აიყვანა, ალბათ, გასულ საუკუნეში იქ ცოლ-ქმარი ბუშები, მეცნიერ-ბიოლოგები. ავიდნენ და დარჩნენ, უკან დაბრუნებაზე აღარც უფიქრიათ. აკვირდებოდნენ ბუნებას და ელაპარაკებოდნენ ღმერთს ამ საუფლო მიწიდან. მე ჩემი თვალით ვნახე ცოლი ბუშისა. ქმარი უკვე გარდაცვლილი იყო. ქალი ჭაღარა, მარტოდმარტო (თბილისში თითქოს მათი ნაკვალევის მოსანახულებლად წამოსულაო ჯორჯ ბუში, კინაღამ ცერული რომ გაუსვა ქართული დოლ-გარმონის ხმაზე). უცხოელმა გაითავისა ჩემი სამშობლო, შეიყვარა და შეისისხლხორცა, ამერიკა ძმად გაუხდა საქართველოს და თქვენ ამოდენა ნათელ-მირონს წყალში რად გვიყრით? რა გვიშლის ხელს, ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენი მამა-პაპანი ცხოვრობდნენ.**

თქვენი გვარი საიდან წარმოსდგება-მეთქი, ვკითხე. მამაპაპურად გაუტეხელი კილოთი განაგრძო საუბარი, წინაპართა ხსენებაზე ფეხზე წამოიმართა: **— ჩვენი გვარი იმ ელიოზიდან მოდის, უფლის კვართი რომ ჩამოიტანა მცხეთაში. დას, სიდონიას გადასცა. სიდონიამ ჩაიხუტა, მკერდიდან ვეღარ აჰგლიჯეს სიწმინდე. ამ კვართს ჩაეწვა და ჩაენაცრა, დიდი სიყვარულისგან იქვე განუტევა სული... ეჰ, სხვა კიდევ რამდენია სათქმელი!..**

საგულისხმოა სიტყვა, რომელიც მეუფე დანიელმა მისი სასულიერო ცხოვრების დასაწყისში, მარტყოფში, ღვთაების მონასტერში წარმოთქვა: **„ქართველობას უნდა უხაროდეს, რომ დღეს მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა მამა ელიოზის ეკლესიაში მოსვლით. ამით ქართული მწერლობა დიდი პაუზის შემდეგ, მხოლოდ სიტყვით კი არა, საქმით დაუბრუნდა დედაეკლესიას. ესაა ნაბიჯი შემობრუნებისა“!.**

თითქოს დაკარგულის ძიებაში ისევ უფალს მიენდო მწერალი. ღვთის სამსახურში აღენთო და იშვა წიგნი: „აღმართენით!“ — როგორც ლიახვის სათავიდან გადმოვარდნილი ერთი ჩქერი, როგორც წმინდა აღსარება და სიტყვა, უფლის სადიდებლად ნათქვამი.

# ახლა

● სწორედ ასეთი „ხელმძღვანელის“ ამგვარი მოქმედებაც იწვევს საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას, ეკონომიკურ ზიანს აყენებს როგორც სპეციალისტებს, ისე ქვეყნის ბიუჯეტს



საინტერესოა მამა ელიოზის შინაგანი სამყარო. მისი ნიადაგ მაძიებელი სული ისევ სამშობლოზე წუხს და ჩვეული, ქართლური პირდაპირობით მოგვმართავს: — **„როგორც უფალს, ისე ჩვენს სამშობლოს, წყლის მაგივრად, ნაღვლიანი ძმარი ვასვით, თავქვანახალმა შვილებმა... ასე შევრჩი და ალბათ, ზედაც შევახმებოდი მეცხრე სართულის ჭერს, ქაჯეთის ციხის ბაღლინჯოსავით, სულიერების მაღალ გრიგალებს რომ არ შეესხათ ჩემთვის ფრთები და ეკლესიას თავისკენ რომ არ დავეძახე!“**

სწორედ ეს სულიერების გრიგალი იყო, უკვე „წლებმიხტარს“ ზურგძარი რომ მიადევნა და მრავალ მომლოცველთა შორის ჩააყენა წმიდა ნინოს მიერ ნაკვალევ გზაზე ფეხით გასავლელად. დიახ, 1995 წელს დიაკონმა მამა ელიოზმაც ფეხით მოილოცა ეს გზა. მას შემდეგ გალობს მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში. მისი ბანი მძლავრად გუგუნებს ღვთის სადიდებელს. მერედა, რა მადლიანი მოსასმენია მისი ქართული: **— როგორც რომ ცალი ფილტვი ამოგახიონ, ისე ვართ ახლა ქართველები. იმედით ვარ, რომ მალე მოგვიშუშდება ამ ომებით დაწყლულებული იარა და ფილტვიც თავის ადგილას ჩადგება. მე მყავდა დედით და მამით სომეხი მეგობარი, სიმონ ოგანოვი. საქართველო ისე უყვარდა, როგორც ნებისმიერ ქართველს. „ჩემი ანანური, ჩემი ანანაურიო“ — ასე ეფერებოდა თავის მამისეულ კუთხეს, თავის ანანურს. „ანანაურიო“, ისე იტყოდა, გეგონებოდათ, აკვანში უწევს ქართული სიტყვაო, გულით ათბობდა. უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდით და ორკესტრშიც ერთად ვუკრავდით. მე, სიმონი და ცნობილი ოსი მწერალი გიორგი ბესთაუთი, „ვეფხისტყაოსნის“ ოსურ ენაზე მთარგმნელი, ერთად ვსწავლობდით. აი, ასეთი ურთიერთობები გვქონდა. შევირგოთ, დავიბრუნოთ ადამიანური სიყვარული და ის საყრდენი, რაზედაც ვდგავართ, ვიდრე ჩვენი უვარგისობის გამო მშობელი მიწა არ დაავადებულა და ჩვენზე უარი არ უთქვამს.**

**როკის გვირაბით განგრეულმა კავკასიონმა ლამისაა განგრენა დაგვმართოს მწყაზარად გალექსილ, სიყვარულით განაბულ ოსურ და ქართულ, ნათელ-მირონობით შედუღაბებულ სოფლებს და ქალაქებს, თავი დავანებოთ ცრუ იმედებს და ქართლოსიანთა სიყვარულის მამაპაპური, დავით აღმაშენებლური, თამარ მეფური, დავით სოსლანური დიდი სიყვარული შევიცნოთ ერთხელ და სამუდამოდ. ვიქცეთ მათი შთამომავლობის ღირსად და ბადალად...**

**ქართულ მწერლობას ეთაყვანება მერაბ ელიოზიშვილი, შოთა, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი... მისი თქმით, — ეს არის ჩვენი სიცოცხლის მდუღარე მდინარე. ამ მდინარიდან დასიცხული გლეხი კაცის მაშვრალი ხელით ამოღებული ერთი პეშვი წყაროს წყალი ხომ მეცა ვარ! ჩემი ტკივილიც შეისმინეთ, ჩემო ძმებო!**

ესაუბრა
**ლია ჭიღლაძე**

◉ დაუპურებელი სამართალი

# მე ვარ და ჩემი ლეჩაქიო?!

## რატომ აყენებს საკუთარ თავს უზენაეს სასამართლოზე მაღლა მინისტრის მოადგილე ქალბატონი?!

**უკანონობითა თუ მოხელეთა თავგასულობით გაბეზრებულ „დემოკრატიული“ საქართველოს მოსახლეობას კანონდარღვევა-უსამართლობით რა გააკვირვებს, მაგრამ ერთ ფაქტზე მაინც მინდა გავამახვილო მისი ყურადღება. თანაც იმის მიუხედავად, რომ ამის თაობაზე „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ რამდენიმეჯერ დაიწერილა. ხოლო თუ რამ განაპირობა ჩემი ამგვარი „ჩაჯინება“, ამას მკითხველი იოლად მიხვდება.**

საქმე ეხება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებას, რომელშიც საუბარია სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებული ატესტაციის შედეგების მიხედვით 31 სპეციალისტის სამსახურიდან უკანონოდ დათხოვნის ფაქტზე.

გადაწყვეტილებით ბათილად არის ცნობილი სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2005 წლის 4-6 ნოემბრის შემაჯამებელი ოქმი და ამის საფუძველზე ყოფილი მინისტრის მ.სვიმონიშვილის 2005 წლის 20 დეკემბრის №309-კ ბრძანება მოხელეთა თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ. სასამართლომ დაავალა სამინისტროს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად ხელახლა შეაფასოს მოსარჩელეები და მათ მიმართ გამოსცეს ახალი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები. სამინისტროს დაევალა მოსარჩელეთა სასარგებლოდ განაცდური ხელფასის ანაზღაურება ახალი სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2007 წლის 28 თებერვალს აღნიშნული განჩინება ძალაში დატოვა, როგორც კანონიერი.

სამინისტროს ხელმძღვანელობამ მაინც არ „დაყარა ფარხმალი“ და ეს განაჩენიც უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

ამ უკანასკნელმაც, თავისი 2007 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განაჩენი ძალაში დატოვა, რადგან...

მინისტრის პირველმა მოადგილემ ლილი ბეგიაშვილმა, რომელიც იმავე დროს დანიშნული იყო საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარედ, უგულებელყო კანონის მოთხოვნები და გამოსცა ბრძანება კომისიის შემადგენლობის შესახებ, რომელშიც არ შეიყვანა სოფლის მეურნეობის დარგის არც ერთი პროფესიონალი სპეციალისტი, რითაც დაარღვია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 86-ე მუხლის მოთხოვნები.

კომისიის არც ერთი სხდომა არ ჩატარებულა კვორუმის სრული დაცვით.

კომისიამ უგულებელყო მოხელეთა უშუალო ხელმძღვანელის მიერ წარდგენილი დახასიათებებიც.

აღნიშნულის გამო სასამართლოს გაუჩნდა ეჭვი იმის შესახებ, რომ ოქმები შედგენილი იყო არა უშუალოდ გასაუბრებისას, არამედ გაცილებით უფრო გვიან და მისი ამ სახით შედგენა ნებისმიერ დროს შეიძლებოდა.

სასამართლომ ბათილად სცნო საატესტაციო კომისიის მიერ შედგენილი ოქმი და ამის საფუძველზე გამოცემული მინისტრის 2005 წლის 20 დეკემბრის №309-კ ბრძანება, სწორედ ამ ბრძანების წყალობით თანამშრომელთა მორალური ზიანის გარდა სახელმწიფო ბიუჯეტმა, წინასწარი არასრული მონაცემებით, 200 ათასი ლარი იზარალა, რომელიც ხელფასის სახით უნდა მიეცეს გათავისუფლებულ თანამშრომლებს.

საგულისხმოა ისიც, რომ ქალბატონი ლილი ბეგიაშვილი არ ემორჩილება და არ ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ამის გამო არ გაცემულა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ თანამშრომელთა სახელფასო დავალიანება 4280 ლარის ოდენობით, რომლის გადახდა სასამართლომ მას ჯერ კიდევ შარშან სავსებით სამართლიანად დააკისრა. სწორედ ასეთი „ხელმძღვანელის“ ამგვარი მოქმედებაც იწვევს საზოგადოებაში ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას, ეკონომიკურ ზიანს აყენებს როგორც სპეციალისტებს, ისე ქვეყნის ბიუჯეტს.

**ირაკლი დვალი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მექანიზატორი.**

◉ ინფორმაცია

## ლუგარს სჯერა, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდება

**ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ლიდერმა, რესპუბლიკელმა რიჩარდ ლუგარმა სენატის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ აღნიშნული რეზოლუცია საქართველოში დემოკრატიული კურსის სიმყარის დამადასტურებელია.**

ლუგარის თქმით, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნები თავისუფალი იქნება და სამართლიანი ბრძოლის ფონზე ჩაივლის.

მისივე განცხადებით, საქართველში დემოკრატიისკენ მიმართული ვექტორის შენარჩუნება ძალზე მნიშვნელოვანია.

შეგახსენებთ, აშშ-ის სენატმა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს 5 იანვარს დანიშნული არჩევნების მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. სენატი ბუშს სთხოვს, საქართველოს ლიდერებს არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების თაობაზე ესაუბროს.

სენატი მიიჩნევს, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ღიად უნდა განაცხადოს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მხარდაჭერის შესახებ, რომლებიც საქართველოში 2008 წლის 5 იანვარს იგეგმება.

რეზოლუციაში ასევე ნათქვამია, რომ საქართველოში დაგეგმილი არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად უნდა ჩატარდეს ხელისუფლების ჩაურევლობის გარეშე და საქართველოში არსებულ მასმედიის საშუალებებს უნდა მიეცეს არჩევნების ღიად და შეუფერხებლად გაშუქების საშუალება.

## არჩევნებში მონაწილეობას მსჯავრდებულებიც მიიღებენ

**2008 წლის 5 იანვრის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას 4 ათასამდე მსჯავრდებული მიიღებს. ამის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში განაცხადეს. დეპარტამენტის ინფორმაციით, საპყრობილეებში გაიხსნება საარჩევნო უბნები და ყველა იმ პირს, რომელთა მიმართ სასამართლოს სასჯელის ზომა ჯერ არ დაუდგენია, ყოველგვარი შეფერხების გარეშე შეეძლება არჩევნებში საკუთარი აზრის დაფიქსირება.**

— საარჩევნო უბნები ყველა პროცედურის დაცვით იმუშავებს, დაიდგმება ვიდეოთვალიც, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არჩევნების მიმდინარეობას მაქსიმალურად გააკონტროლებს, — განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ.

უკვე ცნობილია, რომ საუბნო კომისიები გაიხსნება ქუთაისის, ზუგდიდისა და თბილისის საპყრობილეებში.

ჯი-ეიჩ-ენი

◉ დროის სურათი

# მთავარია, გქონდეს ფული, რომ არ იყო დაჩაგრული...

(მეშვიდე გვერდიდან)

**— გოჭები ნაკლებია, რატომ?**

— თანდათანობით შემოვა, თქვენ მარტო ფული მოიმარაგეთ, — მამხნევებს ქალი და ვატყობ, მაინც უკმაყოფილოა, რადგან არაფერს ვყიდულობ.

სიმინდის ფქვილის გამყიდველს, ქალბატონ ლეილას ყველაზე მეტი კლიენტი ჰყავს ხოლმე. მას მუდმივად აქვს ახლადდაფქული სიმინდის ფქვილი და ღერღილი. ამოტანაში ვაჟიშვილი და რძალი ეხმარებიან.

**— ქალბატონო ლეილა, ვაჭრობა გაქვთ?**

— ვაჭრობას ნამდვილად არ ვუჩივი. პირველ ხანებში ჭირდა, ახლა არა უშავს. ძველი კლიენტები მაკითხავენ. კილოგრამს 1.50-2 ლარად ვყიდი. 31 დეკემბრამდე ვიმუშავებ, მერე ალბათ ოჯახში, მარტვილში წავალ.

მოახლოებულ ახალ წელს ვულოცავ და ვცდილობ, გავიდე ბაზრიდან. იქვე ბავშვიანი ქალი ლიმონსა და მანდარინს ყიდის.

ვინ იცის, როგორ უჭირს, თორემ თოთო ბავშვს შინ მაინც დატოვებდა, ვფიქრობ ჩემთვის. წლეულს, ამბობენ, რომ ციტრუსების კარგი მოსავალია, ამიტომ შედარებით იაფია, კილოგრამი 50 თეთრიდან 2 ლარამდე ღირს, თანაც საუკეთესო მანდარინი. ახალი წელი უმანდარინოდ ვინ თქვა. რამდენიმე კილოგრამი ვიყიდე ბავშვის ხათრით და, როგორც იქნა, გავედი გარეთ.

გავედი, მაგრამ თავი ისევ ბაზარში მეგონა, რადგან მიმდებარე ტერიტორიაზე, მეტროსთან და სადგურთანაც უდახლებო ბაზრობაა გაჩაღებული. ქუჩებში კიდევ უფრო იაფია შედარებით ყველაფერი. პოლიცია გამყიდველ ქალებს კეტებით აღარ დასდევს. ეტყობა, გარევაჭრობა საახალწლოდ ნებადართულია. ასე რომ, თუ სურსათ-სანოვაგის ყიდვას ამ დღეებში გადაწყვეტთ, შეიძლება ბაზარში შესვლა არც კი მოგიწიოთ, ქუჩებში ყველაფერი იყიდება, სჯობს, დროულად შეიძინოთ პროდუქტები, რადგან ამბობენ, ახალი წლის წინ ყველაფრის ფასი გაორმაგდებაო.

***ბაზარი კი მართლაც ჭრელია. მყიდველსაც და გამყიდველსაც თითქმის ერთნაირად უჭირთ. დრომ ჩააყენა ისინი ამ მდგომარეობაში. თითოეულ მათგანს საკუთარი ცხოვრება, საზრუნავი, დარდი და სიხარული აქვს. ერთი ცდილობს ძვირად გაყიდის, მეორეს კი იაფად სურს. ვერც ერთს ვერ გაამტყუნებ. თადარიგიანი დიასახლისი კი ცდილობს დროულად მოამარაგოს ოჯახი საჭირო პროდუქტებით, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უფულობის გამო საახალწლო სუფრა ყოველწლიურად უფრო და უფრო მწირი ხდება.***

**ნაზი იმნაიშვილი**

## უცხოური პრესა

როგორც უნდა ადასტურებდეს დღეს ვინმე, რომ კოსოვო უნიკალური შემთხვევაა, მაინც დადგება დრო, როცა იურიდიულად დასაბუთდება ზოგიერთი სახელმწიფოს, პირველ რიგში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. როგორც კი ხელს ავწევთ და ხმას მივცემთ სერბიისგან კოსოვოს გამოყოფას, დავკარგავთ არგუმენტებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასაცავად



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

*მოსკოვმა უარი თქვა საქართველოსთვის გადმოეცა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ყოფილი შეფი იგორ გიორგაძე. „პროფილისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ის მიხეილ სააკაშვილს მალე დამხობას უწინასწარმეტყველებს და განმარტავს, თუ რატომ შეიძლება პერმანენტული ომი გამოიწვიოს ნატოში საქართველოს შესვლამ.*

# იგორ გიორგაძე:
# საქართველოში მოქმედი ხელისუფლება შეიცვლება

– 2006 წლის 6 სექტემბერს საქართველოში განხორციელდა სპეცოპერაცია, რომლის დროსაც დააკავეს თქვენი მომხრეების ჯგუფი, როგორც კანონიერი ხელისუფლების დამხობის მიზნით მოწყობილ შეთქმულებაში ეჭვმიტანილნი. ამის შემდეგ თქვენ უარი თქვით როგორც რუსეთის, ასევე საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობაზე. მაგრამ ახლა პირველად დათანხმდით მოგეცათ ინტერვიუ. რატომ?

– ამა წლის აგვისტოში თორმეტი ჩემი თანამებრძოლი გაასამართლეს და სხვადასხვა ვადით თავისუფლება აღუკვეთეს. ოთხ მათგანს ადანაშაულებენ, არც მეტი არც ნაკლები, „შეიარაღებული აჯანყების მომზადებაში“. მათ იურიდიულ დაცვას განახორციელებდა და ახლაც განახორციელებს ამერიკელი ადვოკატების ჯგუფი. ეს მაღალკვალიფიციური იურისტები, ისევე როგორც სამართალდამცველები, რომლებიც ცდილობდნენ მომხდარის შესახებ სიმართლე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამდე მიეტანათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში მთხოვდნენ თავი შემეკავებინა რაიმე საჯარო გამოსვლისაგან, რათა „არ გამეღიზიანებინა“ საქართველოს ხელისუფალნი.

მე თვითონ კარგად მესმოდა, რომ ვერც ჩემი განცხადებები, ვერც ჩემი დუმილი სასამართლო პროცესზე ზემოქმედებას ვერ მოახდენდა. მაგრამ მე მთხოვდნენ ადვოკატები, ჩემი დასავლელი მეგობრები ჩუმად ვყოფილიყავი და მეც ვდუმდი. ახლა კი, როცა ჩემი თანამებრძოლების საქმის განხილვა საქართველოს უმაღლეს სასამართლოში გაურკვეველი ვადითაა გადადებული, დუმილი უკვე დაუშვებელია. ამიტომაც დავთანხმდი თქვენთან შეხვედრას.

მთავარი „დამნაშავე“, რომელმაც ყველაზე დიდი საპატიმრო ვადა მიიღო აღნიშნულ საქმეზე – რვანახევარი წელიწადი, – პარტია „სამართლიანობის“ თანათავმჯდომარე, ჩემი ახლო ნათესავი მაია თოფურიაა. ეს იყო მიზანმიმართული დარტყმა ჩემ ოჯახზე. ბრალდების ვერსიის თანახმად მე, იგორ გიორგაძემ, რომელსაც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სტრუქტურებში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება მაქვს, ჩემს ნათესავს, სამი შვილის დედას დავავალე სახელმწიფო გადატრიალება მოეხდინა, რისთვისაც მას თხუთმეტი დაჟანგული ავტომატი და 30 ათასი დოლარი მივეცი. ეს სასაცილო იქნებოდა, ასე ტრაგიკული რომ არ იყოს.

ამ საქმეში მე ყველაზე უფრო განმაცვიფრებს საქართველოს ახლანდელ ხელისუფალთა გულგრილობა. ხომ ყველასათვის აშკარაა, რომ ეს პოლიტიკური რეპრესიებია და სულ არ არის დაკავშირებული რაიმე სისხლის სამართლის საქმეებთან. ამერიკელი ადვოკატები განცვიფრებული არიან. ადვოკატთა ჯგუფის ხელმძღვანელი ლორენს ბარსელა ამბობს, რომ პირველად წააწყდა ასეთ მასშტაბურ ფალსიფიკაციას. სასამართლოზე 17-მა მოწმემ მისცა ჩვენება ისე, რომ თავიანთი სახეები არ უჩვენებიათ. ეს ჩვენებები შეისწავლა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ამ სფეროს ერთ-ერთმა წამყვანმა სპეციალისტმა. მან გააკეთა დასკვნა, რომ ჩვენებები ერთი ადამიანის მიერაა ნაკარნახევი. განა შეიძლება 17 მოწმის ჩვენებებში იყოს შვიდასი ერთნაირი ფრაზა და გამოთქმა?! მე აღარც კი ვიცი, რა ვუწოდო ამას. უბრალოდ, ალბათ, ინსცენირებული იყო რაიხსტაგისთვის ცეცხლის წაკიდება.

– თქვენი მონაცემებით ვინ იდგა თქვენი პარტიის წინააღმდეგ მიმართული ოპერაციის უკან?

– ამ დონის ყველა ოპერაციას უთანხმებენ პირადად სახელმწიფოს მეთაურს. მერაბიშვილის ტიპის სხვადასხვა ნაძირალებს შეუძლიათ ინიციატივა გამოიჩინონ, მაგრამ დამოუკიდებლად ისინი ნაბიჯსაც ვერ გადადგამენ, ყველაფერზე სანქცია მიხეილ სააკაშვილმა უნდა გასცეს. სხვათა შორის, სწორედ ჩვენმა პარტიამ შემოიღო ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოთქმა „სააკაშიზმი“. ეს არის ფაშიზმი – პროვინციული, ადგილობრივი დონისა, მაგრამ მაინც ფაშიზმი.

– ეს მეტისმეტად მძაფრი განცხადება ხომ არ არის, თქვენი აზრით?

– აბა თქვენ როგორ განმარტავდით იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე სააკაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოიწვია და დაიახლოვა ნიკოლოზ რურუა (ამჟამად საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეძ. ნიკოლოზი და მისი ძმა გიორგი რურუები საქართველოს საზოგადოებრიობისათვის ცნობილი არიან როგორც სამოქალაქო ომის პერიოდში სულ ცოტა 16 ადამიანის მკვლელები. ამასთან ისინი ხოცავდნენ ადამიანებს როგორც პოლიტიკური, ასევე კრიმინალური მოტივებით. მთელმა საქართველომ იცის, რომ ამჟამად ამ ძმების კონტროლქვეშაა ეგრეთ წოდებული სიკვდილის ბრიგადები. ესენი არიან 100-150 ნაძირალა სისხლის სამართლის დამნაშავეებისა და ნარკომანების ბანდიდან, რომლებიც ფულისათვის ნებისმიერ დანაშაულს ჩაიდენენ.

ჯერ კიდევ 2005 წელს ჩვენი პარტია „სამართლიანობის“ აქტივისტებს იტაცებდნენ და გაჰყავდათ ტყეში, სცემდნენ, ხელფეხშეკრულებს ტოვებდნენ მივარდნილ ადგილებში. ჩვენ ვაწყობდით ამ დასახიჩრებული ადამიანების ფოტოსურათების გამოფენას, ვიწვევდით უცხოეთის საელჩოების წარმომადგენლებს. მაგრამ ის ოპოზიციაც კი, რომელმაც ამა წლის ნოემბერში უკვე საკუთარ თავზე გამოსცადა პოლიტიკური რეპრესიები, მაშინ საუკეთესო შემთხვევაში გულგრილი იყო, ხოლო უარეს შემთხვევაში იქედნურად იცინოდა: „ასე მოგიხდებათ, თქვენ ხომ მოსკოვს ემსახურებით“. მე ნიშნის მოგებას არ ვაპირებ ახლა მათთვის. საკმარისია ისიც, რომ ქართული საზოგადოება მივიდა დასკვნამდე, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია.

– როგორ გგონიათ, როგორ განვითარდება მოვლენები საქართველოში?

– ნებისმიერი ძალა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგება, იძულებული იქნება, ხელი აიღოს ავტორიტარიზმზე. ის იძულებული იქნება, ხელი აიღოს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელზე და მიიღოს საპარლამენტო რესპუბლიკა. და ჩვენი ელექტორატიც მხარს დაუჭერს გაერთიანებულ ოპოზიციას. ვერ ვიტყვი, რომ ამ ოპოზიციის ხედვა, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველო, სავსებით შეესაბამება ჩვენს ხედვას. მაგრამ მთავარია, საქართველოში დაიწყოს ახალი ეტაპი, დემოკრატიული განვითარების ეტაპი.

– რამდენად დიდია შანსი იმისა, რომ სწორედ ეს ეტაპი დადგება 2008 წლის 5 იანვრის არჩევნების შემდეგ?

– თეორიულად საქმე ეხება არა უბრალოდ ოპოზიციის მაღალ შანსებს, ხაზგასმით აღვნიშნავ – თეორიულად ეს გარდუვალია. პრაქტიკული თვალსაზრისით კი ოპოზიციის შანსები დიდი არ არის. არსებითად ხომ საკითხი ასე დგას: მზად არის თუ არა სააკაშვილი მთელ თავის მყარ დანაშაულებრივ დაჯგუფებასთან ერთად ნებაყოფლობით წარსდგეს სასამართლოს წინაშე?

რა თქმა უნდა, არა.

– ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არჩევნები ფალსიფიცირებული იქნება?

– არა, ფალსიფიცირება რა მოსატანია. დამახინჯება მაშინაა, როცა ხმების 5-10 პროცენტი გაკლიათ და რაღაც მანიპულაციებს ახორციელებთ. საქართველოს რეგიონებში კი დღეს რეგისტრაციაში ატარებენ მხოლოდ იმ ამომრჩევლებს, რომელთაც ჩამოართვეს ხელწერილი, რომ ისინი მხარს დაუჭერენ სააკაშვილს. არის ხშირი შემთხვევები იმისა, როცა პიროვნების დამადასტურებელ მოწმობას – ერთ-ერთ დოკუმენტს, რომელიც ქვეყნის შიგნით გამოიყენება, ადამიანს უბრალოდ ართმევენ ამ სიტყვებით: „მიიღებ საარჩევნო უბანზე მას შემდეგ, რაც ხმას მისცემ სააკაშვილს“. ამას მე კი არ ვაცხადებ, გაერთიანებულ ოპოზიციას მოჰყავს ასეთი ფაქტები.

ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი ისაა, რომ ეს ცნობილია საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბატონი ტეფტისთვისაც, ბატონ ბრაიზასთვისაც და საქართველოში მყოფი მთელი საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვისაც. იცით, რომ ღმერთმა არ ქნას, მაგრამ ბელორუსიაში რომ აკეთებდნენ ისეთ რამეს, რასაც ახლა სააკაშვილი აკეთებს, გარწმუნებთ, იქ განხორციელდებოდა ნატოს ოპერაცია.

– თქვენ მაინც რისი იმედი გაქვთ? პარტია „სამართლიანობა“ დარბეულია. თქვენ წინასწარმეტყველებთ მასშტაბურ ფალსიფიკაციებს. თუ ასეა, როგორ უნდა იქონიოს ოპოზიციამ ხელისუფლების შეცვლის იმედი?

– ის, რაც 2 ნოემბერს დაიწყო, არ შეიძლება არ დამთავრდეს სააკაშვილის კრახით. შეიძლება 2008 წლის 5 იანვრის ტოტალური გაყალბება, შეიძლება საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაც, მაგრამ ამ პოლიტიკური რეჟიმის მიუღებლობა, მისით უკმაყოფილება, რეჟიმისა, რომელმაც ფეხქვეშ გათელა ქართველთა ღირსება, იმდენად დიდია, რომ მოქმედი ხელისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შეიცვალოს. მასობრივი პროტესტის გამოხატულებით მოხდება ეს, თუ საყოველთაო გაფიცვებით, მე ამაზე მარჩიელობას ვერ დავიწყებ, ცხადია, რომ საქართველოს უკვე აღარ შეუძლია ასეთების მოთმენა. მოხდება ძალიან დიდი მიწისძვრა ახლანდელი ხელისუფლებისათვის.

მე მინდა მივმართო გაერთიანებულ ოპოზიციას, რომელიც სავსებით შესაძლებელია მალე ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას. მიუხედავად ჩვენი უთანხმოებისა, ოპოზიციონერთა შორის არიან გონიერი და პატიოსანი ადამიანები. მაგრამ მთელი ჩვენი პოლიტიკური ელიტა დგას კოლოსალური, ტრაგიკული შეცდომის ზღურბლზე, როცა მხარს უჭერს დასავლეთის მისწრაფებას, აღიაროს კოსოვო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. როგორც კი საქართველო ოფიციალურად აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, ის ავტომატურად დაკარგავს მორალურ და იურიდიულ შესაძლებლობას იმისა, რომ ილაპარაკოს საკუთარ ტერიტორიულ მთლიანობაზე. და როგორც უნდა ადასტურებდეს დღეს ვინმე, რომ კოსოვო უნიკალური შემთხვევაა, მაინც დადგება დრო, როცა იურიდიულად დასაბუთდება ზოგიერთი სახელმწიფოს, პირველ რიგში რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. როგორც კი ხელს ავწევთ და ხმას მივცემთ სერბიისგან კოსოვოს გამოყოფას, დავკარგავთ არგუმენტებს ჩვენი სახელმწიფოებრიობის დასაცავად.

მე ვიცი, რომ ეს თემა ძალიან არაპოპულარულია დღევანდელ საქართველოში. ახლავე შეაკოწიწებენ იარლიყებს: გიორგაძე მოსკოვის პოზიციას გამოთქვამსო, მაგრამ ღმერთს გეფიცებით ვაცხადებ, რომ ეს ჩემი პირადი რწმენაა: არ შეიძლება შენთვის მოითხოვო ის, რის უფლებასაც სხვებს არ აძლევ და პირიქით. დღეს საქართველოს მმართველმა ელიტამ მითვისა უფლება, განსაზღვროს, ვის უყვარს საქართველო, ვის არ უყვარს, ვინ ღალატობს მას და ვინ არის მზად, თავი გასწიროს მისთვის. ამ პოლიტიკურ გნომებს მინდა ვუთხრა, რომ არც ერთ მათგანს სინამდვილეში არ უყვარს საქართველო. დღევანდელი ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც საქართველოს ხელმძღვანელობენ, ისე ეპყრობიან თავიანთ ქვეყანას, როგორც ქუჩის ქალს. ისინი მას პატივს არ ცემენ, ამცირებენ, საძრახისი სახით წარმოაჩენენ.

– საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნებს შეუთავსებენ რეფერენდუმს ნატოში შესვლის საკითხზე. რას ფიქრობთ ამაზე?

– თუ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შესაძლებლობა მიეცემათ, ექვსი თვის მანძილზე თავისუფლად იხილავდნენ ამ საკითხს დამოუკიდებელ ტელეარხებზე, ნატოში საქართველოს შესვლის მოწადინენი უმცირესობაში აღმოჩნდებიან. დღეს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, რომლებსაც კოკა-კოლას ფერის სამოსი აცვიათ, მარშით დადიან და გაჰყვირიან „ჰაელ სააკაშვილი“, განუმარტეს, რომ ნატოში ყოფნა კარგია, ამდენი ქვეყანა შევიდა და არავინ არ წუწუნებსო. მაგრამ რა შუაშია საქართველო, რომელსაც აფხაზეთში და ოსეთში ეუბნებიან „ჩვენ არ გვინდა ნატოში ყოფნა“, რომელშიც ცხოვრობენ სომეხი და აზერბაიჯანელი უმცირესობანი, რომლებიც ასევე არაერთგვაროვნად ეკიდებიან ამ საკითხს? მაინც საით მიიჩქარით, ბატონებო? შესდექით, მიმოიხედეთ, დაფიქრდით, იქნებ არ ღირს ორთქლმავალს გაუსწროთ. მოელაპარაკეთ ოსებსა და აფხაზებს. თუ ნატოში შესვლის ფასად აფხაზეთისა და ოსეთის ჩამოშორებას მივიღებთ და, რაც მთავარია, ამ რესპუბლიკების ხალხების საქართველოსგან გამოცალკევებას, მაშინ მე კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები.

როგორ შეიძლება ოსებთან და აფხაზებთან ვილაპარაკოთ ზავზე, თუ არ ვცნობთ მათ უფლებას, ხედავდნენ რუსეთში თავიანთი უშიშროების გარანტს? სააკაშვილი ამბობს: „გარანტი ნატო იქნება“, აფხაზები და ოსები ამბობენ: „გარანტი შეიძლება იყო მხოლოდ რუსეთი“. გამოდის სააკაშვილი და ამბობს, რომ რუსეთი იგივეა, რაც თათრები და მონღოლები, არაბები, საქართველოს ყველა დამპყრობელი. აფხაზები და ოსები ამბობენ: „ესენი ჩვენი გამანთავისუფლებლები და ჩვენი მეგობრები არიან, და ჩვენ მათ მივიჩნევთ გარანტებადო“. რას აპირებ, სააკაშვილო, ხომ არ შეიყვან ნატოს ტანკებს, რათა აფხაზები და ოსები აიძულო დაიჩოქონ და თქვან: „დიახ, ჩვენ საქართველოს შემადგენლობაში ვართო“. რამდენ ხანს შეიძლება ეს გაგრძელდეს?

შეხედეთ ბატონებო, პალესტინაში 50 წელია ომობენ.

– ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოგვარების რა მოდელი გაქვთ თქვენ?

– თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთ ჩემს ხელქვეითს არ უსვრია არც ოსებისთვის და არც აფხაზებისთვის. მეორე: არასოდეს მითქვამს ისეთი რამ, რაც მიმართული იყო აფხაზის ან ოსების წინააღმდეგ, და ამცირებდა მათ ღირსებას. არასოდეს არ მილაპარაკნია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე – მე მუდამ ვლაპარაკობდი მისი სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე. იმათთვის, ვინც ტერიტორიულ მთლიანობაზე ლაპარაკობს, უნ-

№ 249. ხუთშაბათი, 20 დეკემბერი, 2007 წელი.

# უცხოური პრესა

„ორივე ხელით ვემხრობი სააკაშვილის ლანძღვას, მე არ ვარ მისი თაყვანისმცემელი, მისი ანტირუსული განწყობა გასაგები და ცხადია, შეფასების დროს მისი როლისა და მნიშვნელობის წინააღმდეგი ვარ. სააკაშვილის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევაზე რომ ლაპარაკობენ ჩვენები, თავი შეიკავონ, ჯერ თავიანთ თავს შეხედონ და მერე ილაპარაკონ. ამიტომაც სრულიად ვეთანხმები ზოგ პოლიტოლოგს, რომელიც სააკაშვილსა და პუტინს ერთმანეთს ადარებს. დიდებული შედარებაა და სხვათა შორის საფუძვლიანიც“



და ტერიტორიის აღდგენა, არც ისე მნიშვნელოვანია, ვინ დარჩება ამ ტერიტორიაზე. მე კი მინდა, რომ აღვადგინო სახელმწიფოებრიობა, რომელშიც ადგილი იქნება აფხაზებისთვისაც, მისი მძლავრი, შესაძლოა უპრეცედენტო ავტონომიით, და სამხრეთ ოსეთისთვისაც ასეთივე უფლებებით. დღეს საქართველოში ამის ხმამაღლა თქმა ნიშნავს, მიიკრა „კრემლის აგენტისა“ და „სამშობლოს მოღალატის“ იარლიყი.

მაპატიეთ, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ავტონომია საქართველოს ხელისუფლებმა შექმნეს. იქ დროებითი ადმინისტრაციის მეთაურიც კი ჰყავთ, ოსი დიმიტრი სანაკოევი...

დღეს კი ამა წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ რას იტყვიან ოსები და აფხაზები? „როგორ შეგვიძლია ველაპარაკოთ ხელისუფლებას, რომელიც ასე უსწორდება თავის ხალხსო“?

– ედუარდ კოკოითიმ სწორედ ეს თქვა თბილისის 7 ნოემბრის მოვლენების შესახებ...

„ვარდების რევოლუციის“ სპონსორთაგან ვის ახსოვს სააკაშვილისეული „ბლიცკრიგის“ ცდა ცხინვალის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიფიქრეს აჭარის სცენარის მიხედვით და რომელმაც შეიწირა 17 ქართველისა და 10-მდე ოსის სიცოცხლე? და ვინ დაგმო ის სერიოზულად?.

დღეს საქართველოში სამხედრო ბიუჯეტის ზრდის ყველაზე სწრაფი ტემპია მსოფლიოში. რა, რუსეთთან უნდათ ომი? რუსეთი ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაშიც კი ყოველთვის საქართველოზე ძლიერი იქნება სამხედრო თვალსაზრისით. მაშ ვისთან უნდა ვიომოთ? სომხეთთან, აზერბაიჯანთან? მიზანს ვერ ვხედავ.

– იქნებ თურქეთთან?

– რას ბრძანებთ! ჩვენი ბათუმის აეროპორტი უკვე შინაური აეროპორტია თურქეთის ავიარეისებისთვის. თურქეთი საქართველოს მეორე სამხედრო სპონსორია ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ. მაშ, თუ თურქეთთან და რუსეთთან არა, სომხეთთან და აზერბაიჯანთან არა, ვისთან იქნება ომი? აფხაზეთთან და ოსეთთან? კარგი რამაა მე და ჩემმა ღმერთმა! რას გვთავაზობს ახლა სააკაშვილის მთავრობა? ნატოში შესვლას და გამარჯვებას, მაგრამ ეს ხომ პიროსის გამარჯვება იქნება?

– აი უკვე თორმეტი წელია თქვენ საქართველოს საზღვრებს გარეთ იმყოფებით. სად ცხოვრობთ?

– მე იქ ვცხოვრობ, სადაც მე და ჩემს ოჯახს ვერ მისწვდება სააკაშვილის დანაშაულებრივი კლანი. არ მინდოდა შევხებოდი ამ თემას. ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ „კრიმინალურ სამყაროსთან მთავარმა მებრძოლმა“ სააკაშვილმა გამოგზავნა ადამიანი, რომელმაც რუსეთში საქართველოს ეთნიკური კრიმინალიტეტის წარმომადგენლებს შეუკვეთა ჩემი ლიკვიდაცია. ქართველ კრიმინალებს ალბათ ღირსებად უნდა ჩაეთვალოთ აღიარება იმისა, რომ ეს ამოცანა გაუმართლებელ რისკთან არის დაკავშირებული.

2006 წელს მე პრესკონფერენცია გავმართე მოსკოვში. მერაბიშვილმა სააკაშვილის მითითებით მაშინვე გამოგზავნა სპეცჯგუფი ჩემი ლიკვიდაციისათვის. ჩემზე ნადირობა გრძელდება და ამიტომაც იქ ვიმყოფები, სადაც უშიშროებას ვგრძნობ. ჩემს პრესკონფერენციაზე კი 2006 წლის მაისში ვთქვი და ახლა თქვენ გიმეორებთ, რომ მე არ ვთხოვ რუსეთს პოლიტიკურ თავშესაფარს და არც რუსეთის მოქალაქეობას. ჩემთვის საკმარისია ის იურიდიული არე, რომელსაც რუსეთი მაძლევს, რათა შემეძლოს საქართველოს საზოგადოებრიობას ვამცნო, როგორ ვხედავთ მოვლენებს მე და ჩემი თანამოაზრენი. მე ვიყავი, ვარ და ვიმედოვნებ სიცოცხლის დასასრულამდე ვიქნები საქართველოს მოქალაქე.

**SIC!**

*კოსოვოს აღიარების საკითხში გაეროს, ნატოს, აშშ-ის, ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების როლზე, ასევე კოსოვოს აღირების თანამდევ პოლიტიკურ აკუსტიკაზე, იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას კავკასიაში და საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე რუსულ გამოცემა „პოლიტჟურნალთან“ რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ერთაშორისი ურთიერთობების განყოფილების გამგე **სერგეი მარკედონოვი** საუბრობს.*

# სერგეი მარკედონოვი:

# საქართველოს რუსეთზე მეტად ეშინია ისლამური რადიკალიზმის

მარკედონოვი აცხადებს, რომ კოსოვოს შემთხვევა ჩვეულებრივი ეთნოპოლიტიკური თვითგამორკვევაა, რომლის მსგავსი ადრეც იყო და მომავალშიც მრავლად იქნება. მარკედონოვის თქმით, მხოლოდ XX საუკუნეში მრავალი ამგვარი თვითგამორკვევის მაგალითის გახსენება შეიძლება: საბჭოთა კავშირის დაშლა – რომლის შედეგად თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩამოყალიბდა. იუგოსლავიის დაშლა, ჩეხოსლოვაკიის დაშლა, კორსიკა, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბანგლადეში და მრავალი სხვა. ყველაფერი ეს ეთნოპოლიტიკური თვითგამორკვევის მაგალითია და სხვა არაფერი.

„ყოველივე კი დღევანდელობის ან ამერიკელების ბრალი არ არის. ეს თემა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. შეიძლება გავიხსენოთ 1912 წელს საკონტროლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაყოფის შესახებ, როდესაც კოსოვო დიდი სახელმწიფოების მუდმივი მოლაპარაკების საგნად იქცა; ან მეორე მსოფლიო ომი, როდესაც ალბანეთი უნიით იტალიასთან გაერთიანდა და როდესაც კოსოვო „დიდი ალბანეთის“ შემადგენლობაში შევიდა“ მაკედონიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილთან ერთად“, – აცხადებს მარკედონოვი.

რუსი ექსპერტის აზრით, დღესაც ყოველივე ამაში აშშ-სა და ევროკავშირის როლი საფუძველს ნამდვილად არ წარმოადგენს. იმიტომ რომ ჯერ კიდევ საკავშირო იუგოსლავიის დროს არსებობდა ამგვარი რამ – აპარტეიდი. ორი სათვისტომოს – სერბული და ალბანური – ერთობლივი ცხოვრება. ყველაფერი იყო ცალ-ცალკე. იყო ხელისუფლების პარალელური ინსტიტუტები, იყო პარალელური საგანმანათლებლო დაწესებულებები.

„რაც შეეხება აშშ-ისა და ევროკავშირის როლს, იგი უმეტესწილად დესტრუქციულია. სწორედ მათ დაიწყეს დაყოფა „ცუდებად“ და „კარგებად“, რამაც ნეგატიური როლი შეასრულა. აშშ-ისა და ევროკავშირის ჩარევა, ალბათ, მაინც აუცილებელი იყო, იმიტომ რომ სერბები და ალბანელები ერთმანეთს სასტიკად ექცეოდნენ, მაგრამ ეს ჩარევა ცალმხრივი გამოდგა. ეთნიკური კონფლიქტი კი ფეხბურთის მატჩი არ არის, მხოლოდ ერთ გუნდს რომ უჭერდე მხარს“, – მიიჩნევს მარკედონოვი და საუბარს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შემთხვევაში რუსეთის მიერ აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის აღიარების შესაძლებლობაზე აგრძელებს.

ექსპერტს რუსეთის მიერ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაკლებსავარაუდოდ მიაჩნია. მისი თქმით, რუსეთმა ამ საკითხში თავშეკავება უნდა გამოიჩინოს და მშვიდად დაელოდოს, თუ როგორ განვითარდება მოვლენები.

„მეტსაც ვიტყვი, ეთნიკური თვითგამორკვევის საფუძველზე ვინმეს აღიარება, რუსეთისთვის სამართლებრივ სიბრტყეში საშიშია. არ უნდა დაგვაბნიოს პარტია „ედინაია როსიასთვის“ ჩრდილო კავკასიაში მიცემული ხმების რაოდენობამ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ისინი პუტინს ემხრობიან.

ზოგადად კი, სიტუაცია სხვაგვარია. მაგალითად, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება ვაინახურ სამყაროში – ინგუშეთსა და ჩეჩნეთში – ნეგატიურ და ავადმყოფურ რეაქციას გამოიწვევს. ამიტომაც არ არის საჭირო ამ თემაზე განსაკუთრებით ხშირად საუბარი. რუსეთის პოლიტიკა დნესტრისპირეთის პოლიტიკის დაცვა კი არ არის, რუსეთის პოლიტიკა რუსეთის დაცვაა. რუსეთის ინტერესი კი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მოქმედებათა საომარი სცენარით განვითარების ხელის შეშლაა, რომლებსაც შეიძლება მთელ ჩრდილო კავკასიაში აფეთქება მოჰყვეს“, – აცხადებს ექსპერტი და საუბარს საქართველოზე აგრძელებს.

მარკედონოვი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ჩრდილო კავკასიაში არსებულ სიტუაციაზე არავითარი სერიოზული გავლენა არ აქვს. მეტიც, საქართველოს რუსეთზე მეტად ეშინია ისლამური რადიკალიზმის, იმიტომ, რომ რუსეთს შეუძლია ამ საფრთხესთან გამკლავება, საქართველოს კი – არა.

„საქართველოში დღეს შექმნილი მდგომარეობა ჩვეულებრივი შიდაპოლიტიკური კრიზისია, რომელიც სააკაშვილმა თავად შექმნა. ამიტომაც საუბრები იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებულ დაძაბულობაში რუსეთის ხელი ურევია, დაახლოებით ისეთივეა, ჩვენთან პუტინი რომ აცხადებს, რუსეთის არევაში ამერიკის ხელი ურევიაო. უკრაინელები ამასვე აცხადებენ რუსეთთან მიმართებაში. ეს არის და ეს“, – მიიჩნევს მარკედონოვი.

მისი აზრით, საქართველოში რომ ოპოზიციას გაემარჯვა, მაინც დიდი ცემა-ტყეპა იქნებოდა, საქართველოს ოპოზიცია მრავალი საკითხისადმი ბევრად უფრო რუსოფობიულად არის განწყობილი, ვიდრე სააკაშვილი. ამიტომაც სააკაშვილი ზოგ სიტუაციაში უფრო ხელსაყრელი პარტნიორია, ვიდრე ოპოზიცია. სააკაშვილთან ხანდახან საუბარი მაინც შეიძლება, ოპოზიციასთან კი გამორიცხულია.

მარკედონოვის აზრით, სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საქართველოში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ – ეს სააკაშვილის გარკვეული პრეტენზიების გამოხატვაა კიდევ უფრო მკაცრი კონტროლის დამყარების სურვილისა.

„ოპოზიციამ სცადა მისთვის ამაში ხელი შეეშალა, მაგრამ სააკაშვილი შევარდნაძეზე ძლიერი „კერკეტი კაკალი“ გამოდგა. ეს არის და ეს. სააკაშვილს არ უყვარს რუსეთი, მაგრამ ის პოლიტიკურად ეფექტიანია და მას მხარდაჭერის რესურსიც აქვს. ასევე ჰყავს მომხრეები ოქრუაშვილსაც, მაგრამ მას მონანიების შემდეგ დაბრუნების შანსი ნაკლებად აქვს. თუმცა ვინ იცის: თავის დროზე გამსახურდიამაც მოინანია და მერე ეს ყველას დაავიწყდა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა მგონია, რომ ოქრუაშვილმა ფალსტარტი განიცადა, მას სტარტი მოგვიანებით უნდა აეღო“, – მიიჩნევს მარკედონოვი და დასძენს, რომ, ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის გამარჯვების შანსი ძალიან დიდია და მას სერიოზულ კონკურენციას ვერავინ გაუწევს.

„ოპოზიციაში განცალკევებული, ნაკლებად ცნობილი ადამიანები არიან. თუნდაც ლევან გაჩეჩილაძე არაფრით გამორჩეული არ არის. ერთი ძლიერი ლიდერი კი, რომელიც ოპოზიციას გააერთიანებდა, არ არსებობს. სხვათა შორის ადრე, 2003 წელს, ოპოზიციას სამი, ძალიან მკვეთრი ლიდერი ჰყავდა, ესენი იყვნენ ჟვანია, ბურჯანაძე და სააკაშვილი. ჟვანია, ბურჯანაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეები იყვნენ, სააკაშვილი შევარდნაძის დროს იუსტიციის მინისტრი იყო და ძალიან გაითქვა იმ დროს სახელი შევარდნაძის ჩინოვნიკთა წინააღმდეგ მკვეთრი ანტიკორუფციული განცხადებების კეთებით. არაფერი მსგავსით საქართველოს ახლანდელ ოპოზიციას დაკვეხნა არ შეუძლია“, – ამბობს ექსპერტი.

მისივე თქმით, „მერე რა რომ სააკაშვილმა საქართველოს სიღარიბისგან განთავისუფლების დაპირება მისცა ხალხს და არ შეასრულა. იგივე გააკეთა პარტია „ედიანაია როსიამ“, მაგრამ ხმები მაინც მიიღო“.

„ორივე ხელით ვემხრობი სააკაშვილის ლანძღვას, მე არ ვარ მისი თაყვანისმცემელი, მისი ანტირუსული განწყობა გასაგები და ცხადია, შეფასების დროს მისი როლისა და მნიშვნელობის წინააღმდეგი ვარ. სააკაშვილის მიერ ადამიანის უფლებების დარღვევაზე რომ ლაპარაკობენ ჩვენები, თავი შეიკავონ, ჯერ თავიანთ თავს შეხედონ და მერე ილაპარაკონ. ამიტომაც სრულიად ვეთანხმები ზოგ პოლიტოლოგს, რომელიც სააკაშვილსა და პუტინს ერთმანეთს ადარებს. დიდებული შედარებაა და სხვათა შორის საფუძვლიანიც“, – აცხადებს მარკედონოვი და სააკაშვილსა და პუტინს ერთგვარ „მტერ-მეგობრებს“ უწოდებს.

„გავიხსენებ, როდესაც სააკაშვილმა გაიმარჯვა, იგი გულწრფელად აღფრთოვანებული იყო პუტინით. მისი პირველი ვიზიტიც აშშ-ში კი არა, რუსეთში განხორციელდა. იგი დემონსტრაციულად უწვდიდა ხელს რუსეთს. სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი ნახევარი წლის განმავლობაში სააკაშვილი ჩვენი ტელევიზიის მთავარი „კინოგმირი“ იყო. მერე სამხრეთ ოსეთში სიტუაცია დაიძაბა და ჩვენი ინტერესები სხვადასხვა გზით წავიდა, მაგრამ ის, რომ ეს ორი ლიდერი ერთმანეთს ძალიან ჰგავს, ცხადზე უცხადესია. ორივე პოპულისტია, ორივე ეწინააღმდეგება ფორმალურ იურიდიულ სქემებს, მათ საკუთარი შეხედულებისამებრ ავარიულად ამსხვრევენ და ახალ წესებს იგონებენ. ორივეს შეუძლია ბრბოთი აპელირება და მასთან საუბარი. მაგრამ პუტინი ხელისუფლებაში მოიყვანეს, სააკაშვილი კი თავად მოვიდა ხელისუფლებაში“, – მიიჩნევს მარკედონოვი და სააკაშვილის მთავარ დასაყრდენ ძალად ძალოვანებს ასახელებს. მისი თქმით, ეს ის ხალხია, რომლებიც სააკაშვილმა პატივცემულ ხალხად აქცია. აქცია ხალხად, რომლებსაც აქვთ მაღალი ხელფასი და გარკვეული გარანტიები. ეს უკვე ის პუბლიკა არ არის, რომელიც შევარდნაძის დროს იყო.

„სააკაშვილი ასევე ეყრდნობა ბიზნესის გარკვეულ ნაწილს, მათ შორის, მსხვილ ბიზნესს და მგონი ამ უკანასკნელს პირველ ყოვლისა. მისი „ელიტა“ კი აშშ-ზეა ორიენტირებული. იგი ასეთივე წარმატებით იქნებოდა ორიენტირებული რუსეთზე, მაგრამ რუსეთი მათ აფხაზეთს ლანგრით არ მიართმევს. ჯერჯერობით არის იმის იმედი, რომ ამას დასავლეთი გააკეთებს. მე კი მიმაჩნია, რომ ამას არავინ გააკეთებს, იმიტომ, რომ საქართველოს პრობლემა თბილისსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის დიალოგით უნდა მოგვარდეს და თუ ეს დიალოგი არაეფექტიანია, არც ღმერთს და არც მეფეს ამ სიტუაციის შეცვლა არ შეუძლიათ. საქართველოში სხვა პოლიტიკა და პრიორიტეტები უნდა იყოს“, – აცხადებს რუსეთის პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი.



# სხვადასხვა

● როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იტყობინება, ხაჯიმბამ უსაფუძვლო უწოდა ბრალდებას, რომ აფხაზეთის ხელისუფლება გალელებისთვის აფხაზურ პასპორტებს იძულებით ურიგებს



## ◎ ინფორმაცია

### ხაჯიმბა გალელებს ემუქრება

**აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება აფხაზეთი მოქალაქეობის მიღებას არავის აიძულებს, მათ შორის არც გალის რაიონის ქართველობას.**

ამის შესახებ ე.წ. ვიცე-პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, თუმცა იქვე მიანიშნა, რომ თუ გალელებს აფხაზეთში ცხოვრება ნამდვილად სურთ, აფხაზეთის ხელისუფლება მათ პასპორტებსა და მოქალაქეობას მისცემს.

როგორც სააგენტო „აპსნი პრესი“ იტყობინება, ხაჯიმბამ უსაფუძვლო უწოდა ბრალდებას, რომ აფხაზეთის ხელისუფლება გალელებისთვის აფხაზურ პასპორტებს იძულებით ურიგებს.

მისივე განმარტებით, თუ გალის რაიონის მცხოვრებლებს საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმა არ სურთ, აფხაზური ხელისუფლება მათ აფხაზეთის მოქალაქეობასა და პასპორტებს ვერ მისცემს.

— ეს ჩვენს კანონმდებლობას ეწინააღმდეგება. თუ მათ აფხაზეთში ცხოვრება, მუშაობა და ჩვენი კანონების აღიარება ნამდვილად სურთ, მზად ვართ, პასპორტები და მოქალაქეობა მივცეთ, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ პრესკონფერენციაზე.

მან აღნიშნა, რომ „გალელები აფხაზეთის მოსახლეობაა, მაგრამ რამდენადაც მათი ნაწილი 1994-1999 წლებში აფხაზეთში არ ცხოვრობდა, მოქალაქეობის შესახებ კანონის ერთ-ერთ მუხლში არ შედიან“.

— კერძოდ, ამ მუხლის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქე არის პირი, რომელიც დამოუკიდებლობის 1999 წლის 12 ოქტომბრის აქტის მიღებამდე ხუთი წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობდა, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ.

ხაჯიმბამ პრესკონფერენციაზე უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთის 11-მდე მცხოვრები, მათ შორის აფხაზებიც, საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

— სად არის გარანტია, რომ სწავლების ხუთი თუ ექვსი წლის განმავლობაში მათ ქართული სპეცსამსახურები არ გადაიბირებენ, — განაცხადა ხაჯიმბამ და დასძინა, რომ შესაბამისი განათლების მისაღებად აფხაზეთში ყველა პირობაა შექმნილი.

### ვატიკანის ჰუმანიტარული პროექტი აფხაზეთში

**ვატიკანი აფხაზეთში ჰუმანიტარული აქციების ჩატარებასა და მოსახლეობის განსაკუთრებით დაუცველი ფენებისთვის დახმარებას გეგმავს.**

როგორც გამოცემა „კავკაზსკი უზელი“ იტყობინება, ამის შესახებ საქართველოში ვატიკანის ელჩმა კლაუდიო გუგეროტიმ აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი შამბასთან შეხვედრაზე განაცხადა.

— ვატიკანი მზად არის, აფხაზეთში სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას შეუწყოს ხელი, — აღნიშნა ვატიკანის ელჩმა.

მისივე თქმით, ჰუმანიტარული მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთში ძვირადღირებული სამედიცინო აღჭურვილობა და მედიკამენტები უკვე ჩავიდა.

ელჩმა, ასევე, აღნიშნა, რომ რომის კათოლიკური ეკლესია მზად არის, ითანამშრომლოს საგანმანათლებლო პროექტების განვითარების სფეროში, რაც აფხაზ სტუდენტებს ევროპაში განათლების მიღების საშუალებას მისცემს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◎ მეზობლებთან

### ბორის ნემცოვი ვლადიმერ პუტინის პორტრეტს „ხატავს“

**რუსეთული გაზეთის „სობესედნიკის“ ბოლო ნომერში საგულისყურო მეჩვენა რამდენიმე მომენტი ბორის ნემცოვთან ჟურნალისტის საუბრიდან. ეგებ ეს ჩვენს მკითხველსაც საყურადღებოდ წარმოუდგეს — ამ ფიქრით გამომაქვს გაზეთის ფურცლებზე.**

ბორის ნემცოვი ცნობილია, როგორც რუსეთის განსვენებული ექს-პრეზიდენტის ბორის ელცინის კაცი. ის პოლიტიკური პარტიის „მემარჯვენე ძალთა კავშირის“ (რუსული აბრევიატურით სპს) ერთ-ერთი ლიდერი გახლავთ, პოლიტიკოსად ადრე უკვე შემდგარი (რამდენიმე მაღალი თანამდებობაც რომ მოიარაძ და ოთხწლიანი შესვენების შემდეგ დიდ პოლიტიკაში დაბრუნების მოსურნე: 2008 წლის მარტში პრეზიდენტის პოსტზე აპირებს კენჭისყრას.

ამრიგად, სიტყვა რუსეთის მეთაურობაზე ერთ-ერთ პრეტენდენტს:

— 4 წლის წინათ ჩვენს პარტიას არ ჰქონდა მკაფიო პოზიცია ხელისუფლების მიმართ და ამან დაგვღუპა... პრინციპში კი ორი პუტინი ამბობს: არის ადრეული, რომელიც ამცირებს გადასახადებს, ატარებდა მიწის რეფორმას, ცდილობდა სასამართლოს რეფორმის გატარებას; არის კიდევ გაბრინჯაოებული. ძალაუფლება ხომ კაცს აფუჭებს, აბსოლუტური ძალაუფლება კი — აბსოლუტურად აფუჭებს, რაც მოხდა კიდევაც. ეგეც არ იყოს, როცა გარშემო მარტო პირფერები და ქლესები არიან, ძნელია გაუფუჭებლად დარჩე. ძალაუფლება აგრესიული სითხეა და ვინც იქ ხვდება, ნაკლებშერაცხადი ხდება (რუსეთელი ნადიდკაცარის ეს ზუსტი დაკვირვებები ქართულ სინამდვილესაც ხომ არ მოერგებოდა, პატივცემულო მკითხველო? — **თ. ე.**ძ...

ქალაქს, ქვეყანას როცა დაჯავშნული ავტომობილის ფანჯრიდან უყურებ, თუ შენ გზას გიწმენდენ, ხოლო ხალხი საცობებში დგას, მაშინ რეალობის გრძნობა გეკარგება. „გამლიქვნელებული ბიუროკრატიული რუსეთი“ — ეს ერთ-ერთი აღმოჩენაა, რომელიც ჩემთვის გავაკეთე. თანაც არიან განსაკუთრებით ნიჭიერნიც, რომლებიც მზად გახლავან ისე ღრმად ალოკონ, რომ პროსტატასაც უწიონ (კვლავ ხომ არ მოგვემარჯვებინა წინამდებარე დასკვნა ჩვენი რეალობისათვის, ძვირფასო მკითხველო? — **თ. ე.**ძ...

ძალა სიმართლეშია. გახსოვთ ბულგაკოვთან: „სიმართლის თქმა ადვილი და სასიამოვნოაო“? მოტყუება მძიმე. ეს ჩანდა, როცა პუტინი „ლუჟნიკებში“ ამბობდა, თითქოს ის არაფერ შუაშია, ეგ სხვა ვიღაცაა ოლიგარქებთან ერთად. პუტინი ხომ ბერეზოვსკისთან და აბრამოვიჩთან მეგობრობდა და მაგ ორმა მოილაპარაკა დიაჩენკოსა და იუმაშევთან (ელცინის ქალიშვილი და სიძე — **თ. ე.**ძ, რომ ის მემკვიდრე გაეხადათ! ჩვენ ეს კარგად ვიცით.

ჩვენ კი, აქვე სათქმელად, ოლიგარქებს ვებრძოდით. ბერეზოვსკის, როცა ხელში „გაზპრომის“ ჩაგდება სურდა, მე ვუთხარი: „ცოცხალი თავით არ დაგანებებ“. ვლადიმერ ვლადიმერის ძე ამ დროს განზე იდგა. ის ასევე განზე იდგა როცა „სვიაზინვესტის“ დაპყრობა უნდოდათ. ისიც გვეუბნებოდა მე და ჩუბაისს: თქვენ, რა გაგიჟდით? ახლა კი ზღაპრებს ჰყვება „ლუჟნიკებში“ (ამრიგად, პუტინი მეგობრობდა ბერეზოვსკისთან, ახლა მტრად ეკიდება; (კიდევ ერთი პარალელი ხომ არ „იხვეწება“ გამავლეთო, ჩემო მკითხველო? — **თ. ე.**ძ...

რუსეთი ჩემი ქვეყანაა, დასაფლეთად ვერცვის მივცემ, მორჩა! რასაკვირველია, ჩვენ ვილაპარაკებთ ჩვენს კოლეგებთან დემოკრატიული ოპოზიციიდან, რათა ღირსეულად და კონსოლიდირებულად გამოვიდეთ. ამჟამად აშკარა წინასაარჩევნო ისტორიას ვხედავთ, ყოველ პარტიას აქვს გამარჯვების სურვილი, ამიტომ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია — ეს საარჩევნო უბნებში კონტროლში მონაწილეობაა. 2 დეკემბრის შემდეგ შეიძლება უკვე ლაპარაკი საპრეზიდენტო არჩევნებზე შემდგომი ქმედებების შესახებ (ბორის ნემცოვის ეს საუბარი სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებამდე გამოქვეყნდა — **თ. ე.**ძ...

**თამაზ ეზანოიძე**

## ◎ ტესტი

# ამინდი და გუნება-განწყობილება

**თუ გინდათ, გაერკვეთ, დამოკიდებულია თუ არა თქვენი გუნება-განწყობილება ამინდის ცვალებადობაზე, ჯერჯერობით ქვემოთ დასმულ კითხვებს კარგად ჩაუღრმავდით და სერიოზულად უპასუხეთ, შემდეგ კი მიღებული შედეგები შევაჯამოთ. აქედანვე გაითვალისწინეთ, რომ თითოეული დადებითი პასუხი 5 ქულით ფასდება, უარყოფითი — 10 ქულით.**

**1.** თქვენ იმათგანი ხართ თუ არა, ვინც არ გამორთავთ ხოლმე ახალი ამბების პროგრამებს ტელევიზორსა თუ რადიოში, სანამ არ მოისმენთ მოსალოდნელი ამინდის შესახებ ჰიდრომეტეოცენტრის ცნობას, თანაც გიდევთ თუ არა მაგიდაზე არასასურველი დღეების განრიგი?



**2.** თქვენ ამინდზე საუბარი არ მიგაჩნიათ „მორიგ“, უმნიშვნელო თემად. პირიქით, დიდხანს და ინტერესით მსჯელობთ ამ საკითხზე ახლობელთან და თანამშრომლებთან?

**3.** ხომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ზღვაზე დასვენების ან შორეული მოგზაურობიდან დაბრუნებისას, რაც კლიმატის შეცვლასთანაა დაკავშირებული, თავი უგუნებოდ გიგრძვნიათ?

**4.** მართალია თუ არა, რომ ამინდის შეცვლის განსაკუთრებული წინათგრძნობა გაგაჩნიათ, და ის, როგორც წესი, სრულდება?

**5.** როცა ამინდი „ჭირვეულობს“ ან მაგნიტური ქარიშხალი ახლოვდება, თქვენ აღარაფერი გამოგდით, თავს დათრგუნვილად გრძნობთ, ძალა გეცლებათ, და ღიზიანდებით, გაწუხებთ უძილობა?

**6.** არასასურველ დღეებში ამჯობინებთ, არ ჩაიხედოთ სარკეში, გაღიზიანებთ შესივებულ-ჩაშავებული თვალები, სახის ფერი?

**7.** თავის ტკივილი ან ზოგჯერ ცხვირიდან სისხლის დენა — თქვენი ზუსტი ბარომეტრი-სიგნალია ამინდის გაუარესებისა და გეომაგნიტური მშფოთვარებისა?

**8.** ასეთ დღეებში მადას კარგავთ, გრძნობთ კუჭ-ნაწლავის დისკომფორტს, გაწუხებთ ყაბზობა, ჩვეულებრივზე უფრო ხშირად დარბიხართ ტუალეტში?

**9.** იმაზე, რომ თბილად უნდა ჩაიცვათ და თან ქოლგა წაიღოთ. თქვენ სახსრების მტვრევა, ხერხემლის ყრუ, კუნთების გაბმული ტკივილი, გულში ჩხვლეტები გკარნახობთ?

**10.** თქვენი გაჭირვება ხანმოკლეა (რამდენიმე საათი, ან 2-3 დღეძ საუკეთესო წამალი კი კაშკაშა მზე და მოწმენდილი ცაა?

**11.** წლის განმავლობაში სეზონურად ხშირად უჩივით ცუდ გუნება-განწყობილებას?

**12.** თქვენ მჯდომარე სამუშაო გაქვთ და თანაც დილ-დილაობით ამჯობინებთ ზედმეტი 10 წუთით ლოგინში ნებივრობას, იმის ნაცვლად, რომ დილის გამამხნევებელი ვარჯიში გააკეთოთ და კონტრასტული შხაპის ქვეშ დადგეთ?

**მოდით, ახლა შევაჯამოთ თქვენი მოპოვებული ქულები და შევაფასოთ თქვენი „ურთიერთდამოკიდებულება“ ამინდთან.**

**60-დან 75 ქულამდე** — შეიძლება, მოგილოცოთ. თქვენ დიდებულ ფორმაში ხართ. ავდარი, დიდთოვლობა, გეომაგნიტური ქარიშხალი, აცივება და სხვა ბუნებრივი უხერხულობანი თქვენს ჯანმრთელობას არ აწუხებს. თუ კი ცხოვრებისეული აქტივობის დროებითი დაცემა შეგემთხვევათ, ამას უამინდობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. მიზეზი ეძებეთ დაღლილობაში, ნერვიულ დაძაბულობაში.

**80-დან 95 ქულამდე** — თქვენ მეტეომგრძნობიარე ადამიანებს განეკუთვნებით. ნუ დაღონდებით, ჯერჯერობით შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ, რათა ამინდმა საბოლოოდ „არ დაგიმონოთ“, მოგიწევთ თქვენს ჯანმრთელობაზე სერიოზულად ზრუნვა. ახლავე დაიწყეთ ახალი ცხოვრება — გაცილებით მოწესრიგებული და გეგმაზომიერი. გამოძებნეთ სპორტით ვარჯიშისთვის დრო, თუნდაც დილის გამამხნევებელი ვარჯიშისთვის, აუზში ცურვისთვის, საუნაში ან ორთქლის აბანოში სიარულისთვის, გამოწრთობისთვის. დაიკელით ზედმეტი წონა, უარი თქვით ყავაზე, სიგარეტზე და სასმელებზე.

**100-დან 120 ქულამდე** — თქვენ ნამდვილად ადამიანი-ბარომეტრი ხართ! თქვენი ორგანიზმის საადაპტაციო სისტემა აწყვეტის პირასაა, რის გამოც ალბათ მოგიწევთ ქრონიკული ავადმყოფობების გადატანა. ეს რომ არ მოხდეს, სასწრაფოდ მიმართეთ თერაპევტსა და ნევროპათოლოგს.

# სპორტი

● იარაღის მუქარით ბოროტმოქმედებმა გაკოჭეს ანა, მისი მშობლები და გაიტაცეს დაახლოებით 5 მილიონი რუბლის ნივთები და ქონება (მათ შორის 60 ათასი ევრო, 20 ათასი დოლარი და მორთულობანი), როგორც ჩანს, მძარცველები წინასწარ ამზადებდნენ აქტს, იცოდნენ რა, რომ სახლში დიდძალი ფული იყო



◉ ორბიტაზე



## ანა ჩაკვეტაძე გაძარცვეს

**თავის საგარეუბნო სახლში გაძარცვეს ფესვებით ჩვენებური, მაგრამ მოსკოველი ჩოგბურთელი ანა ჩაკვეტაძე.**

როგორც რუსეთიდან იტყობინებიან, დილის ოთხ საათზე ექვსი ნიღბიანი შეიჭრა ჩოგბურთელის სახლში ნაროფომინსკის რაიონის სოფელ ვლასოვოში.

იარაღის მუქარით ბოროტმოქმედებმა გაკოჭეს ანა, მისი მშობლები და გაიტაცეს დაახლოებით 5 მილიონი რუბლის ნივთები და ქონება (მათ შორის 60 ათასი ევრო, 20 ათასი დოლარი და მორთულობანი), როგორც ჩანს, მძარცველები წინასწარ ამზადებდნენ აქტს, იცოდნენ რა, რომ სახლში დიდძალი ფული იყო.

20 წლის ანამ ხომ წლეულს საჩოგბურთო ტურნირებზე თითქმის მილიონნახევარი დოლარი გამოიმუშავა. ის უმდიდრეს სპორტსმენთა რეიტინგში 50-ე ადგილზეა.

პრესისთვის ანას ძმის რომან ჩაკვეტაძის განცხადებით, ძარცვის დროს ანა არ დაშავებულა...

## პირველი და მეორე კი არა, თანაბრები

**ასეთი მოთხოვნა წარუდგინა „ფორმულა-1“-ის საჯინიბოს „მაკლარენის“ ხელმძღვანელობას მისმა ახალმა პილოტმა, 26 წლის ფინელმა ხეიკი კოვალაინენმა, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ.**

მან რადიო ბი-ბი-სის განუცხადა,რომ მოითხოვა თანაბარუფლებიანობის გარანტია ლიუსი ჰემილტონთან. „ჩემი სტატუსი „მაკლარენთან“ უნდა იყოს 2007 წლის ვიცე-ჩემპიონის სტატუსთან თანაბარი, და რომ გუნდში არ იქნება ზეწოლა პირველ დამეორე ნომერზე“ – თქვა კოვალაინენმა.

## ვინ გახადა ლორა მანადუს?



**იტალიელი მოცურავე ლუკა მარინი უარყოფს, რომ თითქოს ის იყოს დამნაშავე ინტერნეტში მისი ყოფილი გულისვარდის ფრანგი მოცურავის ლორა მანადუს გაშიშვლებულად გამოჩენაში. მათ გასულ კვირაში უნგრეთში, ცურვაში ევროპის ჩემპიონატზე იჩხუბეს. მაშინ მანადუმ „ოქრო“ მოიპოვა ას მეტრზე და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. სწორედ მაშინ სახალხოდ გადააგდო მარინის ნაჩუქარი ბეჭედი, რაც ტელევიზიას არ გამორჩენია.**

მეორე დღესვე ინტერნეტში ფასიან პორნოსაიტებზე გამოჩნდა შხაპის მიღების დროს გაშიშვლებული მანადუს ფოტო და ვიდეომასალები. რასაკვირველია, ეჭვი უმალ მარინზე მიიტანეს, მან კი თავის მართლება პრესაში დაიწყო.

◉ ჭადრაკი

## ნონას თასი მეხუთედ გათამაშდა

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი მეხუთედ გათამაშდა.** შეჯიბრებაში, მაია ჩიბურდანიძისა და მაია ლომინეიშვილის გარდა, ყველა უძლიერესი დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. 9 შესაძლებლობიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი და 2007 წლის „ნონას თასი“ ნანა ძაგნიძემ დაისაკუთრა. გამარჯვებულს ქულით ნინო ბაციაშვილი ჩამორჩა. 6-6 ქულით მესამე-მეექვსე ადგილები ბელა ხოტენაშვილმა, ნინო ხურციძემ, მაკა ფურცელაძემ და სალომე მელიამ გაინაწილეს. ამ ასპარეზობისთვის საპრიზო ფონდად 800 ლარი იყო გამოყოფილი.

24 დეკემბერს მეცხრე მსოფლიო ჩემპიონატის – ტიგრან პეტროსიანის ხსოვნის ტურნირი გაიმართება.

◉ ტყვიის სროლა

## ბაქოდან — თბილისში



**დღეს და ხვალ ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირში თბილისის ღია ჩემპიონატი გაიმართება.** შეჯიბრებაში დედაქალაქელებთან ერთად აზერბაიჯანელები – მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ირადა აშუმოვა და რუსლან ლიუნიოვიც იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ ორივე სპორტსმენმა რამდენიმე დღის წინათ ბაქოში აკადემიკოს ილია ბუნდიავინის საერთაშორისო მემორიალი მოიგო პნევმატური პისტოლეტით სროლაში.

ქალთა შორის აშუმოვამ 384 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. მას 4 ქულით ჩამორჩა ნინო სალუქვაძე, რომელიც ტურნირზე მეორე იყო. 380-ვე ქულით მესამე ადგილს დასჯერდა აზერბაიჯანელი ნიჯარი ბაგიროვა.

ვაჟებში 563 ქულით ყველას ლიუნიოვმა აჯობა. ორი ქულით ნაკლები მოაგროვა საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ქადაგიძემ, რომელსაც ვერცხლის მედალი ხვდა.

◉ ძალოსნობა



## კახი კახიაშვილის სახელობისა

**ქუთაისის ძალოსნობის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის – კახი კახიაშვილის სახელობის ტურნირი, რომელშიც ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 80-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა.**

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: შოთა მიშველაძე (45 კგ. ქუთაისიძ, გიორგი საჯაია (50, ზუგდიდიძ, გიორგი ლომთაძე (56, ქუთაისიძ, ვაჟა ქავთარაძე (62, ხელვაჩაურიძ, ბექა კახიძე (68, ქუთაისიძ, პაატა გეგეშიძე (77, ქუთაისიძ, დავით გოგია (85, ზუგდიდიძ, რაულ ცირეკიძე (94, ქუთაისიძ, ალეკო აკოფიანი (105, რუსთავიძ, გიორგი მაჭავარიანი (+105, აჭარაძ.

◉ ტაილანდური კრივი

## თითო „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“



**პლანეტის 100-მდე ქვეყნის 1500 სპორტსმენი გამოდიოდა მსოფლიო ჩემპიონატზე ტაილანდურ კრივში, რომელსაც 11 დღის განმავლობაში ბანგკოკი მასპინძლობდა. მოასპარეზეთა შორის საქართველოს სამი წარგზავნილიც გახლდათ.**

ახალგაზრდებში კარგი შედეგი აჩვენა ლაშა ორბელაძემ (51 კგძ რომელმაც მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო და საბოლოოდ მეორე ადგილი დაიკავა. ამავე ასაკში მესამე იყო ცოტნე ჯავახია (67ძ, რომელიც „ბრინჯაოს“ დასჯერდა.

უფროსებში ძალებს ცდიდა დათო ჯავახია (71 კგძ. მართალია, იგი კვარცხლბეკის მიღმა აღმოჩნდა, მაგრამ თავის წონაში რვა საუკეთესოს შორის მოხვდა, რაც ურიგო არ არის.

საგულისხმოა, რომ ბანგკოკის მსოფლიო ჩემპიონატს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მასპინძლებთან და მასმედიასთან შეხვედრებისას მათ კიკბოქსინგისა და ტაილანდური კრივის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შეტანის შესაძლებლობებზე ილაპარაკეს.

◉ კადრი



# უცნობი მხრიდან

● ოპოზიციის იატაკქვეშა მუშაობა ციტატების ომით დაიწყო. ჯერ ტროცკიმ გადასცა, ბორის სუვარინის ხელით, დასავლეთს ლენინის გამოუქვეყნებელი შრომები, მათს რიცხვში „ლენინის ანდერძად“ ცნობილი წერილიც ყრილობისადმი. ქვეყანაში მაშინვე სკანდალი ატყდა



## ◎ რეპლიკა

**მოხმობის სიგნალად იქცა ანა ვარდიაშვილისა და ტალგაუკოვის ძველისძველი „ჩემი გმირი გიწოდე...“ გამოდის მერაბ სეფაშვილი, თავისი დიდებული ხმით დაამღერებს მელოდიას და ახლა სცენაზე გამოსასვლელად ემზადება დეპუტატობის კანდიდატი. აი, ისიც! ზღვა ოპტიმიზმი, ლაქარდიანი ენა, დაპირებების სკივრი.**

ჩემი გმირი გიწოდე!...

ქართლის მეთაურმა ქალაქმა გმირობის ფასიც იცის და გმირების მოფერებაც.

ცხოვრობდა გორში მშვენიერი გარეგნობის, ნათელი გონების, ზნეკეთილი ახალგაზრდა ზაზა გამგებელი. 1993 წლის გაზაფხულზე დაამთავრა მოსკოვის იურიდიული ინსტიტუტი, სადიპლომო შრომა დაიცვა, თუმცა დიპლომის აღება ვერ მოასწრო – სამშობლოს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად აფხაზეთში წავიდა. იქიდან შინ დაბრუნება აღარ ეწერა... 26 ივლისს დაზვერვის სამსახურის ოფიცერი ზაზა გამგებელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სოფელ შრომასთან გმირის სიკვდილით დაეცა. ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი უფროსი ლეიტენანტი მშობლიურ ქალაქში ჩამოასვენეს და მხედრული წესით დაკრძალეს. გორის №2 საშუალო სკოლას, სადაც ზაზა სწავლობდა, მისი სახელი მიენიჭა.

## ჩემი გმირი გიწოდე...

ასე იყო დღემდე. ახლა სკოლის სახელწოდებაში ცვლილება მოხდა. ერქვა **საშუალო**, გახდა **საჯარო**. ახალ აბრაზე მოულოდნელად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გმირულად დაღუპული ზაზა გამგებლის სახელი გაქრა. არც მის ცოლ-შვილს, არც მშობლებს ამის შესახებ არაფერი შეატყობინეს. მოტივაცია სხვადასხვაგვარია: ზაზა გამგებელმა მე-2 სკოლაში მხოლოდ X-XI კლასებში ისწავლა და არა სრული თერთმეტი წელიო. ვითომ გამოდგება საბუთად? მეორეც: თურმე, არსებობს განათლების სამინისტროს ბრძანება, რომელიც კრძალავს სკოლისთვის ვინიმე სახელის მინიჭებას, თუ მისი გარდაცვალებიდან 20 წელზე ნაკლები დროა გასული. ამასთან, ამ ბრძანებას იმდენი შენიშვნა და ქვეშენიშვნა ახლავს, რომ ამ ბიუროკრატიული ლაბირინთიდან იოლად ვერ დააღწევ თავს. ხოლო თუ ოცი წლის შემდეგ სახელის მინიჭებაზე მიდგება საქმე, საკითხი სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ, მშობელთა სამეურვეო საბჭომ და სხვა უამრავმა ინსტანციამ უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს, მიენიჭოს თუ არა, როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, „სამშობლოს დაცვის საქმეში თვალსაჩინო წვლილის მქონე ეროვნული ან საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული საერო ან სასულიერო პირის სახელი...“

როცა ზაზა გამგებელს თავისი ახალგაზრდული სიცოცხლე ზვარაკივით სამშობლოს სამსხვერპლოზე მიჰქონდა, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რამდენ სადავიდარაბო საქმეს უჩენდა თავის სკოლას, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მშობელთა სამეურვეო საბჭოს და ა.შ.და ა.შ.

ახლა, რა ვუყოთ იმ ქუჩებს, რომელთაც იმათი სახელები ჰქვია, გარდაცვალებისთანავე რომ „გააუკვდავყვეს“ ჭირისუფლებმა – ეს მარტო ჩვენს ქალაქს როდი ეხება – ფულით, ნაცნობობითა და ორსართულიანი სუფრებით? საეჭვო წარსულისა და დამსახურების ამ „უკვდავთა“ ქუჩებზე გავლაც კი უხერხულობაში აგდებს ადამიანს. სახელებს იმათაც შეუცვლიან? ოცი წლის შემდეგ ისევ დაუბრუნებენ?

ჩემი გმირი გიწოდე!...

როსლა ვისწავლით გმირებისა და ანტიგმირების გარჩევას?

**გურამ ვაშაკიძე**

## ◎ სხვა გაზეთიდან



**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის რუსეთის ისტორიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი იური ჟუკოვი ესაუბრება „ლიტერატურნაია გაზეტას“ მიმომხილველს ალექსანდრე კონდრაშოვს.**

# პოლიტბიუროს საგანგებო საქაღალდეთა საიდუმლოებანი

### შეტაკების მიღმა

**– ბატონო იური, თქვენთან წლევანდელი მარტის საუბარი („იოსებ სტალინის ჭეშმარიტი ისტორია“, „ლგ“, № 8. გადმოიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაშიც“ ძ მწვავედ განვიხილეთ გაზეთის ფორუმზე. ახლა, ოქტომბრის რევოლუციის 90 წლისთავზე, გადავწყვიტეთ, რომ დავბრუნებოდით რევოლუციისშემდგომი ათწლეულის ქვეყნის ხელმძღვანელობაში დრამატული კოლიზიების გამოკვლევას.**

– ერთი ჩვენი თანამედროვე მწერლის სიტყვებით დავიწყებდი: არ შეიძლება შენი ქვეყანა სხვისაზე მეტად გძულდეს. ეს ალბათ, ყველასათვის მთავარი უნდა იყოს. ჩვენ ხომ არა ვართ ამერიკელები, არც ინგლისელები, არც ფრანგები – ჩვენ ვართ რუსები. საკუთარ წარსულს პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ. გაიხსენეთ მთვრალი ნოეს ისტორია: როგორ მოიქცა მისი ერთი ვაჟი და როგორ – მეორე. ერთი გესლიანად ხითხითებდა მამის სიშიშვლეზე, მეორემ სიშიშვლე დაუფარა. მოდით, მივყვეთ ბიბლიურ აღთქმებს.

სტალინს რაც შეეხება, როცა 1920-იანი წლების დოკუმენტები გადავქექე, უცბად აღმოვაჩინე ის, რაც საერთოდ ზედაპირზე ძევდა. სტალინი არასოდეს არ ილტვოდა ძალაუფლებისკენ. ლენინის სიკვდილის შემდეგ ის რამდენიმე წელი სულაც შეტაკების მიღმა რჩებოდა, პოლიტბიურო ორი ჯგუფისაგან შედგებოდა: ტროცკი, ზინოვიევი, კამენევი – მემარცხენე რადიკალები და ბუხარინი, რიკოვი, ტომსკი – მემარჯვენე რადიკალები. განსხვავება მათს შორის მხოლოდ ერთ რამეში მდგომარეობდა: პირველები ფიქრობდნენ, რომ უნდა დაჩქარდეს მსოფლიო რევოლუცია (ზინოვიევის იდეით, გერმანიაში 1923 წელს რევოლუციის დაწყება გადაწყვიტეს 9 ნოემბერს, გაგზავნეს კიდევაც ბლომად ხალხი აჯანყებების, გადატრიალებების მოსაწყობად, მაგრამ არაფერი არ გამოუვიდათ; მეორეთა აზრით, საჭიროა პირიქით, მსოფლიო რევოლუციის მშვიდი ლოდინი. ერთნიცა და მეორენიც იქიდან გამოდიოდნენ, რომ მსოფლიო რევოლუცია აუცილებლად იქნება, ხოლო რუსეთი როგორც იყო, ეგრევე უნდა დარჩესო უპირატესად აგრარულ ქვეყნად. ტროცკი, ეკონომიკის დარგში თავისი მარჯვენა ხელის, პრეობრაჟენსკის კარნახით ვარაუდობდა, რომ მრეწველობის აღმავლობა უთუოდ მთელი გლეხობის გაძარცვის ხარჯზე უნდა დაიწყოს; ზინოვიევი და კამენევი ფიქრობდნენ, რომ მაინც საშუალო ფენას უნდა დაეყრდნონ და მხოლოდ კულაკი უნდა გასრისონ. ბუხარინის, რიკოვისა და ტომსკის აზრით კი გლეხებს საერთოდ არ უნდა შეეხონ, თავისუფლად უნდა მიუშვან და ამის ხარჯზე გაიმართება წელში ქვეყანა; დანარჩენებზე კი ასევე ფიქრობდნენ, დასავლეთი დაგვეხმარებაო. სტალინი, იმ მომენტში პოლიტბიუროს მეშვიდე წევრი, ამ შეჯახების გარეთ გახლდათ.

**– კი, მაგრამ, განა გენერალური მდივანი არ იყო?**

– 1923-დან 1926 წლამდე სახკომსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა გაცილებით მეტს ნიშნავდა, ვიდრე გენმდივანი. ლენინს არ ეკავა პარტიაში თანამდებობა, გარდა პოლიტბიუროს წევრისა – სახკომსაბჭოს თავმჯდომარე გახლდათ. ამიტომაც იმ დროს, ვინც არ უნდა გაძღოლოდა პარტიულ აპარატს, მთავარ ფიგურად ითვლებოდა მაინც მთავრობის თავმჯდომარე, ეს კი რიკოვი იყო 1930 წლის დეკემბერში გადადგომამდე. ჰოდა, მემარცხენეთა და მემარჯვენეთა შორის ბრძოლას მოჰყვა ის, რომ სტალინმა უნებლიეთ იწყო წინა პლანზე წამოწევა. ორი ძირითადი ძალა შეჯახებით ერთმანეთს ასუსტებდა, სტალინს კი ფეხქვეშ ნიადაგს უმაგრებდა.

დღეს რატომღაც გვგონია, რომ აი, შემოიღეს ახალი ეკონომიკური პოლიტიკა („ნეპი“ძ და ყველას მშვენივრად აეწყო ცხოვრება. ეს ასე არაა. 1923 წელი – უმუშევრობა, ეკონომიკური ხასიათის გაფიცვები. 1926 წელი – კიდევ უარესი, მრეწველობა თითქმის არაფერს არ აწარმოებს, სამაგიეროდ გლეხები ყვავიან – დიდებული მოსავლები კია, მაგრამ ხორბლის, ხორცის, რძის გაყიდვით აღებულ ფულს არ იციან რა უყონ, ვერაფერი ვერ უყიდიათ – ამიტომაც კვლავ ეკონომიკური კრიზისია. ისმის კითხვა: ეგ როგორ, არის პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, პროლეტარიატი კი მოსამსახურეებზეც და გლეხებზეც უარესად ცხოვრობს. ჰოდა, არსებითად ყოველგვარი ლაპარაკი პარტიულ ბრძოლაზე მხოლოდ ერთ რამეს ჩქმალავდა: იმ კურსის მოძიებას, რომელიც ჩვენს ქვეყანას არა უბრალოდ გადარჩენის, არამედ როგორღაც მოლონიერების საშუალებას მისცემდა.

სტალინს, რომელიც მანამდე თითქოს მხოლოდ ეროვნული საქმეებით იყო დაკავებული, განსაკილველად შეაქვს ცალკე აღებულ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის იდეა. რადგან მსოფლიო რევოლუცია არც ისე მალე მოხდება, არავინ არ უშლის ხელს, ბოლოს და ბოლოს, დასავლეთ ევროპასა და შეერთებული შტატების პროლეტარიატის წინაშე მოვალეობათა დავიწყებასა და თავისი ხალხის გახსენებას. 1926-ის ოქტომბერში იმართება მე-15 პარტკონფერენცია, რომელზეც ადგენენ მუშებისათვის ხელფასის მომატებას, ოღონდ როგორ? მოხელეთა რაოდენობის მკვეთრი შემცირების ხარჯზე. აი სახელმწიფო მიდგომა! სახსრები, რომლებიც ამ „ჭინჭრის თესლის“, როგორც გოგოლი ამბობდა, შენახვას ხმარდებოდნენ, მუშებისათვის ხელფასის აწევაზე მიუშვეს. ეს იყო პირველი რამ, რისი მიღწევაც მოახერხა სტალინმა. მოახერხა რატომ? იმიტომ, რომ იმ მომენტში ტროცკი, ზინოვიევი, პიატაკოვი, სერებრიაკოვი, სოკოლნიკოვი, ესე იგი „ლენინური გვარდიის“ მემარცხენე რადიკალები, დამარცხდნენ ქვეყნის გენერალური კურსისათვის ბრძოლაში და გადავიდნენ იმაზე, რაც სახელმწიფო დანაშაულად ითვლება მსოფლი-



ოს ყველა ქვეყანაში (ჩინეთშიც, შეერთებულ შტატებშიცა და სადაც გნებავთძ – იატაკქვეშა საქმიანობაზე.

### სტალინი – რევოლუციის მესაფლავე

ოპოზიციის იატაკქვეშა მუშაობა ციტატების ომით დაიწყო. ჯერ ტროცკიმ გადასცა, ბორის სუვარინის ხელით, დასავლეთს ლენინის გამოუქვეყნებელი შრომები, მათს რიცხვში „ლენინის ანდერძად“ ცნობილი წერილიც ყრილობისადმი. ქვეყანაში მაშინვე სკანდალი ატყდა. ჟურნალმა „ბოლშევიკმა“ 1925 წლის აგვისტოში დაბეჭდა ორი რეპლიკა – ტროცკისა და კრუპსკაიასი, რომლებმაც დაიწყეს მტკიცება, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა, ცილისწამებაა პარტიაზე, ლენინზე, ქვეყანაზე... საგულისხმო კი აი, რა არის: გადის 9 თვე და ზინოვიევი და კამენევი პოლიტბიუროს მიმართავენ „ანდერძის“ გამოქვეყნების მოთხოვნით. რატომ? იმიტომ, რომ მანამდე რიკოვმა, რომელსაც თავისი პოსტის შესაბამისად – სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, მთავრობის მეთაური – მიჰყავდა პარტიის ყველა პლენუმი, გადაწყვიტა ბრძოლის დაწყება ზინოვიევსა და კამენევთან. მან ნება დართო პუბლიკაციებისა იმის თაობაზე, თუ როგორი პოზიცია ეჭირათ ზინოვიევსა და კამენევს 1917 წელს მომავალი ოქტომბრის რევოლუციის მიმართ. როგორც ცნობილია, ლენინი მათ ცუდი სიტყვებით მოიხსენიებდა, რადგან წინააღმდეგი იყვნენ. რიკოვმა ეს გამოიყენა, საპასუხოდ ზინოვიევმა და კამენევმა გადაწყვიტეს „ანდერძით“ სარგებლობა, რათა ლენინის მიერ რიკოვისათვის მიცემული დახასიათება გამოემზეურებინათ!.

„ანდერძთან“ დაკავშირებული ისტორია 1926 წლის ივნისის პლენუმის დღის წესრიგში გაძვრა, სადაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ საკითხებს არჩევდნენ, ისე ცხარედ არჩევდნენ, რომ სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე ძერჟინსკი გარდაიცვალა განცდებისაგან, იმისაგან, რომ ვერ დაუმტკიცა ტროცკის, ზინოვიევს, კამენევს, თუ როგორ საჭიროა მრეწველობის განვითარება. მერე კი სტალინის მისამართით ტროცკის მხრიდან წამოვიდა საშინელი ბრალდება: პოლიტბიუროს სხდომაზე მან განაცხადა, რომ სტალინი არის „პარტიისა და რევოლუციის მესაფლავე“. ტროცკი შორსმჭვრეტელი აღმოჩნდა, თუმცა არც კი ესმოდა, თუ რამდენად ღრმად განჭვრიტა მომავალი. სტალინი იმ მომენტში ჯერ კიდევ არ ფიქრობდა იმაზე, რომ პარტიამ უკვე ამოწურა თავისი თავი, რომ რევოლუცია დამთავრდა და ეგონა, რომ ჩვენს ქვეყანაში მომხდარ რევოლუციას გამოუჩნდება მხარდაჭერა ინდოეთში თუ არა, ჩინეთში მაინც უთუოდ. მიუხედავად ამისა, იძულებული იყო, რომ ეპასუხა ტროცკისათვის. თანაც პასუხისას ასევე გამოიყენა „ანდერძი“ იმის შეხსენებით, რასაც ლენინი ტროცკიზე წერდა. ამ მომენტიდან გადაიქცა „ანდერძი“ იმ ხელკეტად, რომელსაც ხან ზინოვიევი, ხან ტროცკი, ხან სტალინი, ხან ბუხარინი, ხანაც რიკოვი ერთმანეთს თავებში ურტყამდნენ.

1926-ის ოქტომბერში ზინოვიევი და ტროცკი პოლიტბიუროს გარეთ აღმოჩნდნენ. ისინი იწყებენ იმას, რამაც ესოდენ დამახინჯებული ასახვა ჰპოვა სერიალში „ლენინის ანდერძი“, – ეგებ აჯანყებისა არა, მაგრამ მძლავრი მოძრაობის მომზადებას პარტიასა და ქვეყანაში. ტროცკი მომხრეებთან ერთად გამოდის მოსკოვის ქარხნებში, რკინიგზაზე. ზინოვიევი – ლენინგრადის უდიდეს ქარხნებში, მათს რიცხვში პუტილოვისაში, ცდილობს რა მასების წამოწევას თავის დასაცავად. ისინი, ხელმძღვანელობის შეცვლის მისაღწევად, ავრცელებენ ხმებს, თითქოს მზად არიან გენმდივნად რიკოვის ასარჩევად და ამნაირად სტალინს უპირისპირებენ ბუხარინს, რიკოვსა და ტომსკის. ვნებები გაღვივდნენ უკვე არა პოლიტბიუროს, არამედ უფრო ფართო ხელმძღვანელობის დონეზე და იქამდეც, რომ 1926-ის დეკემბრის მიწურულს სტალინმა ცხელ გულზე დაწერა განცხადება გადადგომის შესახებ.

სტალინს მაშინ არ ჰქონდა ისეთი მნიშვნელობა, როგორსაც ახლა ანიჭებენ, ის ჯერ კიდევ არ იყო პარტიაში ფართოდ ცნობილი. სტალინს არ ესმის, თუ ზინოვიევსა და რიკოვს შორის ჩხუბი რატომ გადადის მის დევნაში. მე ვფიქრობ, რომ მან ადამიანურად გადაწყვიტა: ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა, მომწყდით თავიდან თქვენი ხროვებიანა. არ შეიძლება დაუსრულებლად მალავდეთ ციტატების ომით მთავარს, რაც არის ქვეყანაში – ეკონომიკურ პრობლემებს.

(გაგრძელება იქნება).

# სხვადასხვა

● ბატონი ანზორის ხელმძღვანელობით მოუხშირა ანსამბლმა გასტროლებს უცხოეთში, ოკეანის გაღმა, სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს ჩაწერეს ამერიკელებმა უკვდავი „ჩაკრულო“ და, რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად, კოსმოსში გაგზავნეს...



◎ თბილისელები

## ოსტატი აშოტ ამირიანი

**მეტრო რუსთაველთან, კოსტავას ქუჩაზე, მუდამ უამრავი ხალხი ირევა. იმ დღეს „რუსთაველს“ გამოვცდი თუ არა, ორმა მშვენიერმა გოგონამ შემაჩერა და მკითხა: დეიდა, იქნებ იცოდეთ აქ სადღაც ფეხსაცმელების სახელოსნოა, ძალიან გვიქეს ხელოსანი აშოტი...**

— როგორ არა, ვიცი, — გავუღიმე ახალგაზრდებს და მივასწავლე ჩვენი აშოტას სახელოსნო.

მეორე დღეს ფიქრმა აღარ მომასვენა, რა იქნება, ორიოდე თბილი სიტყვა მეც დავწერო ადამიანზე, რომელსაც ოცდაათ წელიწადზე მეტია ვიცნობ.

...აგერ უკვე რამდენიმე წელია კოსტავას ქუჩაზე, ერთ პატარა სახელოსნოში, თავჩაღუნული შრომობს განთქმული მეწაღე — ფეხსაცმელების შემკეთებელი აშოტ ამირიანი და ყველას გულს იგებს. ისეთი ხელი აქვს, მისი ნახელავი დიდს და პატარას მოსწონს, გადასაგდებად გამზადებულ ფეხსაცმელს ისეთ შნოსა და ელფერს მისცემს, ზოგჯერ პატრონიც ველარ იცნობს. ამიტომ არის, რომ აშოტას კლიენტები თავს ეხვევიან და ერთი წუთით მოცლა არა აქვს.

— მაინც რამდენი წელია ამ სახელოსნოში ხარ?— ვეკითხები აშოტს, იგი მუშაობას არ წყვეტს და მეუბნება: — 43 წელიწადია აქ ვმუშაობ, დიდუბეში დავიბადე, ფოთის ქუჩაზე, მაგრამ სახლში მხოლოდ ღამის გასათევად თუ მივდივარ. კლიენტები ხან საიდან მოდიან, ხან — საიდან... ერთი ძველი კლიენტი საცხოვრებლად დიდ დიღომში გადავიდა, ვხედავ, გუშინ არ მომადგა ორი წყვილი ფეხსაცმლით? მე ვუთხარი, — ამ სიშორეზე რამ მოგიყვანა, იქ რა, ხელოსნები არ არიან-მეთქი?

— არიან, მაგრამ შენნაირები არაო, — მიპასუხა.

— როგორ ახერხებ ხალხის გულის მონადირებას? ისევ ჩავეკითხე.

— ისე, უბრალოდ, რასაც ვაკეთებ გულით და მონდომებით... არ დაგიმალავთ, ხელიც კარგი მაქვს, ეტყობა ამდენი ხნის განმავლობაში შევეჩვიე ფეხსაცმელის ძირის დამუშავებას, ქუსლის გამოყვანას, კოხტად გაკერვას. კლიენტს ტკბილი სიტყვაც უნდა უთხრა, ძნელი დროა, ყველაფერი გაძვირებული, მე ისევ იაფად ვაკეთებ და ხალხიც კმაყოფილი მყავს. ფული ხომ არ არის ყველაფერი, მიხარია, როცა ჩემთან ძველი და ახალი კლიენტები ღიმილით შემოდიან და ღიმილითვე გადიან...

...ისიც ზის და ჩაჰკირკიტებს ძველს და ახალს, იცის ძვირიანს თუ იაფიან ფეხსაცმელს ქუსლები, სამწუხაროდ, მალე უცვდება და იგი ლამაზად უნდა შეაკეთოს...

აშოტ ამირიანს მადლიური კლიენტები არ აკლია, იგი ღირსეულად, მონდომებით, დიდი ერთგულებით ემსახურება ყველას, ვინც კი იცის მისი ოსტატობის ფასი.

**ლალი ქინქლაძე**

---

**ვემშვიდობებით ანზორ კავსაძეს**

## წავიდა დამაშვრალი...

**რაც გამომცემლობა „სამშობლოდან“ გამოგვყარეს, ჩვენს „თავშესაფარში“ აღარ გამოჩენილა ანზორ კავსაძე — ჩვენი რედაქციის მეგობარი, ჩვენი გაზეთის დამფასებელი და ერთგული მკითხველი... ერთი-ორჯერ დავურეკე, არავინ მიპასუხა... თურმე უკურნებელი სენით დაავადებულიყო, თურმე მკურნალობდა...**



**გარდაიცვალა დიდი ლოტბარი, ქართული ფოლკლორის დიდი მოამაგე, კავსაძეთა გვარის ღირსეული შვილი, საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის ლეგენდარული ლოტბარი, კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის პროფესორი...**

**ბატონი ანზორის მოღვაწეობას სახელმწიფო ანსამბლში „ოქროს ხანად“ თვლიან ქართული ფოლკლორის სპეციალისტები და უფროსი ასაკის მსმენელ-მაყურებლები... ბატონი ანზორის ხელმძღვანელობით მოუხშირა ანსამბლმა გასტროლებს უცხოეთში, ოკეანის გაღმა, სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს ჩაწერეს ამერიკელებმა უკვდავი „ჩაკრულო“ და, რამდენიმე მუსიკალურ ნაწარმოებთან ერთად, კოსმოსში გაგზავნეს... ო, როგორ ამაყობდა ამით, თუმცა არ იმჩნევდა... საკუთარ თავზე სიტყვას ვერ დააცდენინებდით... ერთი კი იყო: პურობისას დედულეთზე, ჭიათურაზე, ჭიათურლებზე უყვარდა საუბარი ქართლელ, ხოვლელ კაცს. იგი ამ კუთხეში, ლეჟავათა დიდ ოჯახში იყო გაზრდილ-დავაჟკაცებული და ყოველთვის ამაყობდა ამით, ამაყობდა ლეგენდარული პაპით სანდრო კავსაძით... მთელი დღე შეეძლო ესაუბრა სტალინის ფენომენზე... „აი, ვინ დაამყარებდა წესრიგს“ — იტყოდა ხოლმე... საკმაოდ უცნაური იყო მისი საზომ-საწყაო ქართველ მუსიკოსებზე საუბრისას: „კომპოზიტორი, ზაქარია ფალიაშვილის მეტი არ გვყოლია ქართველებს, ბატონო... აბა, ესენი არიან?“ ერთ-ორს დაასახელებდა ცალყბად... პირდაპირი იყო, მომთხოვნი, რასაც ბევრი ქართლურ სიჯიუტეში უთვლიდა... უზოდიშოდ გამოუშვეს სახელმწიფო ანსამბლიდან, თუმცა მისმა ნიჭმა და უნარმა, მოგვიანებით, ბრწყინვალე ანსამბლები შექმნა გურჯაანში, ზუგდიდში...**

**გულდაწყვეტილი იყო უმადურობის გამო...**

**წავიდა დამაშვრალი... წავიდა დიდი მეოცესაუკუნელი...**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს!**

**ვილენ მარდალეიშვილი**

---

◎ **მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 87 წლის, ვცხოვრობ ქუთაისში, მაქვს 47 წლის შრომის სტაჟი. მიმდინარე წლის სექტემბრიდან პენსიაზე დამერიცხა 10 ლარი სტაჟის ხანგრძლივობისთვის, ჩემს ძმას კი, რომელიც თბილისში ცხოვრობს, ეს დანამატი ერთი წლის წინათ მიეცა. მეც მომეცემა გასული წლის სექტემბრიდან მიუღებელი განსხვავება?**

**აბესალომ მიროტაძე**



**პასუხი:** თქვენი თხოვნის დაკმაყოფილებისთვის, სამწუხაროდ, არ არსებობს კანონიერი საფუძველი, ვინაიდან პენსიაზე დანამატის დარიცხვა სტაჟის ხანგრძლივობის გათვალისწინებით, დედაქალაქში მცხოვრებ პენსიონერთა გარდა, ყველა რაიონისა და ქალაქში მცხოვრებთათვის მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან განხორციელდა.

* * *

**კითხვა: ვარ 21 წლის, ამ რამდენიმე თვის წინათ ავტოავარიაში მოვხვდი და მძიმედ დავშავდი. დიდხანს უგონოდ ვიყავი, შემდეგ თანდათან გონს მოვედი, მაგრამ მძიმე ავადმყოფი დავრჩი. მშობლებმა სახლში მოიყვანეს ექიმები და ისე დამიდგინეს ჯგუფი. აზროვნება საღი მაქვს, მაგრამ, ალბათ სამუდამოდ ხეიბარი დავრჩები, მომეცემა ინვალიდობის პენსია?**

**ზაზა გომართელი**

**პასუხი:** თუ თქვენ სამედიცინო კომისიამ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუნარის შეზღუდვის სტატუსი დაგიდგინათ, მოიპოვებთ პენსიის მიღების უფლებას, მაგრამ ამისათვის განცხადებითა და სათანადო საბუთებით სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონულ სამსახურს უნდა მიმართოთ.

* * *

**კითხვა: მიმდინარე წლის 25 ოქტომბერს, წინასწარ გაფრთხილების გარეშე, გამათავისუფლეს სამუშაოდან. რამდენ დღეში უნდა გამისწორონ საბოლოო ანგარიში?**

**ვენერა თავართქილაძე**

**პასუხი:** კანონის თანახმად, დამსაქმებელი ვალდებულია, საბოლოო ანგარიში გაგისწოროთ სამუშაოდან გათავისუფლებიდან არაუგვიანეს 7 კალენდარული დღის ვადაში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მეგობარსა და კოლეგას სოფო გოგლიძეს დეიდაშვილის**

**მინდია მინდიაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი ლოტბარის, მრავალი წლის მანძილზე ჩვენი გაზეთის კეთილისმსურველისა და მეგობრის**

**ანზორ კავსაძის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**ნუგზარ ფოფხაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და არმაზ სანებლიძე ულრმეს მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის, გამოჩენილი ქართველი ხელოვანისა და საზოგადო მოღვაწის**

**ანზორ კავსაძის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ნიკო და მელანო ლეკიშვილები ოჯახით თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ გურამ და თამაზ გაბუნიებს დის**

**ნანული გაბუნია-სიბაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ სამძიმარს უცხადებს ბატონ გივი სიბაშვილს მეუღლის**

**ნანული გაბუნიას**

**გარდაცვალების გამო.**

---

**ნინიკო, სოსო კუხიანიძეები თანაუგრძნობენ და სამძიმარს უცხადებენ გურამ და თამაზ გაბუნიებს საყვარელი დის**

**ნანული გაბუნია-სიბაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**დედა ნანა გელაშვილი, ძმა გია, რძალი ირინა ერისთავი, ძმისწული გივიკო კვანტრიშვილები, ბიძები ტარიელ, ავთანდილ გელაშვილები ოჯახებით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები იწუყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ჯუანშერ (ჯუნაძ გივის ძე კვანტრიშვილი**

**პანაშვიდი 20, 21 XII, 17 სთ. დოლიძის ქ. კორპ. 19, II სადარბაზო. გამოსვენება 22 XII, 15 სთ. წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან (ვერის სასაფლაოძ.**

---

**საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს კ. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის სწავლულ მდივანს, მედიცინის დოქტორს დოდო სიგუას გარდაეცვალა დედა**

**თამარ გიგინეიშვილი-სიგუა**

**და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.**

---

**სს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი მედიკოსის, ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის**

**მირიან ქუჩუკაშვილის**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

● გეოპოლიტიკოსს დამიხედეთ და ექსპერტს დამიხედეთ! ყირიმი თურმე ძველ-თაძველი რუსული ტერიტორიაა, — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კი არ არიან ქართული ტერიტორიები დასაბამიდანვე? ასეთი კაცი მელაპარაკება კორექტულობაზე, დელიკატურობასა და სხვის უტიფრობაზე? ინტელექტუალი დირექტორი რომ ასე იმსჯელებს, სალდაფონ რუსეთელს რაღა მოვთხოვოთ?



## რეპლიკა

# როცა თავხედობას საზღვარი არა აქვს



**„რუსეთი ამერიკას უნდა დაემსგავსოს. ალტერნატივა უბრალოა — ან დიდოსტატები ვართ, ან პაიკები ვართ დიდოსტატთა ხელებში. ამერიკა რომ რუსეთსაც სხვებივით ვერ მართავდეს, ასევე მკვეთრად, აგრესიულად უნდა ვიქცეოდეთ.**

**ვთქვათ, ამერიკამ მისცა თავს ერაყში შეჭრის უფლება — და მსოფლიო თანასაზოგადოებამ, ერთგვარი წამოჩხავლებით, ეს გადაყლაპა. რატომ არ უნდა შეიჭრას რუსეთი საქართველოში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის დაცვის საბაბით? რატომ არ უნდა შეიყვანოს ჯარები ყირიმში — ოდითგანვე ჩვენს ტერიტორიაზე? ამის გაკეთება შეიძლება კორექტულად, დელიკატურად. იმ შეგნებით, რომ ჩვენ მაინც არც ისე ძლიერი ბანდა ვართ, არ შეგვიძლია ვინმეზე ისე უტიფრად მიხტომა, როგორც ამას ოკეანისგაღმელი მთავარი „მამა“ აკეთებს“.**

როგორი მძიმე და აღმაშფოთებელიც არ უნდა იყოს ჩვენი მკითხველისათვის ამ სტრიქონების წაკითხვა, ვაგლახ, რომ შავით თეთრზე, სიტყვა-სიტყვით ასე წერია „არგუმენტი ი ფაქტის“ №50-ში, მე-4 გვერდზე. ახლა ავტორს არ იკითხავთ? — ალექსანდრე დუგინი, გეოპოლიტიკურ ექსპერტიზათა ცენტრის დირექტორი. გეოპოლიტიკოსს დამიხედეთ და ექსპერტს დამიხედეთ! ყირიმი თურმე ძველთაძველი რუსული ტერიტორიაა, — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კი არ არიან ქართული ტერიტორიები დასაბამიდანვე? ასეთი კაცი მელაპარაკება კორექტულობაზე, დელიკატურობასა და სხვის უტიფრობაზე? ინტელექტუალი დირექტორი რომ ასე იმსჯელებს, სალდაფონ რუსეთელს რაღა მოვთხოვოთ?

... კარგად მესმის, რომ არაფერი ფასი არა აქვს „ქართულად“ ჩემს განრისხებას, მაგრამ სხვა რა ჯანია? ალექსანდრე დუგინს სად და როგორ გავეპასუხო? გარდა ამისა, ხომ უნდა ვიცოდეთ **ასეთი რუსეთისა და ასეთი რუსეთელების არსებობის შესახებაც...**

**თამაზ ებანოიძე**

## ექსპრეს-ტელეფონები

# კანდიდატი გისმენთ



ლევან გაჩეჩილაძის შტაბი — თოფურიას ქ. №10 (ტელ. 32-05-47 ან 32-05-81ძ.



ბადრი პატარკაციშვილის შტაბი — ბოჭორმის ქ. № 20 (ტელ. 74-65-18, 74-69-68, ცხელი ხაზი 74-69-66ძ.



დავით გამყრელიძის საარჩევნო შტაბი — „მემარჯვენეების“ ოფისი, მის. ორთაჭალა, ჟანი კალანდაძის ქ. №3-ში (ტელ: 72-15-10ძ.



შალვა ნათელაშვილის შტაბი — ჯავახიშვილის ქ. №88 (ტელ: 91-16-17 ან 94-39-22, 91-04-05ძ.



მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო შტაბი — ფილარმონია, მეორე სართული (ტელ. 92-05-87 ან 92-05-89ძ.



გია მაისაშვილის შტაბი — ყაზბეგის ქუჩა №44 (ტელ: 39-46-17ძ.



ირინა სარიშვილის შტაბი — აღმაშენებლის პრ. 52 (ტელ: 91-09-17 ან 91-09-16ძ.

## მესაძირკვლე

# უნივერსიტეტი აკაკი შანიძის იუბილეს აღნიშნავს



**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს აღნიშნავს.**

როგორც თსუ-დან იტყობინებიან, ამ დღესთან დაკავშირებით სახელმწიფო უნივერსიტეტში საიუბილეო ღონისძიებები გაიმართება.

დაგეგმილია უნივერსიტეტის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში აკაკი შანიძის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის გადახდა, რომლის შემდეგაც სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში აკაკი შანიძის საფლავს ყვავილებით შეამკობენ.

თსუ-ს პირველ კორპუსში, ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზში სამეცნიერო კონფერენცია — „ღვაწლი აკაკი შანიძისა“ გაიმართება, რომლის შემდეგაც უნივერსიტეტის ფოიეში აკადემიკოსის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველი ფოტოგამოფენა გაიხსნება.

დღის ბოლოს კი აკაკი შანიძის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საიუბილეო საღამოთი დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

რეკლამა კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ინფორმაცია

### პროკურატურამ 25-წლიანი პატიმრობა მოითხოვა

**ლევან კალაძის განზრახ მკვლელობაში ბრალდებულ ლევან ცინცაძის სასამართლო პროცესზე პროკურატურამ განსასჯელის მიმართ 25-წლიანი პატიმრობა მოითხოვა.**

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს პრესსამსახურიდან იტყობინებიან, ცინცაძის საქმეზე კამათი გაიმართა. პროკურატურამ განსასჯელს მოუხსნა ბრალდება იარაღის უკანონოდ შეძენა-შენახვა-ტარების ნაწილში, ხოლო საქმის დანარჩენი ეპიზოდებისთვის — თბილისი-სტამბოლის ავტობუსის დაყაჩაღება, გორში გოგიაშვილების ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა და ლევან კალაძის ფულის გამოძალვის მიზნით გატაცებაში მონაწილეობა — 25 წელი თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

**ინტერპრესნიუსი**

### ქუთაისი სატელეფონო კავშირის გარეშე დარჩა

**ქუთაისის ცენტრალური ნაწილის მოსახლეობა და დაწესებულებები, მათ შორის, სახანძრო დაცვის სამსახურიც სატელეფონო კავშირის გარეშეა დარჩენილი.**

წერეთლის ქუჩაზე მიწის სამუშაოების წარმოების დროს დაზიანდა სატელეფონო გაყვანილობა და მაგისტრალური კაბელი. ადგილზე მობილიზებულია სამუშაო ჯგუფი და აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

შპს „ახალი ქსელების“ წარმომადგენლის მერაბ ახვლედიანის თქმით, დაზიანების აღმოსაფხვრელად კაბელი უნდა გამოიცვალოს. მისივე თქმით, სატელეფონო კავშირის აღდგენას 2-3 დღე დასჭირდება.

**ХО-ЭОВ-ЭБО**

## კადრი



## ანეკდოტები

მითხარი, რაზე ფიქრობ, და გეტყვი, რით ფიქრობ.

* * *

— შენ გინახავს სიზმარი მაიმუნებსა და ბეჰემოტებზე?
— არა, არ მინახავს.
— ნახე, კლასიკური სიზმარია.

* * *

ტიპს ტყეში გზა აებნა. მიშველეთო, ყვიროდა.

უცებ უკნიდან დათვი მიუახლოვდა და, რა გაყვირებსო, ჰკითხა.

— გზა ამებნა და იმად ვყვირი, იქნებ ვინმემ გაიგოს.

— აი, მე გავიგე. ამით რა, თავი უკეთ იგრძენი?

* * *



ორნი ერთმანეთს შეხვდნენ.

— აუ, წუხელ რა ლამაზი გოგო ჩავაწვინე ლოგინში! — მეოცნებე ხმით ამბობს ერთი.

— მე კი არ მიმართლებს, მხოლოდ მოხუცი ქალები მერგებიან ხოლმე.

...და გრიპის ორივე ვირუსი სხვადასხვა მიმართულებით გაფრინდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.